ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

თებერვალი 1987 - Nr. 2(20) - FÉVRIER 1987

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" ილია

შინაარსი:

საქართველო - საბჭოთა იმპერიალიზმის პირველი მსხვერპლი....1
ლენინი და დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა....3
25 თებერვალი: დოკუმენტაცია....4
"ყველაფერი ლიბერალია": "ახალი" ცვლილებები კომუნისტურ ქვეყნებში....6
აგვისტოს აჯანყების 62 წლისთავი....10
ქართული ტრაგედია ბამის მშენებლობაზე....12
პოლიტიკური კულტურა....17
საჯაროობა:
ქართული ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა IV. ყრილობის შემდეგ....26
"მიმართვა" (ფრანგულად)....28
"მიმართვა" (ქართულად)....29
"მიმართვა ქართულ სათვისტომოებს"....30
"მოწოდება ქ.ე.ს. აგვისტოს აჯანყების 62 წლისთავზე"....30
კალენდარი....31
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და საქართველო....32
"ცოდნის უფლება"....39
რადიო "ისრაელის ხმის" ქართულ რედაქციას....40
რადიო "ამერიკის ხმის" ქართულ რედაქციას....41
რადიო "თავისუფლების" ქართულ რედაქციას....41
საქართველოს ეროვნული საბჭოს 70 წლისთავი....44
27 იანვარი - საქართველოს ცნობის დღე....46
ლევილის ქართული მამული....47(1)
"ლევილობა" - ქართული კერის 65 წლისთავი....48
ეროვნული მოძრაობის არქივი და წიგნთსაცავი (ექსპერტიზა)....50
"ჰარვარდის არქივის" კომისია (ინგლისურად)....51
ქართული სათვისტომოს არჩევნები პარიზში....52
ქართული ენის ბედი (ცნობა საქართველოდან)....53
თხოვნა ლევილის ქართული ბიბლიოთეკის საზოგადოების გამგეობისა....54
კეთილი ადამიანი (ილია თაყაიშვილის გარდაცვალების გამო)....54
"საუკუნო იყოს ხსენება მათი"....56

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი".

დაარსდა: იანვარი 1952, პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

გურამ შარაძის ბიბლიოთეკა
გ-720

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## "საბჭოთა იმპერიალიზმის პირველი მსხვერპლი"

### I.

საქართველო,1921 წლის 25 თებერვალს გახდა,საბჭოთა იმპერიალიზმის პირველი მსხვერპლი,ვამბობთ ჩვენ.რატომ? - იმიტომ, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით,ჯერ,1920 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ს ა ზ ა ვ ო ხელშეკრულებით, იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა დე ფაქტო და დე იურე, ე.ი. ფაქტიურად და იურიდიულად და ხელი აიღო მის საშინაო და საგარეო საქმეებში ჩარევისაგან, მაგრამ - შემდეგ - 1921 წლის 11 თებერვალს, დაარღვია რა აღნიშნული საზავო ხელშეკრულება, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა საქართველოს ხუთი მხრიდან და,თითქმის ორთვიანი რუსეთ-საქართველოს გარდამავალი უპირატესობით წარმოებული ბრძოლების შემდეგ, - დაიპყრო იგი და საქართველო ისევ გახადა რუსეთის პროვინციათ.

### II.

ამგვარად, საბჭოთა იმპერიალიზმის პირველი მსხვერპლი გახდა საქართველო იმ ფაქტით, რომ რუსეთმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და თვითონვე დაარღვია რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება, დაიპყრო საქართველო და დაამყარა,ქართველი ერისათვის სრულიად უცხო და მიუღებელი ბოლშევიკური დიქტატორული რეჟიმი, და ამით ბოლო მოუღო საქართველოში ქართული დემოკრატიის, ქართული ს ო ც ი ა ლ უ რ ი დემოკრატიის გაფურჩქვნას, რაც გრძელდება დღემდე, საქართველოს ე.წ-ლი"გასაბჭოების",უფრო ზუსტად, დაპყრობის სამოცდა-მეექვსე წლისთავზედაც. ვერ საბჭოთა რუსეთმა ვერ მოითმინა რუსეთისადმი მეგობრულად განწყობილი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა და ვერ მეფის რუსეთმა,როცა რუსეთის მთავრობამ,ლენინის მთავრობის მსგავსად, ცალმხრივად დაარღვია 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება,"მეგობრული ტრაქტატი" და იარაღის ძალით დაიპყრო იგი.

### III.

რატომ ვერ მოითმინა საბჭოთა რუსეთმა,მეფის რუსეთის მსგავსად,რუსეთის უზარმაზარი ტერიტორიის სამხრეთით, პატარა სახელმწიფოს - საქართველოს - დამოუკიდებლობა და სუვერენობა?.. რატომ საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ უპირატესობა მიანიჭა საქართველოს იარაღით დაპყრობას და ამით მეფის რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის გზას დაადგა და ვერ აიტანა პატარა,უთუოთ,რუსეთის მეგობარი საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა?.. - ამის მიზეზი,უდავოა, უნდა ვეძიოთ არა მარტო რუსეთის ისტორიაში, არამედ,საერთოდ, იმპერიალიზმის ისტორიაში: იმპერიალიზმი, როგორც ცნობილია, იწყება მაშინ, როცა ერთი ერი, ერთი სახელმწიფო თავის ბატონობას, იარაღის ძალით,ავრცელებს მეორე ერზე, მეორე სახელმწიფოზე. მაგრამ იმპერიალისტური ბატონობა სხვა ერზე-სახელმწიფოზე, შეიძლება იყოს, სხვადასხვა დონისა და ხასიათის: კოლონიალიზმი, მაგალითად, რაც უკვე ისტორიას ჩაბარდა თუ ბარდება, კმაყოფილდებოდა ერთი ერის, ერთი სახელმწიფოსაგან მეორე ერის, მეორე სახელმწიფოს,არსებითად, ეკონომიკური გაყვლეფით, რაც, თავის მხრივ, გასაგებია, იწვევდა პოლიტიკურ,კულტურულ,სოციალურ შეჯახებებს, სისხლის ღვრას, მაგრამ იმპერიალისტური სახელმწიფო მაინც კოლონიური სახელმწიფოს ეკონომიკური გაყვლეფით კმაყოფილდებოდა. ამგვარი იმპერიალისტური სახელმწიფოს ყველაზე უფრო ნათელი მაგალითი იყო ინგლისი, რომელმაც აგერ ახლა ხელი აიღო ამგვარ დაპყრობით პოლიტიკაზე,რასაც მოყვა უამრავი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოების აღმოცენება აფრიკა-აზია-ამერიკაში და,წარმოიდგინეთ, ეს ყოფილი კოლონიური სახელმწიფოები დღეს ისეთი ტემპითა და მასშტაბით ვითარდებიან, რომ ფრთებს ისხამს ყოველი ერისა და ყოველი ადამიანის თავისუფლების იდეები. და ერთი ყოფილი კოლონიური სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები - უკვე,სულ ცოტა, თავისი ეკონომიკური სიძლიერით, პირველი სახელმწიფოა მთელს მსოფლიოში.

### IV.

მაგრამ რა? - მეცხრამეტე საუკუნე თუ კოლონიური იმპერიალიზმის დასამარების საუკუნე გახდა, მეოცე საუკუნეში დაიწყო ახალი ტიპის კოლონიალიზმი, რომლის მშობელი დედაა მეფის რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წარმოების განსაკუთრებულობა: მეფის რუსეთი, ეყრდნობოდა რა რუსულ ქრისტიანიზმის თუ პანსლავიზმის იდეოლოგიას, კი არ კმაყოფილდებოდა დაპყრობილი ერის მხოლოდ ეკონომიკური გაყვლეფით, არამედ გამოდიოდა დაპყრობილი ერების და ქვეყნების "გამშვენიერებლის" როლში და მოითხოვდა, უხეში ძა-

ლითაც კი, დაპყრობილი ერის მონურ მორჩილებას, რომლის დროს დაპყრობილი ერის, ქვეყნის ასიმილაცია თუ ადგილობრივი მოსახლეობის შემცირება გადასახლებებით და უცხო ერის შვილების ჩასახლებით დღის წესრიგში იყო. მეფის რუსეთის ამგვარი მკაცრი კოლონიური პოლიტიკა გავრცელდა იმ ქვეყნებსა და ხალხებზე, რომლებიც კეთილი განწყობილებით მიეკედლენ მეფის რუსეთს, როგორც, მაგალითად, საქართველო. მეფე ერეკლე, ეს მეტად გამჭრიახი და დიდი პოლიტიკოსიც კი შეიყვანა შეცდომაში მეფის რუსეთის მაკიაველურმა პოლიტიკამ, როცა საქართველოს ბედ-იღბალი რუსეთს დაუკავშირა, ამ უკანასკნელმა კი, ერთი ტყვიის გაუსროლელად გადმოლახა ჩვენი ჩრდილოეთი "გარდაუვალი" საზღვარი, შემოვიდა საქართველოში, შემდეგ დაარღვია 1783 წლის ტრაქტატი და ხელი მიჰყო რუსეთის ნაცად კოლონიურ პოლიტიკას: დაკმაყოფილდეს არა მარტო ეკონომიკური გაყვლეფით, არამედ ხელი მიჰყოს ქართველი ერის უმცირესობაში მოქცევის პოლიტიკას საქართველოში, რაც გაგრძელდა 1917 წლის თებერვლის დემოკრატიულ რევოლუციამდე, რომლის შემდეგ - ყოველი პოლიტიკური პარტია და დაჯგუფება ფიქრობდა, რომ ბოლო მოეღებოდა მეფის რუსეთის ერისა და პიროვნების თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას.

V.

ამ ფერხულში ჩაბმული იყვნენ თვით ბოლშევიკებიც კი, ლენინის მეთაურობით. ლენინი, როცა მეფის რუსეთის აღნიშნული შეუწყნარებელი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებდა რუსეთის იმპერიაში მოქცეული სხვა ერების პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, სასტიკად ილაშქრებდა მეფის დიდმპყრობელური, შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. "შოვინიზმის არგუმენტები, წერდა ის, შორს სამეზარი როლია...ეს არგუმენტია ის, რომ თვითეული ერი დაემორჩილოს ველიკოროსებს. ბატონნი პურიშკევიჩები არ მორიდებიან იმას, რომ სავსებით აკრძალონ ის 'მდლის ენები', რომლებზეც ლაპარაკობს რუსეთის არარუსული მოსახლეობის სამოცი პროცენტი"(ტ.20,გვ.70-71).

VI.

მაგრამ მივიდა რა ხელისუფლებაში, და ჯერ გაბატონდა რუსეთში, მაშინვე დაადგა მეფის რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის გზას: ახლა ლენინმა უფრო ხელსაყრელი იდეოლოგია ჩაიგდო ხელში, მიუმატა რა მარქსიზმ-ლენინიზმი, და ამით მეფის რუსეთის ქრისტიანიზმზე და პანსლავიზმზე დაყრდნობილი იდეოლოგია, უფრო "ინტერნაციონალური" ლენინიზმით შეცვალა, მაგრამ ეს ლენინური "ინტერნაციონალიზმი" უფრო საშინელი, თავისებური კოლონიალიზმი გამოდგა, ვიდრე მეფის რუსეთისა, ვინაიდან ლენინური "ინტერნაციონალიზმი" კი არ კმაყოფილდება დაპყრობილი ქვეყნის, ერის მხოლოდ ეკონომიკური გაყვლეფით, არამედ ამასთანავე პოლიტიკურ-კულტურულ-სოციალურ გაყვლეფასაც იყენებს, რომ დაპყრობილი ერი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აღგავოს მიწისაგან პირისა, რომლის დროს არავითარ მახინაციებიდან არ იხევს უკან, დაწყებული უცხო ერის შვილების საქართველოში ჩასახლებით თუ ქართველთა ასიმილაცია-გარუსების გზით, რაც, რა თქმა უნდა, სასტიკ წინააღმდეგობას იწვევს ჩვენს ერშიც. და ეს ლენინურ-რუსული დაუნდობელი თავისებური კოლონიური პოლიტიკა გრძელდება დღესაც საქართველოში, საქართველოს დაპყრობის სამოცდა-მეექვსე წლისთავზედაც.

VII.

ამგვარად, პირველი სახელმწიფო, რომელიც ჯერ იცნო ლენინის მთავრობამ და შემდეგ დაიპყრო იგი იარაღის ძალით, - არის საქართველო, და ამიტომ ვამბობთ, რომ საქართველო არის საბჭოთა იმპერიალიზმის პირველი მსხვერპლი, და ამიტომაა აგრეთვე, რომ საქართველო, ქართველი ხალხი ყოველი ლეგალური საშუალებით იბრძვის, რომ საქართველოში ისევ განხორციელდეს "26 მაისის" დიადი იდეები, ე.ი. ისევ აღდგენილ იქნას საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს. ამდენად, 25 თებერვალი 1921 წლისა - ტრაგიკული თარიღია საქართველოს ისტორიაში, ვინაიდან ამ დღიდან შეწყდა ქართული დემოკრატიის, ქართული ს ო ც ი ა ლ უ რ ი დემოკრატიის აყვავება-გაფურჩქვნა ჩვენს სამშობლოში, რაც გრძელდება დღემდე.

VIII.

მაგრამ, გვჯერა, გვწამს, რომ - ადრე თუ გვიან(ვიმედოვნებთ ადრე) - გარდასულ იქნება 25 თებერვლის ანტიეროვნული, ანტიჰუმანიტარული, ერისა და პიროვნების თავისუფლების უარმყოფელი ბოლშევიკური პოლიტიკა და საქართველო ისევ გახდება დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო და ისევ გახდება მსოფლიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დიდი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი. "აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია".

კარლო ინასარიძე, ლევილი, 25.2.1986 წ.

==================================

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინი და დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა

## I.

ლენინმა - 1921 წლის თებერვალ-მარტში - დაარღვია რა საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულება,-იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო. ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა ზოგიერთების მტკიცება თითქოს ლენინი დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი იყო. სინამდვილეში ლენინი იყო არა საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი,არამედ ამ ფაქტის გახმაურების წინააღმდეგ ევროპაში,სადაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს დიდი სახელი ჰქონდათ. ამიტომ წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში: "რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ამ საკითხს მოსკოვში, ჩანს იქიდან - წერს ნოე ჟორდანია -, რომ როცა ლენინმა გაიგო ჩვენი გასვლა, განაცხადა - წაგებული ვართო."ამგვარად, ლენინი დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი კი არ ყოფილა, არამედ ცდილობდა თავი აერიდებია "ქართული საკითხის" გახმაურებისათვის განსაკუთრებით ევროპაში, მაგრამ,ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს წესყობილების დასმობა ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს შინაგანი არეულობების მოწყობის გზით, ლენინ-სტალინ-ტროცკიმ უბრძანეს წითელ არმიას გადაელახათ საქართველოს სამხედრო საზღვრები 1921 წლის 11-ს თებერვალს.

## II.

ამის შესახებ, ლეო ტროცკი, თავის წიგნში "სტალინი",რომელიც მან დაწერა და გამოაქვეყნა ემიგრაციაში, საქართველოს საზღვრების გადალახვაში ადანაშაულებს სტალინს და წერს: "როგორც ჩანს სტალინმა დაივიწყა, რომ ხელმოწერილი იყო მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება საქართველოსთან 1920 წლის 7-ღ მაისს, და 1921 წლის 11-ს თებერვალს წითელმა არმიამ მიიღო ბრძანება გადაელახა საქართველოს საზღვრები."

მაგრამ 1922 წელს,აპრილში,როცა იგი იყო წითელი არმიის სახალხო კომისარი, ტროცკიმ განაცხადა:
"ჩვენ განზრახული არ გვაქვს დავტოვოთ საქართველო, მაგრამ თუ ისეთი სიტუაცია შეიქმნება, რომ ჩვენ უნდა დავტოვოთ იგი, მაშინ,სანამ დავტოვებთ მას, ისე მივარტყამთ კარებს, რომ საქართველოდან არავერი, ერთი აგურიც კი აღარ დარჩებაო".

## III.

გაზეთი "კომუნისტი" 1921 წლის 5-ი მაისის ნომერში,ე.ი.დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის 5-ი კვირის შემდეგ, სხვათა შორის, წერდა:
"საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ,ჩვენმა მეგობარმა კლასობრივ ბრძოლაში, დაგვეხმარა ჩვენ და გადაგვარჩინა ანტანტის ბრჭყალებიდან".

## IV.

ლავრენტი ბერიამ 1936 წლის თებერვალში, საქართველოს ე.წ-ლი"გასაბჭოების",ე.ი.დაპყრობის მე-15 წლისთავზე ჭირლაპირ განაცხადა:
"1921 წლის თებერვალში საქართველო განთავისუფლებულ იქნა ჩაგვრისაგან საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის დახმარებით და შესძლო საბჭოთა დიქტატურის დამყარება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

V.

ვიაჩესლავ მოლოტოვმა, საქართველოს ე.წ-ლი "გასაბჭოების" მე-15 წლისთავზე, თავის მხრივ, განაცხადა:

"მხოლოდ დახმარებამ, რომელიც მიღებულ იქნა დიდი ოქტომბრის რევოლუციისაგან, შესაძლებელი გახადა მენშევიკური მთავრობის ჩამოგდება. ქართველი ხალხის განთავისუფლება დაიწყო მაშინ, როცა ბოლშევიკურმა რევოლუციამ გაიმარჯვა რუსეთში წითელი არმიის ძალით, რომელმაც 1920-ც და 1921-თ წლებში გაუწია საჭირო დახმარება ქართველ ხალხს და შემოვიდა საქართველოში."

VI.

ფილიპე მახარაძემ კი 1921 წლის 6-ს დეკემბერს მოხსენება წარუდგინა საბჭოთა რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოსკოვში, რომელშიც ის საქართველოს ე.წ-ლი "გასაბჭოების" შესახებ, სხვათა შორის, წერდა:

"წითელი რამიის შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში მიიღო უცხოეთიდან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან თვით ქვეყანაში არ მოიპოვებოდა არავინ, ვინც იქნებოდა მზად მონაწილეობა მიეღო აჯანყებაში ან რევოლუციაში. საბჭოთა რეჟიმის დამყარების დროს მთელს საქართველოში არ მოიპოვებოდა პარტიის არც ერთი წევრი, რომელსაც შეეძლებოდა ორგანიზებული მოქმედება ან უზრუნველეყო ხელმძღვანელობა და ამ მიზნის განხორციელება დაეკისრათ უმთავრესად საეჭვო ან კრიმინალურ ელემენტებსაც კი...ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ქართველი ხალხის მასები შეეჩვია საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას...ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ჩვენ ვმუშაობთ იმისათვის, რომ შევქმნათ დამოუკიდებელი საქართველო...მაგრამ ჩვენ სისტემატიურად ვდგამთ ნაბიჯებს, რომლებიც არარაობად აქცევს ამ შეპირებას".

VII.

ამგვარად, ლენინმა- დაადგა რა მეფის რუსეთის იმპერიალისტურ-კოლონიური პოლიტიკის გზას - იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო, და საქართველო გახდა ბოლშევიკური იმპერიალიზმის პირველი მსხვერპლი.

კარლო ინასარიძე, 1986 წლის 25 თებერვალი

## დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

(ამონაწერები)

I.

### საქართველოს მთავრობის განცხადება
### საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოში შეჭრისა და დაპყრობის შესახებ

*1921* წლის *19* მარტს საქართველოს მთავრობა, რომელმაც ძალაუფლება ხალხის ნება-სურვილით მიიღო, რაც გამოიხატა საყოველთაო საარჩევნო ხმისმიცემით, იძულებული გახდა თავისი ქვეყანა დაეტოვებინა. ეს იძულება გამოიწვია საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციამ, რომელმაც ხალხს თავისუფლება და დამოუკიდებლობა წაართვა და მის მთავრობას მოუსპო საშუალება მისი საქმიანობის წარმოებისა ეროვნულ მიწა-წყალზე.

II.

ფაქტები ნათლად ადასტურებენ:

1. არა შინაურმა მოძრაობამ, გამომდინარემ თუნდაც ხალხის უმცირესობისაგან, არამედ უხეშმა გარეშე ძალამ დაარღვია ხალხის მიერ თავისუფლად მიღებული დემოკრატიული კონსტიტუციური წესწყობილება და მის ნაცვლად შემოიღო საბჭოთა რუსეთიდან გადმოღებული ინსტიტუტი.
2. ქართველმა ხალხმა გმირული წინააღმდეგობა გაუწია მტერს და მან, თავისი მთავრობის ირგვლივ დარაზმულმა, თავისი მიწა-წყალი დათმო მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ამოწურა წინააღმდეგობის ყველა შესაძლებლობა.
3. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არის უცხო ჯარის მიერ ქვეყნის სამხედრო ოკუპაცია.

იძულებული, ბოლშევიკური ოკუპაციის გამო, დატოვოს ეროვნული მიწა-წყალი, საქართველოს მთავრობა აგრძელებს დამფუძნებელი კრებიდან მიღებული მანდატის და იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც მან ხალხის წინაშე იკისრა, იცავს რა იმ ხალხის ინტერესებს იმ სახელმწიფოების წინაშე, რომლებმაც იცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

პარიზი. 1921 წლის აპრილი

(საქ. მთავრობის ეს წერილობითი მოხსენება ამოღებულია: „DOCUMENTS relatifs a la question de la Georgie devant la Societe des Nations"-დან. Edition de la Legation de georgie en France. Paris 1925.)

## III.

### მთავარი შტაბის [illegible] კომუნიკე

12 თებერვალი: „ღამით 11-დან 12 თებერვალს, რეგულიარული ჯარის ნაწილები, სომხეთის მხრით, მოულოდნელად დაესხნენ თავს ბეზობდალით ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს სადგურ შაგალისთან და სოფელ შინიხთან, ბორჩალოს მაზრაში. ამავე დროს, ბორჩალოს მაზრაში მოსაზღვრე მოსახლეობის ნაწილმა, შემდგარმა სომხებისა და რუსებისაგან, მოახდინა აჯანყება და შეუერთდა თავდამსხმელებს, მეორე ნაწილი კი ჩვენი ერთგული დარჩა და თავის დროზე შეგვატყობინა განზრახული თავდასხმის შესახებ. ბეზობდალის მხრით თავდამსხმელნი გავფანტეთ. ვორონცოვკის რაიონში აჯანყება დაძლეულია. შაგალის, უზუნლარის და შინიხის რაიონებში ბრძოლა სწარმოებს.

## IV.

14 თებერვალი: 13 თებერვალს ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ ბრძოლებს ვორონცოვკის და სადახლოს სამხრეთით. ხელში ჩაგვივარდა ტყვეები რომლებიც მოწმობენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედობენ სომხურ-რუსული საბჭოთა ჯარები.

## V.

15 თებერვალი: 14 თებერვალს სადახლოს რაიონში წარმოებდა სროლა და მზვერავთა მოქმედება. მტერს ამ რაიონში აქტიურობა არ გამოუჩენია. ლორის ველზე მტერი შეეცადა გადმოსულიყო შეტევაზე, მაგრამ ჩვენი ჯარების ცეცხლმა მტრის ცდა გააქარწყლა. ღამით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ამ რაიონში უფრო ხელსაყრელი პოზიციები სიმაღლეებზე, რომლებიც ვორონცოვკის ჩრდილოეთით მდებარეობენ. არტილერიის ნაწილი, რომლის შესახებ 12 თებერვლიდან ცნობები არ გვქონია და რომელიც შინიხის რაიონში დაღუპულად ითვლებოდა, გზა გაიკაფა მის გარშემორტყმულ მტრის რკალში და მთის ბილიკებით გამოვიდა თავისიანებთან შესაერთებლად.

## VI.

19 თებერვალი: ღამით 18-დან 19 თებერვალს მტერმა დიდი ძალებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე თბილისის კარებზე. გაფთრებული ბრძოლა მთელი ღამე გაგრძელდა. მტერი უკუგდებული იქნა მძიმედ დაზიანებული და უწესრიგოდ მირბის. ჩვენ უკან მოვდევთ. ჯერ-ჯერობით ხელთ ვიგდეთ ათასი ტყვე.

## VII.

20 თებერვალი: კოჯორის რაიონში ჩვენ ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები და ტყვიისმფრქვევლები. მტრის დევნა გრძელდება. გაგრის რაიონში, მდინარე მეხადირზე წარმოებს ბრძოლა.

## VIII.

21 თებერვალი: 20-დან 21 თებერვლის ღამით მტერმა, ახლად შემატებული ჯარებით გაძლიერებულმა, ორჯერ შეუტია ჩვენს ნაწილებს კოჯორის რაიონში, ორჯერვე მან მოაღწია ჩვენს სანგრებამდე. პირველი იერიში მოგერიებული იქნა ხელით სასროლი გრანატებით, მეორე კი ხიშტით შეტაკებით დამთავრდა. ჩვენი ჯარები, მიუხედავად უკიდურესი დაღლილობისა, ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლის გამო, ორჯერ გადავიდნენ კონტრშეტევაზე და მამაცური თავდასხმით უკუაგდეს მტერი. ყველა შემდეგი ცდა მტრისა შემოტევა ჩვენი ნაწილებისათვის უკუგდებული იქნა ცეცხლით. დილის 8 საათზე, 21 თებერვალს მტერმა დაიწყო უკან დახევა. 20 თებერვალს დაიწყო მტრის შემოტევა აღლერის მხრით...

## IX.

22 თებერვალი: თბილისის მიდამოებში ჩვენი ჯარები მისდევენ კოჯორთან დამარცხებულ მტერს. გუშინ ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა და მზვერავმა რაზმებმა დაიკავეს სოფლები კუმისი და წალასკური. კუმისთან მოულოდნელი თავდასხმით ღამე, ჩვენებმა ხელთ იგდეს მტრის რვა ტყვიისმფრქვეველი, სამი ოფიცერი და 53 წითელარმიელი, წალასკურთან-ყუმბარის და პატრონების ყუთები. კახეთში დაიწყო ადგილობრივი გლეხების ძლიერი პარტიზანული მოქმედება ბოლშევიკური კავალერიის წინააღმდეგ. დარიალში, მტრის ცდა ჩვენს პოზიციებს მოახლოებოდა უკუგდებული იქნა.

## X.

23 თებერვალი: 22 თებერვალს თბილისის მდამოებში სიწყნარე იყო, მხოლოდ საღამოს დაიწყო მტრის მცირე ნაწილების შემოტევა ყარაიაზის მხრით, საგარეჯოზე. კახეთში გლეხების პარტიზანული ბრძოლა ძლიერდება. დარიალის ხეობაში მტრის შემოტევა უკუგდებული იქნა. გაგრის მიმართულებით მტერმა მრავალრიცხოვანი ძალებით შემოუტია ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს. ბრძოლები გრძელდება... (იხ. „ბრძოლა" №19-20. 1926 წ.)

## XII.

სამშობლოს მოღალატეების შესახებ

დამფუძნებელმა კრებამ 21 თებერვალს საღამოს სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის ულირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრებაადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, გამოცხადებული არიან ქართველი ხალხის მოღალატეებათ. მათ ერთმევათ ყოველივე ქონება და კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი   დ ი ნ ე ბ ა შ ი ა"

## "ახალი" ცვლილებანი კომუნისტურ ქვეყნებში

I.

"ყველაფერი დინებაშია", უცვლელი ყოფიერება შეუძლებელია, ვინაიდან ყოველი ყოფიერება მარადიული შექმნაა; და თუ ამ თვალთხედვას დავეყრდნობით, აქვს "ახალ" ცვლილებებს ადგილი კომუნისტურ ქვეყნებში?.. და თუ ამგვარ "ახალ" ცვლილებებს აქვს ადგილი კომუნისტურ ქვეყნებში, გამოწვეული ხომ არ არის იგი ხწორედ იმ კანონზომიერების უგულებელყოფით, რომ "უცვლელი ყოფიერება შეუძლებელია", და ვინც, - ხაზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც -, განუწყვეტელი ე ვ ო ლ უ ც ი ს  კანონზომიერებას "მალისმიერად"(დიქტატორულად) შეაფერხებს ან უარყოფს, კანონზომიერ  რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს, ე.ი.თავისთავის განწირვას უმზადებს ნიადაგს?.. მაგრამ ვილაპარაკოთ ფაქტები:

II.

პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ხოციალური თავის-უფლება, რომელიც ერისა და ადამიანის თავისუფლებას ეყრდნობა, როგორც ვხედავთ, მეტ-ნაკლებად, უფრო "შემომქმედი", უფრო ნაყოფიერი არის, ვიდრე პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-ხოციალური უთავის-უფლებობა, რომელიც ერისა და ადამიანის თავისუფლებას უარყოფს და ყველაფერს კრძალავს, რაც ნებადართული არ არის. პირველის ხამყარო ე.წ-ლი კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებიც "ისჩობიან" ხიმდიდრეში(ზოგიერთი მათგანი) იმ დროსაც კი, როცა ხოციალურ "ხამართლიანობისაგან" მეტად შორს არიან; მეორეს ხამყაროა კომუნისტური ქვეყნები, რომლებიც, მეტ-ნაკლებად, განუწყვეტელი პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-ხოციალური მანკიერების პირობებში იმყოფებიან, და უკვე მასების(ხალხის, ერების) დაგუბებული ბოღმის შეკავებას ველარ ახერხებენ.

III.

კომუნისტურ ჩინეთში, მიუხედავათ დენ სიაოპინის გაბედული რეფორმებისა, - შეუძლებელი ხდება, ხუ ცოტა, სტუდენტების "კომუნისტურ კალაპოტში" ჩაყენება. შანხაის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა,მაგალითად, გასული წლის მიწურულში, გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში და მოითხოვეს "უფრო მეტი" პრესის თავისუფლება. ხუ ცოტა, ჩინეთის ცხრა დიდ ქალაქში, დაწყებული გასული წლის დეკემბრიდან, სტუდენტებმა, მასობრივ დემონსტრაციებზე, მოითხოვეს "მეტი" დემოკრატია, ადამიანის უფლებების განხორციელება, პრესის თავისუფლება. ჩინეთის კომპარტიის ორგანო კი მოითხოვს, რომ ჩინეთმა არ უნდა წაბაძოს დასავლეთს;"ყველაფერი დასავლეთური არ არის კარგი";"ჩვენ გვსურს ხოციალისტური და არა კაპიტალისტური მოდერნიზაციო". ჩინეთის დედაქალაქის - პეკინის - სტუდენტებმა კი პლაკატებით წამოაყენეს მოთხოვნა-ლოზუნგი:"გაუმარჯოს დემოკრატიას!" "ძირს დიქტატურა!" შანხაის დონჯის უნივერსიტეტის ერთმა სტუდენტმა კი განაცხადა:"ჩვენ ისევ გამოვალთ ქუჩებში, მიუხედავათ იმისა, რომ პრესა, მთავრობა...ჩვენზე დიდ დაწოლას ახდენს".

IV.

მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის, საქართველოსათვის კომუნისტური ჩინეთი, მსოფლიო კომუნიზმის ეს ერთერთი ცენტრი, შორსაა არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ მისი პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-ხოციალური ტრადიციითაც, რაც განსაზღვრავს მის დღევანდელ ყოფიერებასაც. ჩვენთან, სამწუხაროთ,"ახლოსაა" მოსკოვი, "წმინდა კომუნიზმის" ეს ცენტრი, რომელიც განუკითხავათ ბატონობს ჩვენზე, საქართველოზე აგერ უკვე 66 წელიწადია; და აი, საბჭოთა კავშირშიც "ახალ" ცვლილებებთან გვაქვს საქმე:

V.

ერთი მხრივ, მაგალითად, თურქესტანის მოკავშირე რესპუბლიკაში, რომელშიც მოსკოვმა უკვე შესძლო ადგილობრივი მოსახლეობის უმცირესობაში მოქცევა, გადააყენეს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი, ყაზახი, დინმუჰამედ კუნაევი და მის ადგილას დანიშნეს რუსი - გენადი კოლბინი, რომელიც, სხვათა შორის, 1977-1983 წლებში იყო მოსკოვის,ასე ვთქვათ, "ნამესტნიკი" საქართველოში, კომპარტიის ცეკას მეორე მდივნად წოდებული. ყაზახი კუნაევის რუსი კოლბინით შეცვლამ კი გამოიწვია მასობრივი დემონსტრაციები თურქმენეთის მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქ ალმა-ატაში. ამ მოვლენას მოსკოვის რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორი, "პრავდა" დაუყონებლივ გამოეხმაურა და ყაზახი სტუდენტების დემონსტრაცია "ნაციონალიზმად" მონათლა და "ინტერნაციონალიზმის" განმტკიცება მოითხოვა, თუმცა, როგორც წესი, გვერდი აუარა იმას, რომ "ინტერ-ნაციონალიზმის" წინაპირობა "ნაციონალიზმია", რაშიც ყოველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნება-გაფურჩქვნა უნდა იგულისხმებოდეს. კიდევ მეტი:"პრავდამ" პირდაპირ განაცხადა, რომ თუთხმეტი მოკავშირე რესპუბლიკის ადგილობრივი ინტერესები სახელმწიფოს ინტერესებს უნდა"შეეწიროს".

VI.

მღელვარებას თურქმენეთში,რასაც,როგორც ამბობენ, ადამიანთა მსხვერპლიც მოყვა, - თითქმის დაემთხვა აკადემიკოს ანდრეი სახაროვის გასახლების გაუქმება და იგი,მისი მეუღლით, ისევ დაბრუნდა მოსკოვში, რასაც წინ უძღოდა, როგორც თვით სახაროვმა განაცხადა, მისი ტელეფონით საუბარი მიხეილ გორბაჩოვთან,რომელმაც, როგორც ჩანს, "დართო ნება" სახაროვს ისევ იმუშაოს მოსკოვში მეცნიერებათა აკადემიაში. ანდრეი სახაროვის შვიდ-წლიანი გასახლება მოსკოვიდან და ახლა მისი უკან დაბრუნება, არაკომუნისტური მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა, ვინაიდან სახაროვი ადამიანის უფლებათა დაცვის სიმბოლო გახდა მთელს მსოფლიოში,ე.ი.თვით საბჭოთა კავშირშიც, რამდენადაც ეს ცნობილია კომუნისტურ ქვეყნებში.

VII.

თურქმენეთის მოვლენებსა და სახაროვის მოსკოვში დაბრუნებას დაემთხვა აგრეთვე ერთი, მოსახლეობისათვის,შეიძლება, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა:"კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ", რომელიც ძალაში შედის 1987 წლის მაისიდან, და რომლითაც, საბჭოთა კავშირის ხრულიად გასახელმწიფოებული სახალხო მეურნეობის გვერდით, დაშვებულია განსაზღვრული ინდივიდუალური შრომა-საქმიანობა, მაგრამ ახევე გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ა იმ პირთა სფეროც, რომლებსაც შეეძლებათ ამ კანონის საფუძველზე ინდივიდუალური შრომა-საქმიანობა, რაც განცალკავებულ განხილვას მოითხოვს, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ეს კანონი ძალაში შევა. ამ-ჯერად კი, უთუოთ, ჩაფიქრების ღირსია ანდრეი სახაროვის,ასე ვთქვათ,"რეაბილიტაცია", თურქმენეთში მომხდარი ამბების ფონზე.

VIII.

ადრეი სახაროვი, როგორც ავღნიშნეთ, "ადამიანის უფლებათა დაცვის" სიმბოლო გახდა არა მარტო საბჭოთა კავშირში, რაც მედალის მხოლოდ ერთ მხარედ მეჩვენება იმიტომ,რომ ადამიანის უფლებები, უდავოა, სამკვდრო-სასიცოცხლოდაა გადაჯაჭვული ე რ ი ს უფლებებთან, ვინაიდან ადამიანი შეუძლებელია იყოს თავის-უფალი თუ ერი არ არის თავის-უფალი. ერისა და ადამიანის უფლებები, უეჭვოა, ერთი ცნებაა, რომლის დანაწევრება მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებებითაა შესაძლებელი, და,უთუოთ, ასე ფიქრობს თვით ანდრეი სახაროვიც, თუმცა უნდა ითქვას: საბჭოთა რუსეთში არსებულ თავისუფლად-მოაზროვნეებთა მიზნები, მოთხოვნები - საბჭოთა კავშირში მოქცეული ყველა ერის,მაგალითად,ქართველი ერის მოთხოვნებს, სამწუხაროდ, ვერ აკმაყოფილებს.

IX.

საბჭოთა რუსეთში დისიდენტები, უფრო სწორად, თავისუფლად-მოაზროვნეები შეიძლება მივაკუთვნოთ სამ მთავარ მიმართულებას:

პირველია, ასე ვთქვათ,"ლიბერალები", რომლებიც საზოგადოების დემოკრატიზაციისაკენ მიისწრაფვიან; და ამათთაგან ყველაზე უფრო პოპულარულია აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი.

მეორე მიმართულებაა - "ქრისტიანული", რომელიც რუსულ ქრისტიანულ ტრადიციებსა და ზნეჩვეულებებს ეყრდნობა, რომლის ყველაზე უფრო სახელმოხვეჭილი წარმომადგენელია ალექსანდრე სოლჟენიცინი.

მესამე მიმართულებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისინი, რომლებიც კომუნიზმს ქადაგებენ, მაგრამ მისი განხორციელების ბოლშევიკურ პრაქტიკას ყალბად მიიჩნევენ. ამ მიმართულების ყველაზე უფრო პოპულარული წარმომადგენელია როი მედვედევი, ისტორიკოსი, ემიგრაციაში(ლონდონში) მცხოვრები ბიოლოგის - ჟორეს მედვედევის ძმა.

X.

ქართველ თავისუფლად-მოაზროვნეებში, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ყველაზე უფრო ფეხი მოიკიდა "ლიბერალურმა" მიმართულებამ, თუმცა, ვთქვათ, ანდრეი სახაროვი არ აყენებს წინაპლანზე ე რ ი ს თავისუფლებას, რაც არა მარტო ქართველი თავისუფლად-მოაზროვნეებისათვისაა მთავარი დერძი. სახა-

როვი, როგორც რუსი, უფრო "გლობალური", ვიდრე "რეგიონალური" მასშტაბით აზროვნობს, როცა ამბობს:
"კაპიტალიზმი და სოციალიზმი უნარიანია გრძელვადიანი განვითარების გზას გაყვეს, რომლის დროს პოზიტიური ელემენტები ურთიერთ მიეკედლება და მთელ რიგ მნიშვნელოვან პუნქტებში დაუახლოვდებიან", - ამბობს ანდრეი სახაროვი, რაც სხვა არაფერია თუ არა ე.წ-ლი"კონვერგენციის", ე.ი."დაახლოების" თეზისი, რომლის მიმდევრები დასავლეთშიც მოიპოვებიან. მაგრამ ამგვარი გრძელვადიანი პროცესის გარდა, ანდრეი სახაროვი - ადამიანის უფლებების დაცვის გვერდით, - მოითხოვს აგრეთვე მშრომელთათვის გაფიცვის უფლებას და სიკვდილის დასჯის გაუქმებას, და - რაც არსებითია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის და ამით საქართველოსათვის - იგი მოითხოვს იმის უფლებას, რომ დისკუსია, დია დისკუსია დაიწყოს ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ.

XI.

ეხება რა ბოლშევიკურ სისტემას, სახაროვი ამბობს:"დღემდე სოციალიზმი ყველგან და გარდაუვალად ნიშნავს ერთპარტიულ სისტემას, გაუმაძღარი და უუნარო ბიუროკრატიის ბატონობას, კერძო საკუთრების ჩამორთმევას, საიდუმლო პოლიციის ტერორს და სიტყვისა და აზრის გამოთქმის თავისუფლების გაუპატიურებას". და აქაც, როგორც ჩანს, სახაროვი რუსეთის "გლობალურ მისიაზე" ფიქრობს, როცა ამბობს:"მეორე ინდუსტრიული რევოლუციის პროცესში, რუსეთი ჩამორჩება კაპიტალისტურ ქვეყნებს და თანდათანობით პროვინციალური სახელმწიფომდე დაეცემა..."

XII.

მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობის ე.წ-ლი "ახალი"ცვლილებების იძულებით ბ ა ზ ა დ, უდავოა, უნდა მივიჩნიოთ,მსოფლიოს მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებიდან,"ჩ ა მ ო რ ჩ ე ნ ი ლ ო ბ ა" პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალურ სფეროებში: ადამიანისა და ერის უთავისუფლებობას - ყველა კომუნისტურ ქვეყანაში,პირისპირ უდგას აღნიშნულ თავისუფლებათა თანდათანობითი აყვავება,სულ ცოტა, ევროპის არაკომუნისტურ ისეთ ჯუჯა სახელმწიფოშიც კი, როგორიცაა,ვთქვათ, ლიუქსენბურგი. კომუნისტური ქვეყნების ეკონომიკურ უთავისუფლებობას და ამით ჩამორჩენილობას პირისპირ უდგას კაპიტალისტური ქვეყნების იმდენად აყვავებული ეკონომიკა, რომ პრობლემადაა ქცეული არა ყოველი ჯურის საქონლის წარმოება, არამედ მათი გაყიდვა. კომუნისტური ქვეყნების კულტურულ კარჩაკეტილობას და ე.წ-ლი"სოციალისტური რეალიზმის" დოგმებს წინ უდგას არაკომუნისტური ქვეყნების კულტურის ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ ი განვითარება ყოველგვარი იდეოლოგიური არტახების გარეშე. კომუნისტური ქვეყნების მოსახლეობის მოჩვენებით სოციალურ უზრუნველყოფას წინ უდგას,სულ ცოტა, მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობის მაღალი ცხოვრების დონე, რომლის დროს თვით უმუშევრებიც კი , მეტ-ნაკლებად,
იმდენად უზრუნველყოფილი არიან, რომ ნორმალური ცხოვრება შეუძლიათ. და რამდენადაც დრო გადის, კომუნისტური ქვეყნების ჩამორჩენილობა სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს; და აი, ჩვენის აზრით,ეს არის მიზეზი იმისა, რომ მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობა ცვლილებების, ფრთამოტეხილი რეფორმების გზას ადგება.

XIII.

წარმოიდგინეთ, მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობის და ამით საბჭოთა სისტემის მესოტბეებიც კი, რომლებიც, თით-ოროლა, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების პარლამენტებშიც კი ზიან, - უკვე "განცვიფრებული" დარჩენ საბჭოთა სინამდვილის გაცნობისას:"ყველაფერი ისე გამოიყურება,როგორც ორმოცდაათიან წლებში...ჩვენთან.საბჭოთა მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევა-ძიების ცენტრში მეცნიერები გულდიათ ელაპარაკობდენ ჩვენთან, მაგრამ მათ კაბინეტში იდგა მხოლოდ ძველი ამერიკული კომპიუტერი", - განაცხადა,მაგალითად, დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატმა, ეკოლოგიურ პარტიიდან, ქალბატონმა პეტრა კელიმ, და დასძინა:"მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგება მანკიერია: ბევრი რამ საერთოდ არ იშოვება".

XIV.

ყველაფერი ეს ჩვენთვის "ახალი" არ არის; ყველაფერი ცნობილია ბოლშევიკური სისტემის გაბატონების დღიდან. მაგრამ, შეიძლება,"ახალი" ის არის, რომ, მაგალითად, საბჭოთა კავშირის მწერალთა ყრილობაზე, 1986 წელს, მოსკოვში, მიხეილ გორბაჩოვმა თქვა: "ჩვენ არ გაგვაჩნია ოპოზიცია. როგორ შეგვიძლია ჩვენ თვითონ ჩვენი თავი გავაკონტროლოთ? მხოლოდ კრიტიკითა და თვითკრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკით, უმთავრესად საზოგადოებრივით." "მე ვიცი, - უთქვამს გორბაჩოვს ვიწრო წრეში - წინააღმდეგობას აქვს ადგილი აპარატში. ამ აპარატმა კისერი მოუგრისა ხრუშჩოვს, მაგრამ ჩვენ არ უნდა მივცეთ მას ამის გამეორების საშუალებაო".

და დაუყონებლივ გამოაქვეყნა "ლიტერატურულმა გაზეთმა" ამგვარი "ახალი" რეფორმების მოწინააღმდეგეთა არგუმენტები: "თვითმმართველობა, დამოუკიდებლობა, მაშინ რა რჩება ჩვენთვის გასაკეთებელი? ამიდან არაფერი არ გამოვა... და რატომ? - იმიტომ, რომ ეს ჩვენი გზა არ არის. ეს არ შეესაბამება მთელ ჩვენ სისტემას."("შპ.",1-1987,გვ.87).

XV.

ამგვარად, საბჭოთა კავშირში, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, საბჭოთა რ უ ს ე თ შ ი გორბაჩოვი თუ მისი "ახალი" რეფორმების კრიტიკოსები, სახაროვი თუ სოლჟენიცინი - ყველა, გასაგებია, რუსეთის, რუსი ერის ბედ-იღბალზე, მის აწმყოსა და მომავალზე ფიქრობენ. მაგრამ - გასაკვირია მაგრამ ფაქტია - არც ერთი მათგანი არ ფიქრობს რუსეთის იმპერიის სფეროში მოქცეული ქვეყნების, ერების სრულ თავისუფლებაზე, ე.ი. რუსეთის იმპერიის დაშლაზე. სახაროვი, მაგალითად, ეს, უთუოთ, დიდი ჰუმანისტი, თავგადადებით იცავს ადამიანის უფლებებს, რაც, უდავოა, დიდი და კეთილშობილი საქმეა. მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს, მაგალითად, ადამიანის უფლებები საქართველოში, თუ ქართველი ერი არ იქნება თავის-უფალი?.." ვითომ ამისათვის საკმარისია, როგორც სახაროვი ამბობს, - დისკუსიის დაწყება მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენობის შესახებ?..

XVI.

ამდენად, სტალინური საბჭოთა სისტემის "გადემოკრატიულება", ჩვენის აზრით, შეუძლებელია, ვინაიდან სტალინური სისტემა გაბატონებულია არა მარტო საბჭოთა რუსეთში, არამედ იგი არის რუსეთის "ახალი" იმპერიის "ახალი" იდეოლოგია. მისი "გადემოკრატიულება" უცილობლად ნიშნავს ამ იმპერიის დანგრევას, რაც კანონზომიერი და, ჩვენის აზრით, გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ა, სურს ეს მოსკოვის პარტხელმძღვანელობას და მის დასავლეთელ - შეგნებულ თუ შეუგნებელ "მხასურებს" თუ არა. ამგვარად, ჩვენის აზრით, მხოლოდ იმ იდეას აქვს დღეს განვითარების შესაძლებლობა, რომელიც (ცენტრისკენულ კი არა) ცენტრიდანულ ძალებს გამოსახავს, და ამგვარი იდეა არის, თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარი - ერისა და ადამიანის თავისუფლება.

XVII.

რა თქმა უნდა, დიქტატორული არტახების ოდნავი მოშვება, -არის ეს ინდივიდუალური მეურნეობის სფეროს გაფართოება თუ სახაროვისათვის ისევ მოსკოვში ცხოვრების უფლების მიცემა - პაწარ-პაწარა დათმობებია, თუმცა, თუ შეიძლება ასე ითქვას, "ქართველი ერის სინდისის" ერთერთი წარმომადგენლის - თავისუფალ-მოაზროვნის მერაბ კოსტავას განთავისუფლების შესახებ არაფერი არ ისმის. მაგრამ ამგვარი პაწარ-პაწარა დათმობები საბჭოთა სისტემას და მის სახიათს ვერ ცვლის და არც შეუძლია შეცვალოს. "ახალ" ცვლილებებს საბჭოთა კავშირში მხოლოდ მაშინ ექნებოდა ადგილი, თუ, გაბატონებული კომუნისტური პარტიის გვერდით, დაშვებული იქნებოდა მეორე პოლიტიკური პარტია, ე.ი. ოპოზიციური პარტია, რომელსაც მიეცემოდა მოღვაწეობის სრული თავისუფლება. მაგრამ ეს ხომ სინამდვილესთან მეტად შორსაა?!..

XVIII.

აბა, იმედის მომცემი ის არის, რომ უცვლელი ყოფიერება შეუძლებელია, "ყველაფერი დინებაშია;" და თუ მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობა არ დ ა ა დ ც ე ბ ა  ა რ ს ე ბ ი თ ი  ცვლილებების, ე.ი. ევოლუციის გზას, (თუ ეს შესაძლებელია საერთოდ საბჭოთა სისტემის პირობებში,)- მაშინ თვითონ არ თხრის თავის საკუთარ სამარეს?!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1987 წლის თებერვალი
================================

"ყოველ ხალხს მუდამ აქვს უფლება სრული თავისუფლების პირობებში განსაზღვროს საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარედან ჩაურევლად".

ევროპაში უშიშროებისა და
თანამშრომლობის თათბირის
დასკვნითი აქტი(1975 წ.).
==========================

# აგვისტოს აჯანყების 62 წლისთავი

ვწუხვარ, რომ ვერ ვღებულობ მონაწილეობას 1924 წლის 28-29 აგვისტოს ეროვნული აჯანყების სამოცდა-მეორე წლისთავის აღნიშვნაში. მიზეზი? - ეს არის ჩემი ღრმა მოხუცებულობა./ მე აგვისტოს ისტორიული მოვლენის შესახებ, მხოლოდ ორჯერ წარმოვსთქვი სიტყვა: პირველად, პარიზში, "სოსიეტე სავანტ" ის დარბაზში, 1954 წელს, როცა ქართული სათვისტომოს თავჯდომარე იყო ბატონი ლევან ზურაბიშვილი, და,მეორეჯერ ლევილში, 1967 წელს. რა თქმა უნდა, ყოველთვის საჭირო სდება ერთხელ ნათქვამის განმეორება. მაგრამ, ამჯერად, მე მხოლოდ უფრო 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შედეგებს მსურს შევეხო - საქართველოში და აქ, უცხოეთში. მე, როგორც ცნობილია, უკვე გამოვეცი ჩემი მოგონებები აგვისტოს აჯანყების შესახებ, 1953 წელს, და ავწერე, თუ როგორ ავიღეთ მაშინდელი სამაზრო ქალაქი ჭიათურა, რომელიც იყო მუშათა ქალაქი. აჯანყებულებს საქართველოში სხვა სამაზრო ქალაქი,სამწუხაროთ, არ აუღიათ. შეიძლება მე ჩემს მოგონებებში ზოგი პიროვნება, რომელმაც მონაწილეობა მიიღო აგვისტოს აჯანყებაში, გამომრჩა, ზოგიერთის დახასიათება კი, შეიძლება, გადამეტებულია, მაგრამ მე ვწერდი ჩემს წიგნში, რომ ყველას აქვს უფლება თავ-თავიანთ მოგონებებში აღნიშნოს თუ ჩემ მოგონებებში რაიმე შესასწორებელია, და ამ გზით საშუალება მიეცემა მომავალ ისტორიკოს საქმის ნამდვილი ვითარება გაიგოს.

ახლა მე მსურს მოკლედ ვთქვა ის, თუ რას ვიტყოდი აგვისტოს აჯანყების სამოცდა-მეორე წლისთავზე. მე მივიღე ცნობა საქართველოდან, რომელშიც სწორედ აგვისტოს აჯანყების წლისთავზეა ლაპარაკი.

აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, ერთი ნაწილი მონაწილეებისა, წამოვიდა უცხოეთში, ნაწილი კი მეტეხის ციხეში მოათავსეს, ზოგიერთები კი გაანთავისუფლეს./

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი აწარმოებდა აღრიცხვას თუ რამდენი აჯანყებული დახვრიტეს. ამავე დროს საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ცეკამ მოიწვია პარტიის მესამე არალეგალური ყრილობა და აირჩია ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა. ეს მოხდა 1925 წლის 9 ივნისს. ამ ახალმა ცეკამ დამოუკიდებლობის კომიტეტის,ე.ი."დამკომის" წევრთა გასამართლებისას, ყველას უშოვნა ვექილები.ეს ნაფიცი ვექილები იყვნენ - ლვამ ჩავა და აკაკი ცყემალაძე, რომლებმაც შესძლეს"დამკომის" დაპატიმრებულ წევრთა გადაყვანა მეტეხის ციხეში. სოციალდემოკრატიული პარტიის ცეკას მათთან ჰქონდა კავშირი, როცა უცხოეთიდან ჩამოსული დელეგატები მათ ნახულობდნენ მეტეხის ციხეში. აქ იჯდა ციხეში დამოუკიდებლობის კომიტეტის თავჯდომარე - კოტე ანდრონიკაშვილი, რომელიც ინახულეს ინგლისის ტრედუნიონის დელეგაციის წევრებმა და აგრეთვე გერმანიის დელეგაციის წევრებმა. ამ ორი დელეგაციის წევრებთან საუბარი აღწერილი აქვს კოტე ანდრონიკაშვილს, რაც გამოვიცანეთ უცხოეთში და გამოვაქვეყნეთ. ამასთანავე, შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით დახვრეტილთა ოჯახებს.

ახლა, ვინც უცხოეთში ცხოვრობს, ყველამ იცის, თუ რა გამოხმაურება ჰქონდა უცხოეთში 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას, როგორც სოციალისტურ ინტერნაციონალში, ისევე ბურჟუაზიულ პრესაში. ეს ყოველმხრივ დაბეჭდილია და გამოცემული. 1924 წლის აგვისტოს ეროვნულ აჯანყებას უფრო დიდი გამოძახილი ჰქონდა უცხოეთში, ვიდრე 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომს, როცა რუსეთმა დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო. მაშინ, 1921 წელს, ლენინის მთავრობა უპასუხებდა ევროპის პრესას, რომ აჯანყდა საქართველოს მშრომელი გლეხობა და მუშები - ბურჟუაზიული მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და გვთხოვა დახმარება და ჩვენმა წითელმა არმიამ გაუწია დახმარება ქართველ მშრომელ ხალხს. მაგრამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებამ ბოლშევიკებს პირში წყალი ჩაუგუბა, როცა,მაგალითად, ფრანგმა სოციალდემოკრატმა, საქართველოს დიდმა მეგობარმა - პიერ რენოდელმა - გამოსცა წიგნი 1924 წლის აჯანყების შესახებ, ფრანგულ ენაზე. აგრეთვე სიტყვით გამოვიდა საფრანგეთის პარლამენტში პროფესორი მუტე და პოლ ბონკური.

საქართველოს ეროვნული მთავრობის თავჯდომარემ - ნოე ჟორდანიამ - დეპეშით მიმართა ე რ თ ა ლ ი გ ა ს, ჟენევაში, და ერთა ლიგის ყრილობაზე გაგზავნილ იქნა საქართველოს ელჩი საფრანგეთში - აკაკი ჩხენკელი.

ჟენევაში დიდი გამოხმაურება ჰქონდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას: ინგლისის დელეგატმა მაკდონალდმა, საფრანგეთის დელეგატმა პოლ ბონკურმა და ბელგიის წარმომადგენელმა დებრუკერმა მიიღეს სპეციალური რეზოლუცია საქართველოს სასარგებლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტურმა ინტერნაციონალმა ინგლისში, ირაკლი წერეთლის მონაწილეობით, მიიღო რეზოლუცია საბჭოთა რუსეთმა გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოდან. შვეიცარიაში შეიქმნა საქართველოს დახმარების კომიტეტი,რომლის თავჯდომარე.იყო, პროფესორი ჟან მარტენი. ცნობილმა ორგანომ - "ჟურნალ დე ჟენევმა" ორი თვის განმავლობაში გამოაქვეყნა უამრავი ცნობები საქართველოს შესახებ და წერდა, რომ რუსეთმა იარაღის ძალით დაიპყრო პატარა საქართველო, საქართველო იბრძვის და საქართველოს უნდა დაუბრუნოს თავისუფლება. ყველა ეს მასალა გამოქვეყნებულია ჩვენს გაზეთ "დამოუკიდებელ საქართველოში" და "ბრძოლაში". მრავალი წიგნიც იქნა გამოცემული 1824 წლის აჯანყების შესახებ, და აგრეთვე ბევრი ცნობა გამოაქვეყნა აგვისტოს აჯანყების შესახებ ქართულმა გაზეთმა აქ,უცხოეთში,"პრომეთემ",რომელიც გამოდიოდა გიორგი გვაზავას რედაქტორობით.

1924 წლის 28-29 აგვისტოს სახალხო აჯანყებასთან დაკავშირებით, ბევრი იწერებოდა იმის შესახებ, თუ რამდენი აჯანყებული დახვრიტეს ბოლშევიკებმა, აჯანყების შემდეგ, ზესტაფონის ახლოს, სანერგესთან, რკინის გზაზე. ზოგიერთები ანგარიშობდნენ ხუთასზე-მეტს. მე, რაც შემეძლო,გამოვარკვიე ეს საკითხი,ჩემი საქართველოში ყოფნის დროს, და თვით დამოუკიდებლობის კომიტეტის თავჯდომარემ - კოტე ანდრონიკაშვილმა - 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ დახვრეტილთა რაოდენობა სულ სამი-ათას-ცხრაას-თვრამეტი კაცით განსაზღვრა. ამ რიცხვიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის სახელი და გვარი გამოაქვეყნა თვით ბოლშევიკურმა პრესამ; ესენია:

ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვალიკო ჯუღელი, გოგიტა ფაღავა,გიორგი წინამძღვრიშვილი, მიხეილ გვილია, თედორე ახათიანი, გაბო ციხკარიშვილი, ვასო ნოღაია, ცუცუ გვარამია, ვიქტორ ცერცვაძე, ვანო ცომაია, მისა სასაბაშვილი, გიორგი სალუქვაძე, ვარლამ კაპანაძე, აკაკი ქოჩიაშვილი, ილია რუხაძე, ბაგრატ ნებერიძე, ვანო ღლონტი, გერასიმე ფირცხალაიშვილი, გიორგი გაეჭინი, ვანო მურმანიშვილი.

მეორე სია:

ანდრონიკაშვილი კონსტანტინე,გენერალი, წულუკიძე ვარდენი,გენერალი, სიმშიაშვილი გიორგი, პოლკოვნიკი, მუსხელიშვილი როსტომ, აფხაზი კონსტანტინე, ზანდუკელი მიხეილ, ბაგრატიონი მუხრანსკი, ყარალაშვილი ფანოზ, კერესელიძე იასონ, ქუთათელაძე ივანე, ჯიბრიშვილი სიმონ, მაჭავარიანი ალექსანდრე, გულისაშვილი ელიზბარ, კლიმიაშვილი ირაკლი, ჩრდილელი დიმიტრი.

როგორც აღვნიშნე, ამ ორ სიაზე მეტი ბოლშევიკებს არ გამოუქვეყნებიათ, მაგრამ დამოუკიდებელი კომიტეტის,ე.ი."დამკომის" თავჯდომარემ - კოტე ანდრონიკაშვილმა - მეტეხში, იგლისის მუშათა დელეგაციას გადასცა სია, რომ ბოლშევიკებმა,აჯანყების შემდეგ, - დახვრიტა სამი-ათას-ცხრაა-თვრამეტი კაცი. და ეს ცნობა მე გამოქვეყნებული მაქვს აგრეთვე ჩემს "მოგონებაში", რომელიც გამოვიდა აქ,პარიზში, 1953 წელს(გვ.241).

<u>ვალიკო ჩუბინიძე</u>

"უპირველეს ყოვლისა სული უნდა გრძნობდეს ბედნიერებას; იგი, როგორც გაზაფხულზე ბუნება, უნდა ყვაოდეს, უნდა მწვანდებოდეს, უნდა იყოს ცხოველმყოფელი, მქმნელი სიცოცხლისა, ცოცხალ არსებათა მომცემი და ამასთან უსათუოთ თავისუფალი როგორც გაზაფხულზე ბუნება."
"მონობა სიკვდილია - თავისუფლება სიცოცხლე და ბედნიერება. მონობაში არწივი ას წელს ვერ ცოცხლობს, თავისუფლებაში კი ორასსაც გადააჭარბებს."

ვაჟა-ფშაველა

# ქართული ტრაგედია ბამის მშენებლობაზე

ჩვენი ქვეყნის მრავალ საუკუნოვან არსებობის ისტორიაში, უთვალავი შემთხვევებია მოთხრობილი, როდესაც გარეშე მტრების განუწყვეტელი თავდასხმების და მის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების შედეგებით, გამოწვეული სვედრი იყო, მოსახლეობის შემადგენლობის განდევნა სამშობლოდან ტყვეობის სახით.

აგრეთვე ისტორიამ შემოინახა შემთხვევები, საკმარისი რაოდენობით, შინაურ ცხოვრებაში, ფეოდალთა ურთიერთ შორის განუწყვეტელი ბრძოლებით წარმოშობი და, ეროვნული ტრაგიზმის მომცველი, თავის სამწუხარო და საშინელი შედეგებით, რომლებიც მსხვერპლად იწირავდა, ერის ძირითად მასას, როგორც ბრძოლის საწარმოვო იარაღს, არა თუ მარტო ფიზიკური ხოცვა-ჟლეტით, არამედ აგრეთვე, სამშობლოდან უცხოობაში წარეკვით, გასაყიდათ, როგორც პირუტყვთა ჯოგისა.

ამ ძლიერ სამწუხარო და უდავთ სარწმუნო ისტორიულ სინამდვილის ფაქტებს, დღევანდელ ჩვენ საუბარში ვერ მოვაქცევთ, მსჯელობის და განხილვის საგნად, ვინაიდან ეს [illegible]ელი შესათავსებელია, დღევანდელი ჩვენი გაგებისათვის, ლათინური ტერმინის ემიგრაციის მცნებაში.

იმ დროინდელი სოციალური მდგომარეობიდან წარმოშობილი საკითხის ასეთი გაგების ნათელსაყოფად გავიხსენოთ, ჩვენი ისტორიის უახლოესი საუკუნეებიდან უბრალო, მაგრამ სოციალური სიმწვავის გამომხატველი მაგალითი: მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს, რუსეთის მეფემ პეტრემ აცნობა, ირანის წინააღმდეგ თავის საომარი განზრახულობა და მისთვის მზადება, ამასთანავე მისივე რჩევით, სასურველად და მიზანშეწონილად მიაჩნია, ამ სამზადისში, ქართლის მეფის მონაწილეობა; მეფე ქართლისა ვახტანგ VI- დაუყონებლივ შეუდგა მზადებას და 1200 მოწინავე პრივილეგირებული ქვეშევრდომილებით, მათი ოჯახით და ამალით, მეფემ რუსეთისაკენ მგზავრობის მიმართულება აიღო იმერეთისაკენ, რომ კავკასიონის უღელტეხილი გადაელახათ რაჭის გადასავალებით; მეფე ესტუმრა იმერეთის მთავარ ფეოდალს, რომელიც თავის ამალით შეუერთდა რუსეთისაკენ მიმავალ მეფეს; გზადაგზა ასეთ შეერთებას ფეოდალთა თავის ამალით ორიოდე შემთხვევას ჰქონდა ადგილი; იმერეთის ფეოდალმა, ჯერ კიდევ თავის კარმიდამოში მყოფმა, მეფეს საჩუქრად მიუძღვნა თავის ყმებიდან, ყმა გლეხი ფანჩულიძე, რომლის მოვალეობა იყო: ცხენზე ამხედრების დროს, მეფისათვის, მეორე მხარეზე, უზანგი ქვევით დაეჭირა; ჩვენ ამ შემთხვევაზე საგანგებოთ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება, რომ მან ასეთი ისტორიული მაგალითების, გათვალისწინებით წარმოიდგინოს დაგანსაზღვროს, იმ დროინდელი ადამიანთა პიროვნების უფლებრივობის არარაობა.

ჯერ კიდევ წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში წერდა ილ. ჭავჭავაძე, "ქართლის ცხოვრება" არის მეფეების ისტორია, ხალხი კი, ხალხთა ისტორიის ჩრდილშია მიმალული; მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით, ამ ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან იწყება ქართველი ხალხის გამოსვლა, თავის ქვეყნის ისტორიული მოვლენების ჩრდილიდან, როგორც ერის და ხალხის მასსა; როგორც ერის დემოკრატიული შემადგენლობა წარმოსდგა, სამშობლოს შინაურ და საგარეო ისტორიული მოვლენების სარბიელზე, ესეიგი პიროვნება მოგვევლინა, თავის სუბიექტიური, პატრიოტიზმის პასუხისმგებლობის შეგნების ვალდებულებით; პირველად გაისმა ერის და მისი დემოკრატიის ხმა, საკუთარი უფლებების ისტორიული ძლევამოსილებით აღჭურვისათვის.

ქართველი ერი და მისი გამარჯვებული დემოკრატია, რომელიც თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ჩაება თავის სამშობლოს ეროვნული პოლიტიკის მშენებლობაში შეძლებისდაგვარად; 1921-წელს ოკუპირებული იქნა, რუსული წითელი იმპერიალიზმის მიერ, რომლის შედეგათ წარმოიშვა ერის მართველი დემოკრატიის წინაშე, სამშობლოდან გახიზვნის აუცილებლობის საკითხი, რომ მტარვალისაგან თავის დახსნით, საკუთარი ფიზიკური არსებობა შეენარჩუნებიათ და მომავალში, ერთან ერთად წარმოება განუწყვეტელი ეროვნული ბრძოლისა.

როგორც ცნობილია, ეს პირველი ეროვნული ემიგრაცია თავის პოლიტიკური დემოკრატიზმის წყალობით აღმოჩნდა ევროპის დემოკრატიულ ატმოსფეროში, სახელდობრ, დემოკრატიზმის თავისუფლების კლასიკურ ქვეყანაში--საფრანგეთში, სადაც თავის პოლიტიკურ საქმიანობას და ეროვნული ბრძოლის წარმოებას განაგრძნობდა, სამშობლოსა და ერის განთავისუფლებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის; დღესაც, განსაზღვრულ პირობების შეძლებისდაგვარად, ემიგრაციის უმრავლესობა ეროვნულად განწყობილი, აქტიურად განაგრძნობს, ამ ეროვნულ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელობით, ეროვნული მთავრობის უკვდავი ანდერძის საფუძველზე.

საქართველოს დამონების პროცესში კვლავ წარმოიშვა ემიგრაცია ერის დემოკრატიისაგან, რომელიც დღეს წარმოადგენს, ინდივიდუალურ მეობაში, პოლიტიკურად გათვითცნობიერებულ სუბიექტს, მაგრამ სამწუხაროდ, ეროვნულად დამონებულ არსებას, კომუნისტური საოკუპაციო რეჟიმისაგან.

ეს ორი ტალღა ქართველი ერის ემიგრაციისა, რომელთაც ერთიმეორესაგან მათ აშორებს, ნახევარ საუკუნეზე მეტი დროის მანძილი, წარმოადგენენ, ერის ძირითად დემოკრატიულ მასას, [illegible]ისტორიული ღირსებით უკვდავევებას, ქართველი ერის მომავალ თაობებთა წინაშე.

ამ წერილში ჩვენი საუბრის საგანი იქნება, ცბიერი და გაიძვერულ კომუნისტური პროპაგანდით მორთულ-მოკაზმული საშუალებით გარეკილი ემიგრაცია, ბამის ემიგრაციად წოდებული, ქრონოლოგიურად- მეორე ქართული ემიგრაცია.

დემოკრატიულ სამყაროს კარგი სანია საკმაოდ გარკვეული აქვს, მონარქიული და საბჭოთა რუსეთის კოლონიალიზმის ბუნება და მათი პოლიტიკური იგივეობა; ეს პოლიტიკა იყო და არის ორივე სახის იმპერიისათვის, კოლონიალური ერის განადგურება, ეკონომიურად და ფიზიკურად, შემორჩენილი მოსახლეობის ნაშთის სრულ გადაგვარება.

დღეს საბჭოთა იმპერიისათვის ორი საკითხის მოგვარება გარდაუვალობას წარმოადგენს: მორეულ აღმოსავლეთის და ჩრდილო ციმბირის გაუვალი ტაიგების მიდამოები შეავსოს მოსახლეობით და ამით გზა

გადაულოცოს მოძმე კომუნისტური ჩინეთის გამმაგე-
-ბულ სურვილებს, აზიის ციმბირისაკენ მიმართულს;
ამასთანავე ზურგი დაზღვეული ექნეს, ბალკანელების
სრუტე-ყელებით ინდოეთისაკენ მიმავალს, რომლისაც უ-
-დიდ გაანალოს საუკუნეების ოცნება-წადილი
რუსთა იმპერატორებისა! იმპერიალიზმი
რუსული და საბჭოთა მიუხედავად თავიანთი
მიზნების და მისწრაფებების შინაარსის იგივეო-
-ბისა მაინც მოიცავენ და ატარებენ სხვადასხვაო-
-ბას; მონარქიული რუსეთის მართველობას არასდრ-
-ოს აზრად არ მოსვლია და არც უცდია, ქართული
მოსახლეობის აყრა მშობლიური მიწა-წყლიდან და
მათი გადარეკვა ჩრდილოეთის მუდმივ ყინულოვან არ-
-ემარეში!

ცოცხალი ისტორიული მაგალითებით ვეცადოთ
გავაშუქოთ, ამ ერთი ქვეყნის ორსახოვანი იმპერი-
-ალიზმის მოქმედების და საქმიანობის ტაქტი, სახ-
-ელმწიფოებრივი თავმოყვარეობა, ეთიკა და მორალი
დაპყრობილი ერის მიმართ; ამისათვის საჭიროა და
აუცილებელი მოვიყვანოთ ორი-სამიოდე ცოცხალი ფა-
-ქტები, უახლოესი წარსულის ისტორიიდან.

1907-წელს, თებერვალში იმპერატორისადმი
მირთმეულ, მოხსენებითი ბარათის კრებულში, მეფის
ნაცვალი კავკასიის მხარეში, გენერალ-ადიუტანტი,
გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი გამოთქვამს მწუხარებას,
იმ არასასიამოვნო შედეგების შესახებ, რომელიც
გამოწვეულია მთავრობის უხეში რუსიფიკატორული პო-
-ლიტიკის გატარების წყალობით!

" თქვენი იმპერატორობის უდიდებულესობის
იმპერიაში, პირველ ხარისხოვან საკითხს
წარმოადგენს, სახელმწიფოებრივი წყობილების
სიმყარისათვის, იმპერიისაგან დაშორებული
განაპირა მხარეების კოლონიზაცია და წმინდა
რუსული მოსახლეობის შემადგენლობით."
"სამწუხაროდ, კავკასიის კოლონიზაციის
ფართო და მთლიანი მოგვარებისათვის მოქმე-
-დების შესაძლებლობა თავის დროზე, უყურადღებოთ
იქნა მიტოვებული."
"შინაგანი რუსეთის სახალხო სკოლების
მთავარ ამოცანას წარმოადგენს, მხოლოდ მო-
-სახლეობის გონებრივი დონის განვითარების
ამაღლება; ამ ამოცანის გარდა, კავკასიის
სახალხო სკოლებს აქვთ მეორე ამოცანა, რო-
-მელიც მდგომარეობს იმაში, რომ სხვაგვაროვან
ენებზე მოლაპარაკე ადგილობრივ მკვიდრ მო-
-სახლეობაში განავრცონ და შთანერგონ რუ-
-სული ენის მეტყველება; სამწუხაროდ, კავკ-
-ასიის სახალხო სკოლების სამოქმედო პრო-
-გრამა არ შეიძლება მივიჩნიოთ ნაყოფიერად
და დამაკმაყოფილებლად თავის საკუთარი
მიზნის განხორციელებაში; გარემოება გან-
-საკუთრებული ყურადღების ღირსია; სწავლ-
-ების დღევანდელი ეს სისტემა ბადებს უკ-
-მაყოფილებას, როგორც მოწაფეებში,
ისე მშობლებში; ამ წმინდა რუსი-
-ფიკატორული პოლიტიკის განხორციელე-
-ბაში ხედავენ, თავიანთ მიმართ ხელი-
-სუფლების უნდობლობას; ეროვნული ენის
დევნაში, კი თავიანთ ეროვნული გრძნობის
და ღირსებისშეურაცხყოფას; უნდა ვიქონიოთ
მხედველობაში, რომ ეროვნული გრძნობა კა-
-ვკასიაში ისედაც განსაკუთრებულ ამაღ-
-ლებულ ტემპერამენტულ მდგომარეობაში
იმყოფება, ადგილობრივი ისტორიული
პირობებიდან გამომდინარე მიზეზების
შედეგათ."/"Всеподданнейшая записка по
/ управленю кавказским краем". Генерал-
-адъютанта графа Воронцова-Дашкова.Ст.-67-б-
-IOЗ-4-7./

რუსეთის ამ ორ სახოვან იმპერიალიზმს, როგორც
სახელმწიფოს პოლიტიკური მოვლენის სისტემას, საფუ-
-ძვლად ედო და უდევს რუსული პატრიოტიზმი, გამოსახ-
-ული შოვინისტურ რეაქციაში; რეაქცია კი გაბატონე-
-ბული სახელმწიფოს ეკონომიკაში, რომელშიდაც მთავა-
-რი და გადამწყვეტი მამოძრავებელი ძალა არის კერ-
-ძო საკუთრების ხელუხლებლობის პრინციპი, სუბიექტის,
-პიროვნების უფლებრივობით ძლევამოსილი;

იმპერატორის უდიდესი რანგის მოხელე თუ რა-
-მეს მიიჩნევს მიუღებლად სახელმწიფოებრივ საქ-
-მის სინამდვილის გაგების თვალსაზრისით, ეთი-
-კით, ქრისტიანული სარწმუნოების შთაგონებით, ის
როგორც პიროვნება, თავის მოქალაქობრივ უფლებე-
-ბში მყოფი, იწყებს ერთგვარი ლოგიკური შენიშვნებ-
-ბით, პროტესტებით, ან თანამდებობიდან გადადგომით;
ადმინისტრაციიდან არავითარი საშიშროების მოლოდინი;

მონარქიული ხელისუფლებისათვის ტოტალიტარიზმი
უცნობია; ტოტალიტარიზმის და პიროვნების მოქალაქ-
-ობრივ უფლებათა შორის შეუვალი ზღუდეა-- კერძო სა-
-კუთრების ხელუხლებელი პრინციპი.

მეფის ნაცვალი თანამდებობიდან გადადგომის
შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქავს და გაემგზავრება
მშვიდად'ყრიმში ანტევპატორიაში, თავის საკუთარ მა-
-მულში და მიეცემა საკუთარ სურვილისამებრ ცხოვრ-
-აში შრომას და ნეტარებას.

ნამესტნიკ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის დღევანდ-
-ელი ორეულს საქართველოში-პატიაშვილის, მოქალა-
-ქობრივი უფლება-მდგომარეობა უკვე წინასწარ გან-
-წირულია, ადამიანის ტრაგიკული ბედის სამსხვერპ-
-ლოზე.

საბჭოთა იმპერიის პროპაგანდა ყველა ენაზე
შეუწყვეტლივ გაყვირის, საბჭოთა ხალხის და კომუნი-
-სტური პარტიის არა თუ მთლიანობაზე, აგრეთვე მათ
იგივეობაზე; ცდილობენ, ხალხის ყოფაცხოვრებაში,
პიროვნების შემეცნება-გაგებაში ხელოვნურად ჩანე-
-რგონ ამ იგივეობის ფანტაზია; მიუხედავად, ძლ-
-იერი საპროპაგანდო მანქანის ამეტყველებისა,
სინამდვილე სრულიად საწინააღმდეგო მოვლენებზე
მიგვითითებს.

წლეულს, ვინც თვალს ადევნებდა ნამესტნიკ
პატიაშვილის მოხსენებებს, მათვის საეჭვო არ არის
ის, რომ საბჭოთა ხალხი "სრულყოფილ სოციალიზმში"
მყოფი, გაიგივებული კომუნისტური პარტიის მთლიან-
-ობაში ერთიანად, წარმოადგენს ყოველგვარ კრიმინა-
-ლური საქმიანობის შემომქმედ ბრბოს; გლეხ-კოლ-
-ხოზნიკიდან მუშიდან ყველა იმის ჩათვლით, ვი-
-ნც უმაღლესი კანონიერების შემქნელია, დამცველი
და აღმასრულებელი.

ბუნებრივია, რომ შექმნილი მდგომარეობის
სინამდვილე პატიაშვილს მიუთითებს, რობესპიერის
და მარატის პოლიტიკური ტაქტის ფილოსოფიისაკენ:
კვეთა ცოცხალი თავების და მათი ჩამოცმა "სრულ-
-ყოფილ სოციალიზმის" გალავნის მესერებზე, მანა-

-მდის სანამ არ წარმოიშვება თაობა, ერთგვარი, სტანდარტული თავებით, აზროვნებით და მისწრაფებებით!

საბჭოთა კომუნისტებმა ძალიან კარგათ იციან ერის მთლიანად აღმოფხვრა მშობლიური ადგილმდებარეობიდან და მისი გადაგვარება ძალმომრეობის საშუალებით, ჩვენი საუკუნის იმპერიალისტური ძრახვების შესაძლებლობას აღემატება და ამისათვის განუხორციელებელი ოცნებაა; კომუნისტები იძულებული არიან, თავიანთი პოლიტიკა განავრცონ და გააქტიურონ რეჟიმის დიქტატორული ზედამხედველობაში, მის მონა-მორჩილებაში და პარტიული ზედადის ფანატიკურ, უსიტყვო ნდობა-რწმენის ლოცვა-ვედრებაში; როგორც ცნობილია, ფანატიზმი ყველგან ყოველთვის და განსაკუთრებით საბჭოთა ცხოვრების სინამდვილეში წარმოშობს; სიმხდალეს, გაიძვერობას, იქვნელობას, ურთიერთშორის გაუტანლობას, ფარისევლობას, ცბიერობას, უთავმოყვარეობას, შიშს და ბოროტებას, რომელიც განსაკუთრებით ბოლშევიკური საქმიანობის და მისი პროპაგანდის საუკეთესო იარაღია, მშრომელთა ადამიანების წინააღმდეგ, მაგრამ ამჟამად კომუნისტების ეს ბასრი იარაღი საკმაოდ დაჩლუნგებულია და არავითარ სოციალოგიურ ღირებულებას არ წარმოადგენს კავშირიობის წინაშე, განსაკუთრებით ნდობის საკითხში; თვით "სრულყოფილ სოციალიზმის" ეპოქაში, რომლის სინამდვილეში რეალური სურათია, ლენინური თეორიის დიალექტიკის, როგორც უწყვეტ-მბრუნავი წრე: ხალხი ატყუებს მთავრობას, მთავრობა პარტიას, პარტია კი თავის ხელისუფლების და ტერორის მრისხანებით, პირიქით ხალხს, რომელსაც პარტია, სახელმწიფოებრივი კანონიერების და პატრიოტიზმის კეთილსინდისიერების სპეკულაციის ლოზუნგით და სახელით ემუქრება.

ყველასათვის გარკვეული ამბავია, საბჭოთა კომუნიზმის ეროვნულ პროპაგანდის სოციალური განზრახულება და მისი ანტინაციონალური ამორალიზმი, რომელიც ყველაზე ძლიერადგამოვლინდა, საბჭოთა საქართველოს დემოგრაფიული და მისი მდგომარეობის დაქვეითებაში.

სულ მალე ორი ათეული წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც საბჭოთა პრესამ მკითხველებს აცნობა:

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეიწყნარა და მიიღო, მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობების, წერილობით წარმოგზავნილი წინადადება: საბჭოთა კავშირში შემავალმა რესპუბლიკებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა, ბაიკალ-ამურის რკინიგზის მშენებლობაში, მუშა-მოსამსახურის შემადგენლობის წარგზავნილობით; აღმშენებლობა უზრუნველყოფილი იქნეს, ყოველგვარი საამშენებლო მასალით და მანქანებით, თვით რესპუბლიკის ბიუჯეტის შესაძლებლობით; როგორც ზემოთ ითქვა, უმაღლესმა საბჭომ "სურვილი და მოთხოვნა" საგანგებო დადგენილებით აღიარა საყოველთაოთ და საქმე წაიდა პრაქტიკულ მოქმედებაში; განრიგების თანახმად ყველა ეროვნებათა რესპუბლიკებს გამოეყო თავიანთი სამშენებლო უბანი, რომელთაც ეწოდა რესპუბლიკის სახელი; ქართველებს გამოუყვნენ ბამის მიდამოებში, რკინიგზის მშენებლობა, რომლის სიგრძე 200-კილ. აღემატება, სადაც უნდა აშენდეს რკინიგზის მშენებლობასთან, საცხოვრებელი სახლები, ხიდები და ათეულ კილომეტრებში გვირაბები; ეს სამუშაოები უნდა იქნეს წარმოებული იქ, სადაც ათი თვის განმავლობაში არსებობს მუდმივი გაყინულობის ტაიგების მიდამოები, ორ თვიანი ზაფხული კი გაუვალი ბალოტების აორთქლების ბურუსში სუნთქვის სიძნელეებთან ერთად, დაუძლეველ კოღო-მწერებთან შეუდრეკელი ბრძოლა...

ამ მშენებლობას, საკავშირო მთავრობისდადგენილებით ეწოდა, ქართველი ერის საკეთილდღეოთ და საპატივცემლოდ ნია-გრუზინსკაია, ცხადია ასეთი წყალობით, ქართველი ერი ზეიმობს და ლხინობს!..

საკავშირო პრესის ცნობით, ბამის მშენებლობა დამთავრდა, ქართველმა მშენებლებმა კვლავ მოითხოვეს ახალი საამშენებლო უბანი; მათი პატრიოტული წინადადება დაკმაყოფილებული იქნა, საკავშირო მთავრობის მიერ, მათ გადაეცათ იმავე მუდმივი გაყინულობის ტაიგებში, იკაზია, სადაც საამშენბამის მშენებელთა კოლექტივი ახალი დამკვრელობითი პროგრამით და აღფრთოვანებით შეუდგა მუშაობას.

როდესაც საქართველოში დაიწყო, "მოხალისეების" მობილიზაცია, ორიოდე დღის შემდეგ, თბილისის გაზეთები აცხადებ ენ , პირველი რიგის ტრანსპორტის შევსების გამო, ამჯერად მრავალ მსურველებს, მორიგი ტრანსპორტის დაკომპლექტებამდის უარი ეთქვა!

პირველი ტრანსპორტის შემადგენლობის ზუსტი რიცხვი ჩვენ არ მოგვეპოვება, მაგრამ სხვადა-სხვა მონაცემებს, მივყავართ იმ დასკვნამდე , მისი რიცხვი ექვსას სულზე მეტს წარმოადგენდა; იქ მყოფთა სტატისტიკა და საერთოდ ასეთ საკითხების სტატისტიკური აღრიცხულობის მთლიანი გამოსახულობის ციფრები, საოკუპაციო ხელისუფლების პოლიტიკურ საიდუმლოებას წარმოადგენს, მაგრამ ამას ჩვენთვის დღეს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

ბამის ემიგრაციის საკითხი, არის (მეორე ემიგრაციის) დღეს, ქართველი ერის ნაციონალური ტრაგიზმი, ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული ცვალებადობის მოვლენებში წარმოშობილი, როგორც უშვალო შედეგი, ხელისუფლების რუსიფიკატორული პოლიტიკის სისტემატიური განვრცობისა.

საერთოდ აღიარებულია და მიღებული, რომ საბჭოთა კავშირში უმუშევრობა არ არსებობს, ამაში არავითარ საოცრება-საკვირველებას ადგილი არ აქვს, ვინაიდან ერთი მუშა ხელი მათ, გაცილებით ნაკლები უჯდებათ, ვიდრე ევროპის ქვეყნებს და ამერიკას ერთი უმუშევარის უზრუნველყოფა!

საბჭოთა საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლების ინფორმაციის თანახმად, ყოველთვის განიცდიდა და განიცდის მუშა ხელის ნაკლოვანებას, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ; ამ დანაკლისის შევსება ხდებოდა და ხდება, პირველ რიგში რუსული მოსახლეობით, მეორე რიგში, მოკავშირე რესპუბლიკების ერთა შორის იძულებით წარმოშობილ ლტოვილთა იმ შემადგენლობიდან, რომელ-

-ბიც სრულ თანხმობას აღიარებენ, ხელისუფლების მიერ "შეთავაზებულ" თავშესაფართა პროექტს წინაშე; საქართველოს ხელისუფალნი თავიანთი პარტბილეთის შენარჩუნების და მისი ღირსების ხალალადებლად აღიარებენ, საქართველოს ინტერნაციონალური წალკოტის მშვენიერებათ; ქართველი ერის ბუნების და მეგნების საკაცობრიო იდეალს,როგორც კომუნისტური პარტიის სტანდარტული პროპაგანდიზმის "კეთილშინდისიერების" ღვაწლის ნაყოფს,ქართული ეროვნული მეგნების ბალმობრობით პოლიტიკით გადასახლებისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს , ვითომცდა ინტერნაციონალურ იდეალებში შეხათავსებლად!

მართალია , სტატისტიკური ცნობები ამის შესახებ, ჩვენ წინაშე დუმს, მაგრამ მდგომარეობის სინამდვილე ხელს გვიწყობს შედეგებისდაგვარათ გიპოტეზიური მოსაზრებების მიახლოვებით განმარტებაში; წყალტუბოშისუთი რუსული სკოლა არსებობს ; მცირე ეროვნებათა ბავშვებისათვის , მიუხედავათ ბოლშევიკების ეროვნული პროპაგანდისა, რუსეთის ტერიტორიაზე არც ერთი ეროვნული სკოლა არ არსებობს

როდესაც კომუნისტ- უფალთა წინაშე დადგა საკითხი,ქართული მოსახლეობის სამშობლოდან ემიგრირებისა,მიუხედავათ იმისა,რომ საკითხი პრინციპიალურად უკვე გადაწყვეტილი იყო, იმპერიის უმაღლეს ორგანოების ინსტანციებში ადმინისტრატიული მოქმედებისათვის სინამდვილეში, მაინც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა , ბოლშევიკური საპროპაგანდო მაშინის ამეტყველება, რომ კომუნისტური პარტიის ეროვნული პროგრამის ლენინური გამოხატულებაარ[?] ბოლშევიკური ხოსკუპაციო რეჟიმის მიერ ჩატარებული გენოციდისა.

ზამის ემიგრაციის სამშობლოდან გამგზავრების დღეს, თბილისის რკინიგზის სადგური და მისი მიგნი-გარე მიდამოები მორთული იყო ეროვნული ზეიმისათვის სადღესასწაულოდ; იფრქვეოდა ნაირფეროვანი მეტყველებით ქება-დიდება, მუშმივი გაყინულობის ტაიგების დაუზოგავებელ სივრცეებისაკენ მიმავალთა მომავლებულობისმიმართ; ორატორები გულახდილად მათ, ესალმებოდნენ და ულოცავდნენ,სოციალისტური შრომის ფრონტზე წინასწარ მოპოვებულ პატრიოტიზმის ბედნიერებას თავის მღვამოსილებით, კომუნიზმის გამარჯვების სადიდებლად და სამაყოთ!

ზეიმის დამსწრეთაგანი იგონებს; პროპაგანდისტის მჭერმეტყველობამ ყოველგვარ მოულოდნელობას გადააჭარბა; მიმავალთა ალფართოვნებული პატრიოტიზმი, გენიალოგიურად წარმომავალი,იმ ქართული ეროვნული ზეიმიდანაა, რომელსაც ადგილი ქონდა 1893-წელს, ამავე მოედანზე,პოეტ ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან გადმოსვენების დროს; ამაღლებული პატრიოტიზმით გაბრუებული ქართველი დედები მზად არიან,მოიყვანონ თავიანთი ჩვილი ბავშვები,რომ ემიგრაციაში მიმავალთა გმირების პარტბილეთზე, "უკვდავი" ლენინის გამოსახულობას ამთხვიონ ისე,როგორც იმ წარსულ ისტორიულ ვითარებაში, ქართველი ერის დიდების სამაყოს ნეშტს!

დამსწრე პარტიულ ხელმძღვანელთა სიხარულს და ზეიმს საზღვარი არ ქონდა; ისინი ერთიანად გდეამენენ ამ ისტორიული პარალელების განცდის და წარმოდგენების სიღრმეში; თვალწინ წამოვლანდათ ამ გაუვალ სიღრმეში; წინაპართანამემულეთა სისხლის მორევში,საკუთარი მიწათ ქმეული არსება, ყოველგვარი მოქალაქეობრივი თავმოყვარეობიდან განძარცვული და განბმელილი ; მათი უიღბლულობის საქმიანი ყურადღება იყო, მჭერმეტყველ პროპაგანდისტის შემოქმედების წახნეულის გარანტია, ნომენკლატურულთა რიგში გადარიცხვისა!

ვისაც საბჭოთა ცხოვრების ყოველდღიურობისათვის განუწყვეტლივ თვალი უდევნებია და არასოდ საკუთარი ყურადღება არ მოუწყენებია, მისი ყოფის პერიოდული ცვალებადობისათვის,რომელშიაც ყოველთვის გამოიხახებოდა და გამოიხახება ახალ-ახალი პროვოკაციული წამოწყებანი,როგორც ხალხთა დამთრგუნველი; საბჭოთა პატრიოტიზმის შმაგმში ამოტვფლებული პროპაგანდა, საშუხაროდ, რომლის ექომ, პარიზისქართული ემიგრაციის მართლმადიდებელ ეკლესიის საყურეშიაც კი შეაღწია; "მამაო ჩვენო.." და "ღირსარს ჭეშმარიტების..", მუხმოფრეველ მღადელმთავრად აუწყო, საბჭოთა საქართველოში, სამოელი სამეურნეო ფრონტზე კომუნიზმის პარტიული მიხწევების შესახებ!

ყოველი ახალი წამოწყების გატარება, ხანამდეიდამში იწყება და მიმდინარეობს განუწყვეტელი კამპანიის--პოლიტიკური-ლიტერატურული პროპაგანდის ძლევა მოსილებით,რომ ხალხის თვალწინ დახატონ, როგორც მათი ბედნიერი ცხოვრებისათვის, ბოლშევიკური პარტიის გენიალური პოლიტიკურ-ეროვნული გამოვლინებული ნათელი,ერის ხულტური და მატერიალური აღორძინებისათვის!

მაგრამ იმ ზამისკენ მიმავალ ქართული ემიგრაციის შესახებ , არავითარი მგზავსი ამისა! ერის მოგონებაში მათი ხსოვნა თან გაჰყოლენ მათი მატარებლის ბორბლების ხმაურს; რასაკვირველია, გენოციდის წინაშე მეტყველებაზ, ხტუმს დუმილი!

მაგრამ დღეს, როდესაც გენოციდის შემდეგ მეორე ათეული წლის მიწურულში რუსული პრესა ალაპარაკდა, ამურ-ბაიკალის მუშმივი გაყინულობის ტაიგების სფეროში, ზამის რკინგზის მშენებლობაზე და მის უდიდეს პოლიტიკურ-ეკონომიურ მნიშვნელობაზე და მის ღირებულებაზე რუსეთის იმპერიალისტური ზრახვებისათვის.

რუსეთის პრესამ, ყველას მიგნით დაგარეთ ამცნო;

"ზამზე ქალაქების და დაბახლების
მშენებლობაში მონაწილეობენ რუ-
-სეთის და სხვადასხვა რესპუბლ-
-იკებიდან ახალგაზრდობის რაზმები;
მათ მიწიონ ციმბირის ეს მხარე,ნა-
-ყოფი თავიანთ ნაშრომისა; მამა ერ-
-თხმად გადაწყვიტეს, აქ სამუდამოთ
დარჩენა, ცხოვრებაღა მუშაობა."

საქართველოს საბჭოთა რეჟიმის ხელისუფალნი იძულებულნი გახდნენ, უცრის ამის პრესა, დღის წესრიგის სამოქმედო პროგრამათ მიეღოთ.

საუბრის დაწყებისში ჩვენ მოგახსენეთ,ზამის მშენებლობის დამთავრებისთანავე, ქართველ მშენებლები ახალი სამუშაო უბანი ჩააბარეს,ვად ...

კილომეტრეში განვრცობილი, როგორც რუსული პრესა მო-
-გვითხრობს, მათი სურვილის და მოთხოვნის თანახმად;
-ცხადია, რომლისმშენებლობასდასჭირდება, ორ ათეულ
წელზე მეტი; თბილისმა მაშინვე გამოითხოვა ნება-
-რთვა, ქართული დელეგაციის მგზავრობისა; დელეგა-
-ცია გაემგზავრა, შემდგარი უმაღლესი პარტიული ნომ-
-ენკლატურულისაგან, როგორც ქართული პრესიდან ვცებ-
-ულობთ, მათ თან ახლდათ გაზეთ "კომუნისტის" საკუთა-
-რი კორესპონდენტი გურამ ვაშაკიძე, რომლის კორესპონდე-
-ნციებიდან მოჩანს, არის ნამდვილი ქართული გულწრ-
-ფელი პატრიოტული ვაჟკაცის ბუნების ამღორებელი,
რომელმაც თავის მოვალეობა შეასრულა ღირსეულად და
კეთილსინდისიერათ, როგორც ერის, ისე გენოციდის მხ-
-ხვერპლთა წინაშე.

ამ საუბრის დასასრულს, ჩვენ ვეცდებით შემდე-
-გისდაგვარად მკითხველებს გავაცნოთ მისი მოთხრო-
-ბილი, საპატიო "დიპლომების" ჩაბარებისთანავე იმა-
-რთება საუბარი:

"ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ
აგერ უკვე მერამდე ენე წელთ მიი-
-წურება და ჯერაც საქართველოდან
თკაზიაში არც სიმინდის ფქვილი,
არც ლობიო, არც ერთი ქილა კომპოტი,
არ მიუღიათ, რას იტყვიან ამის შესახებ
სტუმრები, კერძოთ, ცეკავშირის და ......
ნს.......წარმომადგენლები?"

"არც სხვა შეკითხვები იყო "მშვიდ-
-ობიანი":

"ნუთუ კინოსტუდია " ქართულ ფილმებს"
აღარ იღებს?"

"რატომ არ აღწევს ჩვენამდე "ქარ-
-თული საბჭოთა ენციკლოპედია"?

"ამ მუდმივ გაყინულობის ზონაში ამდენ
ბავშვებს, აქ დაბადებულთ, მუდამ აუც-
-ილებელი ვიტამინები აკლიათ. რატომ
არ გვიგზავნიან: ნიორს, მწვანილს, ხი-
-ლს?"

" დავიჯეროთ, გამოგზავნილი სამედი-
-ცინო ინსტრუმენტები და მედიკამენ-
-ტები, რამოდენიმე წელი იხეტე გზა-
-შია ?

"... ჩვენც გვინდა მშობლიური საქარ-
-თველოს კურორტებზე დასვენება ?

"სტუმრები ძლივს ასწრებდნენ თავიანთ
ბლოკნოტებში ჩანაწერების გაკეთებას....."

"ბევრი სასაყვედურო და გულსატკენი და-
-გროვდა იქაურობაში. სიმართლეც, რომ ით-
-ქვას, ასეც უნდა მომხდარიყო, ასე იცის,
როცა შენიანს წლობით არ აკითხავ, როცა
არ იცი, რა სტკივა და რა უხარია მას."

".... განა ჩვენებური ჩაი არ უნდა იგ-
-ზავნებოდეს ბამზე?"

"...... განა ბამელი ბავშვები ცოტათი მაინც
არ უნდა იცნობდნენ საყმაწვილო ლიტერატურას
მშობლიურ ენაზე?"

" წამოვედით და თან წამოვიღეთ ბამელ ქარ-
-თველთა სურვილები და წინადადებები...."

" ...... ჩვენ ამოვიწერეთ, საქართველოს პო-
-ლიტექნიკური ინსტიტუტის კურს დამთავრებულ ხვ.
ბაბილუაშვილის დღიურიდან:"

"......კვლავ ვუბრუნდები დღიურს.

თვალწინ ჩემს მშობლიურ დაბას, სადაც
პირველად შევიგრძენი აღმაფრენის სიხა-
-რულიც, მღელვარებაც, შიშიც. ხშირად ვე-
-კითხები ჩემს თავს: რა არის ჩემთვის ნაი
და რა ვარ მე მისთვის?"/გაზეთი "კომუნისტი"
6, 7-სექტემბერი, 1985-წ. ნომ.-205-206./

ჩვენ გვჯერავს, პასუხს გაცემა ბ-ნ ბაბილუაშვილის
კითხვებზე, თქვენი მხრივ შეუძლებელი და მიზანშეუწ-
-ონელია; ამ ვრცელებულებს , მე და ჩემი მკითხველები
ვიკითხებთ: -- სიმკურნალო სტუდენტების პასუხი იქნ-
-ება ყოველთვის ახალი და კონკრეტული; "თქვენ ხართ
ჩვენთვის, გენოციდის მსხვერპლთ და მეტი არაფერი."

1986წ. ვ. ჩოლაბურიძე



"ისტორია ყველას ღვაწლია, საერთო მთელის ერის ნამოქმედარია და იგი მამა-პაპა, რომე-ლსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პა-პაა საერთო და განუყოფელი, იმიტომ რომ საისტორიო კაცი ხორცია ხორ-ცისაგან მთელის ერისა და ძვალი ძვლისაგან. ამიტომაც ისტორიაში მომ-ქმედ მამა-პაპის ავად ხსენება ყველას მამა-პაპის ავად ხსენებაც არის და ამას კაცი, ვით შვილი ერისა და იმავე ქვეყნისა, ერისა და იმავე ერისა, თავის დღეში არ იკადრებს, თუ სანდახავით ღმერთ-გამწყრალი და თავში დაკრული არ იქნება." ი.ჭავჭავაძე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკური კულტურა

"პოლიტიკური პარტიების და დაჯგუფებების იდეური ჭიდილი-შეჯახება ერის, საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების სისუსტე კი არა სიძლიერეა; ხშირად აზრთა ამგვარ შეჯახება-ჭიდილში ადამიანი, ერი უახლოვდება ჭეშმარიტებას და არა (ა პრიორი) "ასპროცენტიანი" ერთსულოვნებისას, რაც - თავის მხრივ - აზროვნების გაყინვას უდრის. საჭიროა მხოლოდ "პოლიტიკური კულტურის" დაცვა, რომ ამა თუ იმ იდეის დაგმობისას თვით მისი მქადაგებელიც არ იქნას დაგმობილი, რაც, გასაგებია, ადვილი საქმე არ არის. მაგრამ ხშირად ამაში არ მჟღავნდება ერის, საზოგადოებისა და ცალკეული ადამიანის "პოლიტიკური კულტურა?.."

## I.

"კულტურა","კულტუს"("კოლო"), როგორც ცნობილია, ლათინურად "მოვლას", "სამსახურს", "პატივისცემას", "დამუშავებას","დანერგვას" თუ "ცხოვრების ყაიდასაც" კი ნიშნავს; და "პოლიტიკური კულტურა" - თუ ასეთ გამოთქმას საერთოდ ვიხმართ - სხვა რა უნდა იყოს თუ არა "დანერგვა", "მოვლა"თუ"პატივისცემა" პოლიტიკური ტრადიციების, რომელთა პირობებში ყოველ ადამიანს, ყოველ ერს უნდა შეეძლოს თავისი პირადი თუ საზოგადოებრივი მრწამსის გამოთქმა-გავრცელება თავის-უფლად. კიდევ მეტი: ერთადერთ ადამიანსაც უნდა ჰქონდეს თავის-უფლება გამოთქვასა და გაავრცელოს თავისი აზრი-შეხედულება, საკუთარი პასუხისმგებლობით, იმ დროსაც კი, როცა მის აზრს,შეხედულებას, მის გარდა, არავინ არ იზიარებს. ამგვარი თავის-უფლება იმათაც უნდა გააჩნდეთ, რომლებიც "ველურ ნაციონალიზმს" თუ "ველურ ინტერნაციონალიზმს" ქადაგებენ, ე.ი. უკიდურეს მემარჯვენე თუ მემარცხენე ექსტრემისტებს, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც მჟღავნდება პოზიცია-ოპოზიციის - ერთის მხრივ - დაუნდობელი, ხოლო - მეორეს მხრივ - შემწყნარებლობითი "პოლიტიკური კულტურა":"დაუნდობელი" ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველი ჯურის "ველურ ნაციონალიზმს" თუ "ველურ ინტერნაციონალიზმს", ჩემის აზრით, "ჯანსაღი ეროვნული" და "ჯანსაღი სა-ერთა-შორისო" ურთიერთობის პოზიციიდან; ხოლო შემწყნარებლობა უნდა იქნას გამოჩენილი იმ პირის თუ პირების მიმართაც, რომლებიც ამგვარ "ველურ ნაციონალიზმს" ან "ველურ ინტერნაციონალიზმს" ქადაგებენ, თუ სისხლის სამართლის ნორმების დარღვევასთან არ გვაქვს საქმე.

## II.

"პოლიტიკური კულტურის" ამგვარი მაღალი დონე, მეტ-ნაკლებად, შესაძლებელია განხორციელებულ იქნას დემოკრატიული, უფლებრივი სახელმწიფოებრივი წესყობილების პირობებში, როცა მოქმედებაშია პოზიცია-ოპოზიციის დარეგულირებული მექანიზმი, როგორც ამას დემოკრატიის ისტორია,საერთოდ, და ქ ა რ თ უ ლ ი დემოკრატიის ისტორია,კერძოდ, ადასტურებს. ვამბობ: "ქართული დემოკრატია" იმიტომ, რომ იგი დემოკრატიის უმაღლეს ფორმად მესახება, ვინაიდან ქართული დემოკრატია იგივე სოციალური დემოკრატიაა, რომლის საფუძველი, თეორიულად, "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა", ხოლო, პრაქტიკულად, "26 მაისი" გახდა.

## III.

"პოლიტიკური კულტურის" ერთერთ ქ ა რ თ უ ლ ნიშანსვეტად მესახება ვაჟა მგელაძის სიტყვა ილია ჭავჭავაძის დაკრძალვისას თბილისში, მთაწმინდაზე, 1907 წლის 8 სექტემბერს, რომელშიც მან, სხვათა შორის, თქვა:

"ჩვენ სასტიკ ბრძოლას ვაცხადებთ მათ წინააღმდეგ, ვინც პატივისცემით არ ეპყრობა მოწინააღმდეგეთა პიროვნებას - რა მიმართულების და სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი...ჩვენ ყველა იდეურ მოწინააღმდეგეთ პატივს ვცემთ; ამის შეგნებაშია საქმე, რომ კულტურული ბრძოლა შესაძლებელი გახდეს".

## IV.

მაგრამ ქ ა რ თ უ ლ ი "პოლიტიკური კულტურა" არა-ერთხელ "გაველურდა", რომლის საილუსტრაციოთ ერთი მაგალითი 1924 წლის აგვისტოს სახალხო აჯანყებიდან, რომლის მიზანი იყო, როგორც ცნობილია, ბოლშევიკური საოკუპაციო

შეიარაღებული ძალების გაყვანა საქართველოდან და საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენა:
ერთი ქართველი ბოლშევიკი, რომელიც აჯანყებისას,1924 წლის 28-29 აგვისტოს, აჯანყებულებს ტყვედ ჩაუვარდა, აჯანყების დამარცხების შემდეგ, თვით აჯანყების მონაწილეთა ერთ ჯგუფს, როგორც ტყვემოწმემ, დაემუქრა:
- თქვენ ლაჩრები ხართ, ვინაიდან არც ერთი თქვენს ხელში ჩავარდნილი ტყვე არ მოგიკლავთ; ახლა ჩვენ კი მუსრს გაგავლებთ.
და მართლაც: ასობით, ათასობით აჯანყებული დახვრეტილ თუ გადასახლებულ იქნა, და ციხიდანაც კი გამოიყვანეს საქართველოს პატრიოტები და აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტეს, თუმცა მათ აჯანყებაში მონაწილეობის მიღება არ შეეძლოთ,ვინაიდან ციხეში იჯდენ.

V.

"პოლიტიკური კულტურის" ანალოგიურ"გაკვეთილებს"ჰქონდა ადგილი საქართველოში, აგრეთვე, 1936-1937 წლებში, როცა ასობით, ათასობით ქართველი გლეხი, მუშა თუ ინტელიგენციის წარმომადგენელი ფიზიკურად განადგურებული ან გადასახლებულ იქნა "ბურჟუაზიული ნაციონალიზმის" ბრალდებით, სინამდვილეში კი ქართველი ერის ეროვნული შეგნების გატეხის მიზნით. მეორე მსოფლიო ომში საქართველოს სამ-მილიონ-ნახევარი მოსახლეობიდან შვიდასი-ათასი კაცის ომში გაყვანა,რომელთაგან ნახევარზე მეტი სახლში აღარ დაბრუნებულა, -,უდავოა, ქართველი ერის ფიზიკური განადგურების ცდის ნიშანდობლიობას ამჟღავნებს. 1956 წლის 9 მარტის თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მშვიდობიანი დემონსტრაციის სისხლში ჩახშობა კი ყოველგვარი "პოლიტიკური კულტურის" საზღვრებს შორდება.

VI.

ქართული "პოლიტიკური კულტურის" გაკვეთილების მაგალითად შეგვიძლია აგრეთვე მოვიყვანოთ ზოგიერთი ქართველის უპირობო მონა-მორჩილება რომელიმე სხვა სახელმწიფოს მიმართ, რომლის ყველაზე უფრო მყვირალა მაგალითია,თუ გნებავთ, გამოთქმა -"საქართველოსათვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის!.."
ამგვარ და ამგვარი აზრის გამზიარებელ თით-ოროლა ქართველს უნდა ვუთხრათ, რომ აღნიშნულ გამოთქმაში არა მარტო გეოგრაფია-ასტრონომიის უცოდინარობა მჟღავნდება, არამედ - რაც ჩვენ გვაინტერესებს ამჯერად - ქართველი ერის ეროვნული ღირსების უგულებელყოფაც, ვინაიდან საქართველოს მზე - თუ ალეგორიულად გვსურს ლაპარაკი - საქართველოშივე ამოდის, რაც პოლიტიკურად იმას ნიშნავს, რომ საქართველოს, ქართველი ერის გარდაუვალი ინტერესები - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ერისა და პიროვნების თავისუფლება კავკასიის"რეგიონში"- ვერ უთავსდება რუსეთის თუ სხვა დიდი სახელმწიფოების"გლობალურ"ინტერესებს. საქართველოს, ქართველ ერს შვეიცარიის, დანიის თუ ნორვეგიის საერთაშორისო სტატუსისაკენ მისწრაფება და მისი განხორციელება უფრო ეხადაგება, ვიდრე რომელიმე დიდი სახელმწიფოს მიმართ მონა-მორჩილება; და ის ქართველი, რომელიც უპირობოთ აღიარებს სხვა სახელმწიფოს მონა-მორჩილებას, გასაგებია, შორდება ქართული "პოლიტიკური კულტურის" საზღვრებს და ექცევა აკაკის "თაგუნას" მდგომარეობაში.

VII.

და თუ შორეულ წარსულს მოვიგონებთ, ქართული "პოლიტიკური კულტურის"გაკვეთილების ფაქტებია, თუ გნებავთ, თურქების, სპარსელების თუ არაბების მიერ საქართველოს, ქართველი ერის დაპყრობა და საქართველოში ქართველ ქრისტიანთა ძალით გამაჰმადიანება; ხოლო ქართული "პოლიტიკური კულტურის" საილუსტრაციოთ იგივე მაგალითიც გამოდგება, ვინაიდან ქართველებს, როგორც ცნობილია, არასოდეს არ უცდია"გამაჰმადიანებული ქართველების ისევ გაქრისტიანება, რაც, გასაგებია, საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ ქართული პოლიტიკური კულტურის მაღალ ჰუმანიტარულ დონეზე.

VIII.

მაგრამ რათ დაგვჭირდა ამ-ჯერად ქ ა რ თ უ ლ პოლიტიკურ კულტურაზე ლაპარაკი საერთოდ?.. ეს გამოიწვია იმან, რომ - გააკეთებს რა პოლიტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური კულტურა საქართველოში ბოლშევიკებმა - ქართველებში დღესაც შეუწყნარებლობის მრავალ ფაქტს აქვს ადგილი, და არა მარტო ს ა ბ ჭ ო თ ა საქართველოში, არამედ პოლიტიკურ ემიგრაციაშიც, თუმცა ეს უკანასკნელი თავისუფლების პირობებში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ემიგრაციაში, ზოგიერთს ჩვენთაგანს ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან პოლიტიკური(იდეური) ბრძოლა, "დაუნდობელი კრიტიკა", ამა თუ იმ შეხედულების დაგმობა - ამგვარი აზრის მქადაგებელ პირის, პიროვნების, ადამიანისაგან, ვინაიდან მას ამა თუ იმ აზრის, იდეის დაგმობა თვით ამგვარი შეხედულებათა პიროვნების დაგმობათაც მიაჩნია, რაც, უეჭველია, "პოლიტიკური კულტურის" გაველურებას უდრის.

## IX.

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში,მაგალითად, ზოგიერთი "არ ცნობს" პოლიტიკურ პარტიებსა დ პოლიტიკურ დაჯგუფებებს, რაც, ცხადია, უფრო ამგვარი პირის პოლიტიკურ რაობაზე მეტყველებს. ზოგიერთი კონსტრუქციული ოპოზიციის სამაგიეროთ დესტრუქციულ ოპოზიციას აწარმოებს. ზოგიერთი ამა თუ იმ პოლიტიკური ხაზის გაბრიაბრუებას თვით მისი მქადაგებელს, პირის, როგორც ადამიანის, გაბრიაბრუებით ცდილობს, რომლის დროს ივიწყებს, რომ "ყალბი შეხედულების" თუ "ყალბი იდეის" მქადაგებელი ადამიანის ღირსებაც უნდა იქნას დაცული.

ამგვარ პირს - ერთი მხრივ - ადამიანი და მისი მრწამსი, პოლიტიკური მრწამსი ერთ მთლიანობად მიაჩნია, რის შედეგად"დასაგმობია"ან"მოსაწონია" იგი იდეურად და პიროვნულად, ხოლო - მეორე მხრივ - პოლიტიკურ მიზნების განხორციელებას პარტიების გარეშე ლამობს, რაც გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს თვით ამგვარი აზრის მქადაგებელს, ვინაიდან მას არ ესმის,ან არ სურს გაიგოს, რომ პოლიტიკის წარმოება შეუძლებელია პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური დაჯგუფებების გარეშე.

## X.

პოლიტიკური პარტიები, როგორც ცნობილია, არიან კონსტიტუციური უფლებით (ძირითადი კანონით) დაკანონებული საჭირო შემადგენელი ნაწილი თავისუფალი დემოკრატიული წეს-რიგისა. პარტიები მათი თავისუფალი, განუწყვეტელი ზეგავლენით ძირითადი კანონით აღიარებულ და მისგან განსაზღვრულ საზოგადოებრივ ამოცანას ასრულებენ პოლიტიკური ნება-სურვილის შექმნაში. ამით პარტიები მოქმედებენ ხალხის, ერის პოლიტიკური ნება-სურვილის გამომჟღავნება-შექმნისათვის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რომლის დროს -

1.ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე,
2.ხელს უწყობენ პოლიტიკურ განათლებას,
3.ხელს უწყობენ მოქალაქეების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას,
4. მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ს ღ ე ბ უ ლ ო ბ ე ნ პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს ადგილობრივი მმართველობის დეპუტატთა კანდიდატების წამოყენებაში არჩევნების დროს,
5.ხელს უწყობენ უნარიანი მოქალაქეების აღზრდას, რომ მათ სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა გადაიბარონ,
6.ზეგავლენას ახდენენ პარლამენტისა და მთავრობის მოღვაწეობაზე,
7. მათ მიერ შემუშავებულ პოლიტიკურ მიზნებს აქსოვენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ნება-სურვილის შექმნის პროცესში და ამით განუწყვეტელ და ცხოველ კავშირს ამყარებენ ხალხსა და სახელმწიფოს შორის.

## XI.

და ვინც პარტიების ამგვარ უდიდეს ფუნქციას თანამედროვე, განსაკუთრებით დემოკრატიულ საზოგადოება-სახელმწიფოში ვერ ხედავს ან არ სურს დაინახოს, მაშინ რა სურს მას?.. ანარქია?.. თუ პარტიების "არ ცნობის" საკითხს ამგვარი პირები იმიტომ ხომ არ ა ყ ე ნ ე ბ ე ნ, რომ საქართველოს, ქართველი ხალხის უძველესი და უძლიერესი პარტიის - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის("მესამე დასის") წინააღმდეგ გაილაშქრონ და მისი "ყოფნა-არყოფნის" საკითხი დააყენონ?მათ,უთუოთ, ავიწყდებათ,ან შეგნებულად ივიწყებენ, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის დანგრევა ვერც ლენინმა, ვერც სტალინმა და ვერც მათ მემკვიდრეებმა ვერ შესძლეს, და,ნუთუ,ასეთი უსუსურები შეძლებენ ამას?.. ასეთ პირებს, - სჩანს, არ ესმით, ან არ სურთ გაიგონ, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია უძლიერესი ქართული პარტიაა სწორედ იმიტომ, რომ მას ღრმად ჰქონდა და აქვს ფესვები გადგმული ქართველ ხალხში; ან, უფრო ზუსტად, იგი აღმოცენდა ქართველი და სა-ერთა-შორისო "ცხოვრების ხის" ჯანსაღ ფესვებზე, რის შედეგად - დემოკრატიულ არჩევნებში,1919 წელს,- ჩვენი ხალხის 85-მა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცენტმა მას მისცა ხმა. და - ვინ იცის!.. -, შეიძლება, ესაა ქართული სოციალური დემოკრატიის "სუსტი მხარეც", ვინაიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, სამწუხაროდ, არასოდეს სერიოზული, ღირსეული ოპოზიცია არ გააჩნდა, რაც გრძელდება დღესაც, პოლიტიკური ემიგრაციის პირობებში. ამის უახლესი მაგალითი გნებავთ?..

XII.

როცა, მაგალითად, თითო-ოროლა გზააბნეული ილაშქრებს პოლიტიკური პარტიების, ჯგუფების არსებობის წინააღმდეგ ემიგრაციაში და ამით, არაპირდაპირ, ანარქიას ქადაგებს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი წევრები ახლა გზააბნეულებს ღიად მხარს უჭერენ, ვინაიდან, როგორც ჩანს, ემიგრაციის პოლიტიკურ ცხოვრებაში ანარქია უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ, ვიდრე სოციალდემოკრატიული პარტიის "26 მაისის იდეებით" გაჟღენთილი პოზიცია. ნუთუ არ ესმით ამგვარ ჭ კ უ ა მ ყ ო ფ ე ლ ე ბ ს- დემოკრატიის პირობებში პოზიცია და ოპოზიცია ორივე სამშობლოს, ხალხს, ერს ემსახურება და მის წინაშე პასუხისმგებელი? აქაც შერყეულია "პოლიტიკური კულტურის" საძირკველი, ვინაიდან ოპოზიციას არ ესმის, ან არ სურს გაიგოს, რომ იგიც პასუხისმგებელია ერის, საზოგადოების, ქვეყნის წინაშე თავისი მოქმედება-არმოქმედებისათვის. ნუთუ არ დადგა დრო ეს გაიგოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიამ და მისმა მეხვეურებმა?..

XIII.

და სავალალო არ არის, რომ ამ პარტიის წევრები სდუმან, როცა, პარტიათა "უარმყოფელები" საჯაროდ აცხადებენ, რომ თითქოს შესაძლებელია გ ა ი გ ი ვ ე ბ ა "საბჭოელებისა" და "მარქსისტებისა საერთოდ"; და, ამავე დროს, კარგად იციან, რომ ბოლშევიკების, საბჭოელების წინააღმდეგ, ე.ი. "26 მაისის იდეებისათვის" ბრძოლაში, საქართველოს არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ გაუღია იმდენი სისხლი, რამდენიც გაიღო საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, ე.ი. "მესამე დასმა?.."

XIV.

რა გამოსავალი არსებობს ამგვარ "ანარქიიდან"?.. - გამოსავალი მარტივია, თუ "მ ა რ ტ ი ვ ა დ" და არა "რთულად" სურს მოქმედება-მოღვაწეობა ამა თუ იმ პირს: იგი უნდა გახდეს რომელიმე არსებული პარტიის - საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თუ საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის - წევრი ან "ლ ი ა"-თანამგრძნობი; ანდა ჩამოაყალიბოს ახალი პოლიტიკური პარტია ან დაჯგუფება, გამოაქვეყნოს მისი პროგრამა და წესდება, რომ საზოგადოებამ და პარტიებმა გავიგოთ რა "ფ ე რ ი ს" ხალხთან გვაქვს საქმე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ცხოვრობს და მოღვაწეობს დემოკრატიულ ქვეყნებში, რომლებშიც თვით უკიდურესი მემარჯვენე და მემარცხენე აზრების გამოთქმა-გავრცელება თავისუფალია, და ამისათვის არავის არ სჯიან. და თუ ვინმეს სურს ქართული ფაშისტური თუ კომუნისტური პარტიის დაარსება აქ, ემიგრაციაში, ამისათვის ღიად, საჯაროდ მოქმედება არ ჯობია ათასგვარი "მახინაციებით" მოქმედებას?..

XV.

როგორ თქვა ვ ლ ა ს ა  მ გ ე ლ ა ძ ე მ?.. - "ჩვენ სასტიკ ბრძოლას ვაცხადებთ მათ წინააღმდეგ, ვინც პატივისცემით არ ეპყრობა მოწინააღმდეგეთა პიროვნებას - რა მიმართულებისა და სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი... ჩვენ ყველა იდეურ მოწინააღმდეგეთ პატივს ვცემთ; ამის შეგნებაშია საქმე, რომ კულტურული ბრძოლა შესაძლებელი გახდეს".

და ვლასა მგელაძემ დასძინა:

"გაიწმინდეთ თქვენი თავი ყველა პარტიამ, გახდით ღირსი მეთაურობისა და შემდეგ გამოდით ხალხის წინამორბედად და მეთაურად".

სხვა სიტყვებით: იდეის, შეხედულების, პოზიციის დაგმობა - კი... მაგრამ პირის, პიროვნების, ადამიანის დაგმობა - არა. იდეა-შეხედულება-პოზიციის დაგმობა - არა დემაგოგიური, არამედ კონსტრუქციული კრიტიკის გზით.

XVI.

უთუოდ, ესაა "პოლიტიკური კულტურა", რომელიც, მეტ-ნაკლებად, გაბატონებულია მსოფლიოს ჭეშმარიტ დემოკრატიულ ქვეყნებში, და გამეფებული იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში - 1918-1921 წლებში - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დროს. მაგრამ, სამწუხაროდ, ემიგრაციაში, ზოგიერთმა მიივიწყა ქართული პოლიტიკური კულტურის ეს დიდი

მონაპოვარი: შემწყნარებლობა ადამიანის პიროვნების მიმართ, მაგრამ დაუნდობელი ბრძოლა ყოველი ჯურის "ველური ნაციონალიზმის" თუ "ველური ინტერნაციონალიზმის" მქადაგებელთა წინააღმდეგ; და ნუთუ ამ საკითხში საქართველოს ყველა დემოკრატიული პარტია ერთად არ უნდა იყოს?..

XVII.

როგორ ვთქვით დასაწყისში?.. - პოლიტიკური პარტიების და დაჯგუფებების იდეური ჭიდილი-შეჯახება არის, საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების სისუსტე კი არა სიძლიერეა; სწორედ აზრთა ამგვარ შეჯახება-ჭიდილში ადამიანი, ერი უახლოვდება ჭეშმარიტებას და არა (a priori) "ასპროცენტიან" ერთსულოვნებისას, რაც - თავის მხრივ - აზროვნების გაყინვას უდრის. საჭიროა მხოლოდ "პოლიტიკური კულტურის" დაცვა, რომ ამა თუ იმ იდეის დაგმობისას თვით მისი მქადაგებელიც არ იქნას დაგმობილი, რაც, გასაგებია, ადვილი საქმე არ არის. მაგრამ სწორედ ამაში ამ მჟღავნდება ერის, საზოგადოების და ცალკეული ადამიანის "პოლიტიკური კულტურა?.."

XVIII.

და ვითომ შეიძლება აქ წერტილის დასმა?.. ვითომ "პოლიტიკური კულტურის" აღნიშნულ მხარეს, "მეორე მხარე" არ გააჩნია?.. და თუ ეს ასეა, მეღავის ამ "მეორე მხარეს" "პოლიტიკური ანტი-კულტურა" ხომ არ ხარობს, რომელიც, ზოგჯერ, ადამიანის, ერის, რასის ცინიკურ გადაგვარებისაგანაც კი არ იხევს უკან?.. და ამგვარი (არა მარტო) "პოლიტიკური ანტი-კულტურა" თვით ადამიანის ბუნებისაგან ხომ არ გამომდინარეობს?..

XIX.

"პოლიტიკური ანტი-კულტურის" ერთერთ სახეთ შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ტყუილი, ჭორი, სიყალბე, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს ამა თუ იმ ადამიანის, დაჯგუფების, ტომის, ერის თუ ქვეყნის წინააღმდეგ. მაგრამ თვით ტყუილსაც რომ - თავის მხრივ - "ორი მხარე" აქვს?..
ერთი მხრივ - ტყუილია შეგნებული ყალბი, შეცდომაში შეყვანის გამოთქმა, რომლის დროს სიყალბესთან მაშინაც საქმე გვაქვს, როცა ფაქტი შეგნებულად მიჩქმალული ან შეფერადებულია. ვინაიდან "სიმართლე" ადამიანთა ერთად ცხოვრების ერთერთი საფუძველი და ადამიანის ღირსების მთავარი მოთხოვნაა, ეთიკა გმობს სიცრუეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის გამოწვეულია თვითმოყვარეობით, სიმხდალით თუ სიბოროტით.
მეორე მხრივ - დასაშვებად მიაჩნიათ "ჩვეულებრივი სიცრუე", მაგალითად, თავაზიანობის გამომხატველი გამოთქმები: "მახინჯ ადამიანს არ ეუბნებიან, რომ ის მახინჯია". მორალურად გამართლებულია აგრეთვე "გასაჭირის ტყუილი", თუ ის ნაკარნახევია ადამიანის სიყვარულით, როცა, მაგალითად, ექიმი ავადმყოფს სიმართლეს არ ეუბნება. არსებობს აგრეთვე, უმთავრესად, ბავშვების "შეუგნებელი სიცრუე", რაც გამოწვეულია სირცხვილით, შიშით, პიროვნული ფანტაზიით თუ თავის გამოჩენის მიზნით. "ავადმყოფური სიცრუის" მთქმელები კი, გასაგებია, არანორმალური ადამიანებია.

XX.

მაგრამ ტყუილს აქვს სხვა მხარეც: ყველა ლიტერატურულ ავანტიურისტულ ნაწარმოებში, ზღაპარში თუ ანეკდოტში სიყალბე(ტყუილი) იმდენად არის გადაჭარბებული, რომ მიმღები(მსმენელი თუ მკითხველი) ტყუილს აღიქვამს როგორც მხატვრული გამოსახვის ხერხს. მალაიზიური ხალხური სიბრძნე ყოფილა, მაგალითად, -"მოიტყუილე რომ გაიგო სიმართლე". სულხან-საბა ორბელიანი ხომ "სიბრძნე-სიცრუით", ე.ი. "სიცრუით" "სიბრძნეს" გვიქადაგებს!?..
და იმანუელ კანტმა ხომ მთელი ნარკვევი უძღვნა "ტყუილს": "ვითომ უფლების შესახებ, ადამიანის სიყვარულით მოიტყუილო" (I.Kant: "Über vermeintliches Recht, aus Menschenliebe zu lügen", 1797).

XXI.

და ტყუილის, ალბათ, უპირველესი ცორმაა "ხმის გავრცელება", ჭორი, რომელსაც - თავის მხრივ - ისევე ძველი ისტორია და სხვადასხვა მხარე აქვს, როგორც ტყუილს. ჯერ კიდევ ჰესიოდესათვის "ხმის ლაყრა"="ფემე"="ლაყბობა" ღვთაება იყო(მეშვიდე საუკუნე ქრისტეს დაბადების წინ). ანალოგიურად ესმოდა Pheme ჰეროდოტეს, "ისტორიის მამას"(490-420 ქ.დ.წ.) და ბერძენ ტრაგიკოსებს.
რომაელები "ხმის ლაყრას" "ფამა-ს"=Fama უწოდებდნენ, რომლის კონკრეტიზაციას ვერგილი(70 - 19 ქ.დ.წ) ასე ახატავს: "ფამა" არის დედამიწის ქალიშვილი, "საშინელი არსება": ბუმბულით დაფარული სხეული, თვალებით, ენებით. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეაყბე დრუნჩებით, რომელთა ზეგავლენით ძალა გარდაქმნებისას იზრდება. ("ენეა",IV.). რომაელ პოეტ ოვიდ-ნასონის(43 ქ.დ.წ. - 17 ქ.დ.შ.)"ფაზა" არის როგორც სიმართლის, ისევე სიყალბის მიკრიკი("მეტამორფოზები",IX.).

XXII.

პუბლიცისტიკა და კომუნიკაციის მეცნიერება კი ხმის გავრცელების წარმოშობას განმარტავს როგორც ზეპირ მესაუბრეებით-პუბლიცისტიკას, აზრთა გაცვლა-გამოცვლას, რომ გარკვეულ იქნას გაურკვეველი მდგომარეობა. ხმების გავრცელებას აქვს ადგილი ინფორმაციის უქონლობის ან არასრული ინფორმაციის დროს; და ვრცელდება იმ დროს, როცა ხმების შინაარსი, მოცემულ მდგომარეობაში, სულ ცოტა, შესაძლებლადაა მიჩნეული. ხმის გავრცელება არის მომთხრობისა და ~~ისევე-მომთხრობის გამოხატვის და~~ დაკმაყოფილების შესაძლებლობა, რომლის დროს ადგილი აქვს მდგომარეობის გაანალიზებას, რის შედეგად შესაძლებელია მიღებულ იქნას ინდივიდუალური ან კოლექტიური მოქმედების გადაწყვეტილება. ხმის გავრცელების მოტივად კი მიიჩნევენ შიშს, იმედს, აგრესიას თუ ცნობის-მოყვარეობას. საერთოდ აღიარებულია ის აზრი, რომ ხმა არ არის უფრო მეტად ან ნაკლებად სწორი, ვიდრე უშუალო მესაუბრეებითი ცნობის სხვა ფორმები.

მაგრამ აქაც "ანტი-თეზისი": ხმის გავრცელება შეიძლება იყოს ტაყბობა, დაუსაბუთებელი ცნობა, "საიდუმლოდ" გავრცელებული აზრი("ჩურჩულის-პროპაგანდა"), სიცრუე, ჭ ო რ ი, ანდა ჩირქის მოცხება. და როგორ უნდა ვიპოვოთ გამოსავალი ამგვარ აზრთა და შესაძლებლობათა ჯუნგლებიდან?!..

XXIII.

ისევ ჰესიოდს რომ დავუბრუნდეთ, იგი მის ნაწარმოებში "ეგრა", ასხვავებს დავის ორ ფორმას: დავა, რომელიც იწვევს ბრძოლას, და დავა, რომელიც იწვევს ბედნიერებას; და ამბობს, რომ იქ, სადაც კანონს პატივს სცემენ, ყვავის ქვეყანა, მაგრამ სადაც კანონს პატივს არ სცემენ, იმ ქვეყანას თავზე ატყდება უბედურება. მაგრამ "უკანონო კანონის" არსებობაც რომ შესაძლებელია?!..

XXIV.

"დ ა ვ ი ს" ძალისმიერი ფორმებიც ხომ არსებობს?!.. პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის ძალისმიერი ფორმაა, მაგალითად, ტერორი, რომელსაც (არა მარტო) დესპოტური თუ ტოტალიტარული რეჟიმი იყენებს მოწინააღმდეგის მოსასპობად, რომლის დროს მოწინააღმდეგის ქონების კონფისკაცია, დაგმობა, იძულებითი "მკურნალობა", გადასახლება თუ ცემა-წამება ჯერ წესრიგშია თვით მოწინააღმდეგის ე.წ-ლი"ლიკვიდაციის" ჩათვლით. და თუ პოლიტიკური, სოციალური თუ სამხედრო მიზნის მიღწევისათვის ყველა საშუალება გამართლებულია, მაშინ "უფრო ძლიერის" მსხვერპლი არ ხდება "უცხო სისხლი?.."

XXIV.

მაშ, მივედით ომთან?.. და მერე როგორ შეტრფის ომს, ვთქვათ, იტალიელი ფუტურისტი ფილიპო მარინეტი, როცა ამბობს:"ჩვენ გვსურს ხოტბა შევასხათ ომს, მხოლოდ ამ ერთადერთ ჭეშმარიტ ჰიგიენას..."; და ჰერაკლიტე(550-480;"ფრაგმენტი 53")?.. "ომი არის ყველაფრის მამა, ყველა ქმნილების მეფე".

რა თქმა უნდა, აქ ადამიანი, ინდივიდუუმი უკვე "არა-პირი", "ნომერია", ვინაიდან ომი იარაღით ბრძოლაა ორ სახელმწიფოს ან ორ სახელმწიფოთა დაჯგუფებას შორის, რომლის დროს აწარმოებენ თავდაცვით, თავდასხმით თუ დაპყრობით ომებს თვით პარტიზანული ომის=ბრძოლის ჩათვლით. და თუ, როგორც კარლ ფონ კლაუზევიცი(1780-1831) ამბობს, - ომი არის "ძალადობის აქტი, რომ მოწინააღმდეგე იძულებული გახდეს შეასრულოს ჩვენი ნებასურვილი..." და იგი "...სხვა არაფერი არ არის თუ არა პოლიტიკური ურთიერთობის განგრძობა სხვა საშუალებათა გამოყენებით", მაშინ შეიძლება ლაპარაკი ე.წ-ლ"სამართლიან ომზე"=Bellum iustum"უსამართლო ომის" საწინააღმდეგოდ, როგორც ამას ავგუსტინი(354-430) ქადაგებდა და მას(ომს) დარღვეული სამართლის ისევ აღდგენის საშუალებათ მიიჩნევდა, სამართლიანი მიზნისათვის და სამართლიანი მეთოდების გამოყენებით?.. და თუ "სამართლიანი ომია" "თავდაცვითი ომი", მაშინ - "პოლიტიკური კულტურის" სფეროში რომ დავრჩეთ; - "თავდაცვა" საერთოდ, პიროვნებათა, პირთა შეჯახება-შემოჯახების პროცესშიც "სამართლიანია?.." მაგრამ როგორ უნდა იქნას გამოყოფილი ცალკეული პიროვნება, ინდივიდუუმი ოჯახის, გვარის, ტომის თუ ერის ცნებიდან, ვინაიდან იგი მათი შემადგენელი "ნაწილაკია"?.. და თუ ეს ასეა, მაშინ ცალკეული პიროვნების პატივისცემა მისი ოჯახის, გვარის, ტომის, ერის პატივისცემას არ უდრის, და "პოლიტიკური კულტურა" ამ საფუძველზე არ უნდა ემყარებოდეს?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXVI.

ვითომ "პოლიტიკური ანტი-კულტურის" ყველაზე უფრო საშინელ მაგალითებს გვაწვდის მეორე მსოფლიო ომი, როცა პიროვნება, ერი, თვით რასაც=ჯიშიც კი "უნტერ-მენშენად" იქნა აღიარებული, რასაც მოყვა არა მარტო მილიონობით ებრაელთა გაჟლეტა, არამედ სხვა ერთა შვილების შეუწყნარებელი ტერორი?!..
1939 წლის 22 აგვისტოს, მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ, ადოლფ ჰიტლერმა, მაგალითად, სიტყვა-სიტყვით თქვა:
"მე მივეცი ჩემს ტოტენკომანდოს(სიკვდილის რაზმს) ბრძანება დაუნდობლად და ყოველგვარი თანაგრძნობის გარეშე გაჟლიტონ კაცები, ქალები და ბავშვები, რომლებიც სლავიანურად მოლაპარაკე რასას ეკუთვნიან. მხოლოდ ასე შეგვიძლია ჩვენ საცხოვრებელი მიწა-წყლის მოპოვება, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება. ბოლოსდაბოლოს ვის ახსოვს დღეს კიდევ სომხების გაჟლეტა?"

XXVII.

და მართლაც, ანალოგიური თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის - ტალაატ ფაშას - 1915 წლის 16 სექტემბრის განცხადება:
"მთავრობამ დაადგინა ყველა სომეხი თურქეთში სრულიად გაჟლეტილ იქნას; მათ ცხოვრებას ბოლო უნდა მოეღოს. როგორი ბოროტება არ უნდა იყოს ამგვარი ღონისძიება, არავითარი ყურადღება არ უნდა მიექცეს არც ასაკს და არც სქესს."

ამგვარ საშინელებათა განმარტება კი შეუძლებელია მარტო ბრიტანეთის და მეფის რუსეთის იმპერიების მოქიშპეობით მსოფლიოს ამ რეგიონში, რასაც მოყვა - იოჰანეს ლეპსიუსის(1920 წ.) აზრით, სომხების გაჟლეტა 1894, 1895-96 და 1915-16 წლებში. და რამდენ ანალოგიურ "პოლიტიკურ ანტი-კულტურის" ფაქტებს არ იცნობს კაცობრიობის ისტორია?!..

XXVIII.

მაგრამ ვითომ ზოგიერთი მოაზროვნეებიც იყვნენ(თუ არიან)"პოლიტიკური ანტი-კულტურის" ფერხულში ჩაბმულნი?.. შეიძლება, ყველაზე უფრო დამახასიათებელია (არა მარტო)ამ მხრივ,"ალბათ, ყველაზე უფრო დიდი გერმანელი მოაზროვნე ფრიდრიხ ნიცშეს შემდეგ"(რუდოლფ რინგგუთ) - მარტინ ჰაიდეგერის აზრები:

"მიწათმოქმედება დღეს არის მოტორიზებული კვების მრეწველობა, არსებითად იგივე როგორც გვამების პროდუქცია გაზის კამერებში, არსებითად იგივე როგორც წყალბადის ბომბების ფაბრიკაცია".("შპ",34-1986,გვ.169). და ამ სიტყვებით შეეცადა იგი ნაცისტური რეჟიმის ბოროტმოქმედებათა მობოდიშება-ნიველირებას, 1949 წელს,როცა მეორე მსოფლიო ომის ჭრილობები ჯერ კიდევ მოშუშებული არ იყო. ჰაიდეგერი,ლიბერალური დემოკრატიის პირობებში,პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლას უარყოფითად აფასებდა, ვინაიდან ამ გზით "მხოლოდ საერთო მამღარი კმაყოფილება იქმნება საშიშროების გარეშე"(იქვე).

"საქმიანობის თავმოყრით(აქ ლაპარაკია,ჩემის აზრით, პირველ რიგში, გერმანელ ერზე.კ.ი.)...არასოდეს შესაძლებელი არ არის ძალისა და სიძლიერის შეცვლა"; და მაშინ 41 წლის ჰაიდეგერი(1930) ასძენდა:
"ვინც თავისთავისაგან არაფერს მოითხოვს, ვერასოდეს ვერ გაიგებს თავისი შეუძლებლობისა და შეუძლებლობის-ყოფიერების საზღვრებს...თვითკმაყოფილებაში მას აქვს, რასაც ის ისურვებს, და მხოლოდ ისურვებს, რაც მას შეუძლია ჰქონდეს".
აქედან გამომდინარე, ადამიანმა შეუძლებელი უნდა ისურვოს, რომ - როგორც ჰაიდეგერი ამბობს - "ყოფიერება ბექებზე დაადგა "მაგრამ ვინაიდან ჩვენ იმ აზრის ვართ, რომ უკვე საჭიროდ არ მიგვაჩნია ძლიერი ვიყოთ და საშიშროებას პირდაპირ შევეჯახოთ, - ჩვენ უკვე...ყოფიერების საშიშ ზონიდანაც გამოვძვერით". "ჩვენ ისევ უნდა მოვუწოდოთ იმისაკენ, რასაც ჩვენი ყოფიერებისათვის შიშის მოჰგვრა შეუძლია".("შპ.",34-1985,გვ. 164-169).
და თუ "ძალისა და სიძლიერის შეცვლა ყოველთვის შეუძლებელია", მაშინ ძალადობას - არის ის სულიერი თუ ფიზიკური - არ ეხსნება ფართო გზა?.. მაშინ სადღაა "პოლიტიკური კულტურა", რომელიც(არა მარტო მე)"ოქროს შუალედად" მ ე ს ა ს ე ბ ა "ველურ ნაციონალიზმსა" და "ველურ ინტერნაციონალიზმს" შუა?..

XXIX.

პოლიტიკური მოუთმენლობა, პოლიტიკური ანტი-კულტურა საქართველოში, ქართველ ერში არაერთხელ ჩანერგეს საქართველოს ყოველი

ჯურის დამპყრობელმა, რომლის უკანასკნელი აქტი      იყო ბოლშევიკური რეჟიმის გაბატონება საქართველოში 1921 წლის თებერვლიდან, რასაც მოჰყვა ქართველი ხალხის სულიერი და ფიზიკური დამონავების აქტები, განსაკუთრებით 1921-24, 1936-37, 1941-46 თუ მის შემდგომ წლებში, რომელთა მოშუშება ჩვენმა ხალხმა დღემდეც ვერ შესძლო, ვინაიდან ჩვენ ჩვენი თავის ბატონ-პატრონი დღესაც არ ვართ. და ემიგრაციაში ხომ ჩვენ თავის-უფლების პირობებში ვცხოვრობთ?!..ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს, ვცხოვრობთ საფრანგეთში, ინგლისში თუ შეერთებულ შტატებში,-პოლიტიკური მოქმედების ყოველი რეგალური შესაძლებლობა ხომ გაგვაჩნია?!.. და თუ ეს ასეა, აქ, პოლიტიკურ ლტოლვილობაში ხომ მაინც შეგვიძლია ვიმოქმედოთ "პოლიტიკური კულტურის", ქ ა რ თ უ ლ ი პოლიტიკური კულტურის საფუძვლებზე დაყრდნობით, რომლის დამახასიათებელი ნიშანდობლიობანია ჭირთმენლობა, ყოველი ჯურის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალის არ-გამოყენება და ყოველი ადამიანის, პირის, პიროვნებისა თუ დაჯგუფების პატივისცემა მაშინაც, როცა ისინი, ვთქვათ, "ველურ ნაციონალიზმს" თუ "ველურ ინტერნაციონალიზმს" ქადაგებენ.

XXX.

"პოლიტიკური ანტი-კულტურის" საფუძვლებში, ცხადია, მოთმენება, შეუ-ნაკლებად, ყოველ "სოლვილ ადამიანში" და ამით ერშიც; მაგრამ "პოლიტი-კური ანტი-კულტურა" საშინელ ფორმებსაც კი ღებულობს, როცა ერთი ერი მე-ორე ერს, ერთი ქვეყანა მეორე ქვეყანას იპყრობს, და "გამარჯვებული" "და-მარცხებულთა" მკვლელს("ვაი-დამარცხებულებს"), ნებით თუ უნებლიეთ, თა-ვის სამსახურში ჩააბამს ხოლმე. რამდენი უბედურება დაატეხა საქარ-თველოს, ქართველ ხალხს თავზე, მაგალითად, სპარსეთის, თურქეთის, მონღოლების თუ რუსების სამსახურში ჩამდგარმა ზოგიერთმა ქართველმა?..და გასაკვირია, რომ დღესაც, როდესაც მთელი ცივილიზებული მსოფლიო მებარის ერისა და ადა-მიანის თავის-უფლებას, საქართველოში და ამით პოლიტიკურ ემიგრაციაშიც არა ერთი ქართველი ისე მოქმედებს თითქოს   ემსახურება უცხო ერს, რომ კიდევ უფრო გაახანგრძლივოს სხვა ერის ბატონობა ჩვენს ერზე. აქ კი ისევ მაგონდება თავის-უფლების დიდი მომღერლის - ფრიდრიხ შილერის - სიტყვები: "მონობა სიმძიმეა, მაგრამ მონური გაგება თავისუფლებისა დახაგმობია", იუმცა იქვე დასძენს, რომ თუ მონას არ ესმის რომ ის მონაა, მაშინ ის არ არის მონაო!..

XXXI.

ვითომ უცხო ერის საქართველოზე ბატონობის ქართველ ხელშემწყობთ, სულ ერთია, ზოგიერთ ხელშემწყობთ არ ესმით, რომ თა ისთავსაც მონურ მდგომა-რეობაში აყენებენ, როცა იძულებული არიან თქვან -"საქართველოსათვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის?.." და ამგვარი იმპერიული პოლიტიკის ქართველ ხელშემ-წყობთ არ ესმით ისიც, რომ სწორედ ამგვარი პოლიტიკა, "ვაი-პოლიტიკა" იწ-ვევს შიშს, უნდობლობას, ტერორს და, როგორც 1921 წლის თებერვალ-მარტის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს მაგალითი ნათელჰყოფს. ამსაც კი, რაც სხვა არაფერია თუ არა პოლიტიკური კულტურის გაველურება?.."ყურო ნიშნავს არ იარსებო" ("zusehen ist nicht existieren".K.J.) და, ვინც პოლიტიკური კულტუ-რის გაველურების მხოლოდ პასიური "ყურებით" კმაყოფილდება, ვითომ ის უარს არ ამბობს არსებობაზე?..

ნუთუ ჩვენ, ქართველებმა, აქ, უცხოეთშიც, თავისუფლების პირობებში, მი-ვივიწყეთ და"გავაველურეთ" ქართული ტრადიციული შემწნარებლობითი პოლიტიკუ-რი კულტურა?.. ვითომ ჩვენ(კიდევ ერთხელ) გვჭირდება წაბაძვა, თუ გნებავთ, თანამედროვე ფრანგული "პოლიტიკური კულტურისა",რაც("ზომიერ) მემარცხენეთა და (ზომიერ) მემარჯვენეთა "ერთადცხოვრების"=cohabitation- ცნებაში გამოიხა-ტება?..

XXXII.

თუ ამ შემთხვევაშიც ძალაშია, სხერთოდ, ადამიანის"ბუნება"?.. რომელ ადა-მიანს არ სურს იყოს "კარგი","კეთილი","შემწყნარებელი"?!.. მაგრამ ყველას რომ არ შეუძლია ეს თანდაყოლილი გენების გამო?!..თუ შეუძლია?.. ამ პრობლე-მის გარშემო ხომ "დაუნდობელ" შეჯახებებს ჰქონდა ადგილი"ეთოლოგებსა"და"ბი-ჰევიორისტებს" შორის, რაც გრძელდება დღესაც!.. რაშია საქმე?..

XXXIII.

"ეთოლოგიას სასტიკად თავს დაესხა ბიჰევიორიზმი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ცნება - 'შემკვიდრეობით-გამოწვეული' - შეუძლებელია გამოყოფილ იქნას ალტერნატიული ცნებისაგან - 'თვისებით-გამოწვეული', ამიტომ მი-

სი გამოყენება არამეცნიერულია. ამ დებულებამ მრავალი ეთოლოგი შეარყია და, სიფრთხილის გამო, უარი თქვეს ცნებაზე 'მემკვიდრეობით-გამოწვეული', მაგრამ ასე არ მოიქცა კონრად ლორენცი. მან აწარმოა კვლევა-ძიება და აღმოაჩინა ადეკვატური ცნებათა წყვილის -'მემკვიდრეობითი - ~~ათვისებითი' - ახალი განმარტება: ინფორმაცია, რომელიც ზნეობას მმარ~~თავს, მემკვიდრეობითი ზნეობისას ჯიშის ისტორიული ქცევის წარმოშობისაა, რომელიც ათვისებისას ინდივიდუალურად შეითვისება. ჯიშის ისტორიულ განვითარებასა და ინდივიდუალურ ათვისებას შორის არ არსებობს დინებითი გადასვლები. ამით ზნეობის ბიოლოგიის ცნებათა არსებით წყვილს მიეცა ახალი დასაბუთება და უკვე საბოლოო ჩამოყალიბდა."
(BERNHARD HASSENSTEIN: Angeboren — erlernt; "ციტ",7.11.1983).

XXXIV.

ამგვარად, "მემკვიდრეობითი - ათვისებითი" ცნებათა წყვილი ადამიანის ჰუმანიტარული აზრის განსაზღვრულ გზას არ გვისახავს, როცა ამტკიცებს, რომ "ინფორმაცია, რომელიც ზნეობას მართავს, მემკვიდრეობითი ზნეობისას ჯიშის ისტორიული ქცევის წარმოშობის არის, რომელიც ათვისებისას ინდივიდუალურად შეითვისება?.." და "ინდივიდუალური შეთვისებისას" ვითომ ძალაში არ რჩება "თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა?.."

XXXII.

მაშ, და-ბოლოს, ისევ უნდა გავიმეოროთ?!.. პოლიტიკური პარტიების, დაჯგუფებების და ამით ცალკეული ადამიანების იდეური ჭიდილი, შეჯახება ერის საზოგადოების სისუსტე კი არა სიძლიერეა; აზრთა, იდეათა სწორედ ამგვარ შეჯახება-ჭიდილში ადამიანი, ერი უახლოვდება ჭეშმარიტებას, და არა ("ა პრიორი" "ასპროცენტიანი" ერთსულოვნებისას, რაც - თავის მხრივ - აზროვნების გაყინვას უდრის. საჭიროა მხოლოდ "პოლიტიკური კულტურის" დაცვა, რომ ამა თუ იმ იდეის დაგმობისას თვით მისი მქადაგებელიც არ იქნეს, როგორც ადამიანი და პიროვნება, დაგმობილი, რაც, გასაგებია, ადვილი საქმე არ არის. მაგრამ სწორედ ამაში არ მჟღავნდება ერის, საზოგადოების და ცალკეული ადამიანების (არა მარტო) პოლიტიკური კულტურა?..

XXXIII.

თუ "პოლიტიკური კულტურა" და "პოლიტიკური ანტი-კულტურა", კონრად ლორენცის გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, - "ცნებათა წყვილია" როგორც "სიმართლე" და"სიყალბე", "კეთილი" და "ბოროტი",რომლებსაც მხოლოდდამხოლოდ მარადიული ცვალებადი ბრძოლის პროცესში შეუძლიათ არსებობა და თვითგანსორციელებაც?..

XXXIV.

მაგრამ მოთა ხომ გვასწავლის -"ბოროტსა სძლია კეთილმან,არსება მისი გრძელია?!.."

კარლო ინასარიძე
ლევილი, 1986 წლის ნოემბერი

Conseil National Géorgien
ქართული ეროვნული საბჭო

CHATEAU DE LEUVILLE
91310- Leuville sur Orge
FRANCE
Tél:(331)-6084-6131

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ა ჯ ა რ ო ო ბ ა

## მოღვაწეობა ქართული ეროვნული საბჭოს IV. ყრილობის შემდეგ

ქართული ეროვნული საბჭოს IV. ყრილობა, როგორც "მებრძოლი საქართველოს"
1986 წლის აპრილის(1-19) ნომერში ვწერდით, ჩატარდა პარიზში, 1986 წლის
27 აპრილს. მოწინავეში -"ჩვენი მიზანი" -,სხვათა შორის, მოყვანილია ამო-
ნაწერი "მებრძოლი საქართველოს" პირველი ნომრიდან(1952 წ.),რომელშიც ნათ-
ქვამია:
"ჩვენ ვართ მებრძოლი ეროვნული ორგანიზაცია. მიზანი ჩვენი გარკვეულია
და უდავო. საბჭოთა რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლება და საქართველოს
დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენა".
ქართული ეროვნული საბჭოს მე-4-ე ყრილობამ კი მოუწოდა ყველა ქართველს:
"მაშ, ძვირფასო მეგობრებო, გავერთიანდეთ ამ დიადი ეროვნული დროშის ქვეშ,
რომ ჩვენც, პოლიტიკურმა ემიგრაციამ, ხელი შევუწყოთ საქართველოს სახელმწი-
ფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენას და ამით ჩვენი
ეროვნული თავის-უფლების განცხოციელებას!.."
"ქართული ეროვნული საბჭოს კარები - ნათქვამია აგრეთვე ქართული ეროვნული
საბჭოს წესდების ოცდა-მეერთე-მუხლში - ღიაა ყოველი პოლიტიკური პარტიის თუ
დაჯგუფებისათვის ისევე, როგორც ყოველი პირისათვის, რომელიც აღიარებს და
იბრძვის 26 მაისის იდეების განხორციელებისათვის".
აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის, ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე
ყრილობამ აირჩია სპეციალური კომისია ბატონ ნიკოლოზ ანთაძის, ბატონ გრიშა
ულმაძისა და ბატონ შალვა თაყაიშვილის - შემადგენლობით, რომელიც დაუყონებ-
ლივ შეუდგა თავის მუშაობას.
ამგვარად, ქართული ეროვნული საბჭოს მთავარი ამოცანა, მეოთხე ყრილობის
დამთავრების შემდეგ, გახდა  ე რ თ ი ა ნ ი  ფრონტის შექმნა, რაც გამოი-
ხატა მრავალ მოლაპარაკებებში თუ შეხვედრებში, რამაც, თავის მხრივ, შეა-
ფერხა კიდეც ქართული ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა, ვინაიდან, მოლაპარაკე-
ბების პროცესში, შეთანხმების მიღწევისმოლოდინში, თითქმის,პირველი სამი
თვე, ქართულ ეროვნულ საბჭოს, შეთანხმების თანახმად, არავითარი ნაბიჯები
არ გადაუდგამს არც საშინაო და არც საგარეო საქმეებში. მაგრამ როცა ქარ-
თული ეროვნული საბჭო დარწმუნდა, რომ რამდენიმე ოპოზიციური პირის ამგვარი
თითქოსდა "მოლაპარაკებების", სინამდვილეში კი "ჩვენი მიძინების" ტაქტიკა
ზიანს აყენებდა ქართული ეროვნული საბჭოს ეფექტურ მოღვაწეობას, დაუყონებ-
ლივ გადადგმულ იქნა ნაბიჯები. "საქართველოს საკითხის" წამოჭრის მიზნით,
როგორც ქართული პოლიტიკური ემიგრაციის შიგნით, ისევე გარეთ, რომლის დროს
ჩვენი მოქმედების საფუძველი იყო და რჩება - "ს  ა  ჯ  ა  რ  ო  ო  ბ  ა",
ე.ი.ჩვენი ყველა მოქმედების საზოგადოების წინაშე გადაშლა, რომლის დროს -
"პროფესიული ოპოზიციონერების" საწინააღმდეგოდ - ჩვენს მოწინააღმდეგებს
კი არ ვაძაგებთ და მათ ყოველგვარ ადამიანურ თვისებებს"ვართმევთ",არამედ
- პირიქით - მათ ღირსებასაც ვიცავთ იმით, რომ ყოველ ადამიანს აქვს,უნდა
ჰქონდეს თავისი აზრის გამოთქმის უფლება, ჩვენს შემთხვევაში, მაშინაც კი,
როცა მისი აზრი ეწინააღმდეგება "26 მაისის" დიად იდეებსაც კი. როგორც
ვხედავთ, ქართულ ეროვნულ საბჭოსა და მის თითო-ოროლა მოწინააღმდეგეებს შო-
რის დიდი,არსებითი განსხვავებაა, ვინაიდან "სხვა აზრისათვის" ჩვენ არავი-
სზე არ ვავრცელებთ  ჭ ო რ ე ბ ს,არავის არ ვგმობთ,ვიცავთ რა დიად ჰუმანი-
ტარულ ტრადიციებს "26 მაისისა" და მისი შემქმნელი შესანიშნავი თაობისა -
ნოე ჟორდანიას მეთაურობით.
ამდენად, ქართული ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა მეოთხე ყრილობის შემდეგ -
მიღწეული ყოფილიყო  ე რ თ ო ბ ა  პოლიტიკური ემიგრაციის ყველა პარტიასა
და დაჯგუფებას შორის, ჯერჯერობით, წარმატებით ვერ დამთავრდა. მაგრამ ჩვენ
მაინც განვაგრძობთ მოღვაწეობას ამ მიმართულებით : ჩვენი კარები  ღ ი ა ა.

## II.

პოლიტიკური ემიგრაციის პარტიებისა და დაჯგუფებების  ე რ თ ო ბ ი ს  განხორ-
ციელებისათვის მოქმედების პარალელურად, როგორც ავღნიშნეთ, დაგვიანებით,
მაგრამ მაინც შევუდექით მოღვაწეობას როგორც საშინაო,ისევე საგარეო სფეროში.
ს ა შ ი ნ ა ო  ს ფ ე რ ო შ ი  -  პირველი ნაბიჯი გადადგმულ იქნა ეროვ-
ნული საბჭოს ოფიციალური ორგანოს -"მებრძოლის საქართველოს" - სარედაქციო
კოლეგიის  მექმნის მიზნით,რის შემდეგ  "მებრძოლი საქართველოს"
დირექტორმა - ბატონმა შალვა თაყაიშვილმა, სარედაქციო კოლეგიის წინადადე-
ბით, წერილი დააგზავნა ქართულ სათვისტომოებში უცხოეთში, რომ საერთო ძალა-
თი შევექმნა ჩვენს, მსოფლიოში მიმოფანტული, მ ა ლ ე ბ ი ს  მესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს წერილი ქვეყნდება ამავე ჟურნალში , თუმცა შედეგები ჯერ-ჯერობით უცნობია, ვინაიდან "მებრძოლი საქართველოს" ამ ნომრის გამოცემა 26 მაისისათვის იყო განზრახული, მაგრამ - ჩვენი გულშემატკივრების თხოვნით - იძულებული გავხდით 25 თებერვალთან, საქართველოს დაპყრობის დღესთან დაკავშირებით გამოგვეცა.

III.

სამინაო სფეროში მრავალი სხვა ნაბიჯებიც იქნა გადადგმული, რომელსაც მკითხველი ამ ნომერში გაეცნობა, როგორც,მაგალითად, ქართული ეროვნული საბჭოს "მიმართვა"აგვისტოს აჯანყების 62-ე წლისთავზე, მიწერ-მოწერა რადიო"ამერიკის ხმის","ისრაელის ხმის" თუ რადიო"თავისუფლების" რედაქციებთან,და სხვა. ს ა გ ა რ ე ო ს ფ ე რ ო შ ი კი ჩვენ შევეცადეთ კავშირების დამყარებას პოლონეთის, უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბელორუსიის, თათარბაშკირეთის, თურქესტანის, სომხეთის, აზერბაიჯანის,. ჩრდილოეთის და სხვაერების ორგანიზაციებთან, რომლებსაც ჩვენ გავაცანით ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობის შედეგები, და გადავდგით ნაბიჯები მათთან თანამშრომლობის მიზნით, რასაც დადებითი შედეგები მოყვა, თუმცა,ჯერჯერობით, დროს სიმოკლის გამო,"ყველაფერი დინებაშია", ე.ი. არსებული კავშირების გამოცოცხლება და ახალი კავშირების დამყარება განსაზღვრულ დროს მოითხოვს.

გადადგმულ იქნა აგრეთვე ნაბიჯები კავშირები იქნას დამყარებული საერთაშორისო და ცალკეული დემოკრატიული ქვეყნების სამთავრობო და კერძო ორგანოებთან "საქართველოს საკითხის" წამოჭრის მიზნით, რომლის დროს, ქართული ეროვნული საბჭო ყურადღების ცენტრში აყენებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას(ნიუ-იორკი), ევროპის პარლამენტს(სტრასბურგი), საერთო ბაზრის ორგანიზაციას(ბრიუსელი), რომელთაც დაეგზავნებათ, სხვათა შორის, "ელ-მემუარ"-ი "საქართველოს საკითხის" შესახებ.

IV.

ქართულ ეროვნულ საბჭოს კარგად ესმის, რომ აღნიშნული მიზნების განხორციელება მეტად რთული საქმეა მით უმეტეს, რომ ჩვენ ამისათვის არავითარი სახსრები არ გაგვაჩნია გარდა ჩვენი, მეტად განსაზღვრული, შემოწირულებებისა. მაგრამ ჩვენ მაინც დარწმუნებული ვართ, რომ განსაზღვრულ წარმატებებს მივაღწევთ თუ ქართული ეროვნული საბჭო შესძლებს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წამყვანი ძალების ე რ თ ო ბ ა ს "26 მაისის" ეროვნული დროშის ქვეშ. ვიმედოვნებთ, ჩვენი ამგვარი ღ ი ა, ს ა ჯ ა რ ო ო ბ ი ს მრწამსით გაჟღენთილი მოქმედება,ხელს შეუწყობს აღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის მოქმედებას.

V.

რაც შეეხება ზოგიერთ პოლიტიკურ ემიგრანტებს, რომლებიც პოლიტიკური ემიგრაციის"გაერთიანებას" პოლიტიკური პარტიებისა და დაჯგუფებების გ ა რ ე შ ე ქადაგებენ,-ამასთან დაკავშირებით გვსურს შევნიშნოთ შემდეგი: პოლიტიკა, პოლიტიკური მოქმედება შეუძლებელია პოლიტიკური პარტიის გარეშე. ვიმედოვნებთ რა, რომ ყ ვ ე ლ ა პოლიტიკური ემიგრანტი დემოკრატიის პრინციპებს ეყრდნობა, უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიული წესყობილების ხორცშესხმისათვის რამდენიმე, სულ ცოტა, ორი პოლიტიკური პარტია ან დაჯგუფება მაინც უნდა არსებობდეს, რასაც ადასტურებს, თუ გნებავთ, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება 1918-1921 წლებში, როცა, 1919 წელს, დეკემბერში, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო თორმეტმა პარტიამ თუ პოლიტიკურმა დაჯგუფებამ, რომელთაგან საქართველოს დამფუძნებელი კრების სულ 130 დეპუტატიდან - საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ გაიყვანა 109 დეპუტატი, ეროვნულდემოკრატიულმა პარტიამ 8-ა, სოციალისტურ-ფედერალისტთა პარტიამ- 8-ა და სოციალრევოლუციურმა პარტიამ 5-ი დეპუტატი. და, ს ა მ ე დ ნ ი ე რ ო , ამ პოლიტიკურ პარტიებიდან პირველი სამი განაგრძობს არსებობასა და მოღვაწეობას პოლიტიკურ ემიგრაციაშიაც; და ვინც ამ პოლიტიკური პარტიებისა და სხვა პოლიტიკური დაჯგუფებების გ ა რ ე შ ე ეროვნული ძალების ე.წ-ლ "გაერთიანებას" ქადაგებს, მათ სურთ, ჩვენის აზრით, არა გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა, არამედ პოლიტიკური ემიგრაციის დ ა ნ გ რ ე ვ ა, შეგნებულად თუ შეუგნებლად. და განა ამ ანბანურ ჭეშმარიტებას მტკიცება ესაჭიროება?..

VI.

მაშ,ძვირფასო მეგობრებო, გავერთიანდეთ"26 მაისის"დიადი იდეის ქვეშ,რომლის საყრდენია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, და ამისაკენ მოგიწოდებთ ქართული ეროვნული საბჭო.

ქართული ეროვნული საბჭოს პოლიტიკურმა "მტერმა და მოყვარემ" უნდა იცოდეს ჩვენი მოქმედება-არმოქმედების მთავარი მიმართულება,რომელშიც, გასაგებია, გადამწყვეტ როლს თამაშობს არა მარტო ქართული ეროვნული საბჭოს IV. ყრილობის მიერ არჩეული ხელმძღვანელობა და ქართული ეროვნული საბჭოს ყოველი წევრი, არამედ ყოველი პოლიტიკური ემიგრანტი, რომლებსაც თავთავიანთი"პოზიციური" თუ "ოპოზიციური" აზრის გამოთქმითა და გამოქვეყნებით, დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ქართული პოლიტიკური მოქმედების ტაქტიკის განსაზღვრაში.

VII.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ს ა ჯ ა რ ო ო ბ ა, ყოველი საჭირბოროტო საკითხის საჯაროთ, ღიათ განსჯა(და არა ზოგიერთა დესტრუქციული "ვაი-ოპოზიცია")- იძლევა, ქმნის წინაპირობას იმისათვის, რომ ქართული ემიგრაციის განსაზღვრული ძალები ჩაყენებულ იქნას "26 მაისის" დიადი იდეის სამსახურში; და,ვიმეორებთ, ამისაკენ მოგიწოდებთ ქართული ეროვნული საბჭო!.."ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა! საქმეა საჭირო, საქმე!"

კარლო ინასარიძე
პარიზი-ლევილი,1987 წლის 25 თებერვალი

====================================

**Conseil National Géorgien**
**ქართული ეროვნული საბჭო**

CHATEAU DE LEUVILLE
91310- Leuville sur Orge
FRANCE
Tél:(331)-6084-6151

Leuville le 5 Décembre 1986

Messieurs,Mesdames,

J'ai l'honneur de vous faire part de la réunion du 27 Avril 1986, à Paris, des Délégués du IVème Congrès National Géorgien.

Etaient présents ou avec mandats:les Délégués de Paris,Leuville-sur Orge,Sochaux,Londres,New-York et Munich.

Sur 20 Délégués 16 étaient présents.

Le Conseil National Géorgien actuel entend suivre la ligne de la Politique du Gouvernement Géorgien de Noé Jordania.

Au cours de ce Congrès un nouveau comité éxécutif a été élu.

Comité composé de:

Mr Valérien TCHOUBINIDZE
Dr Karlo INASARIDZE
Mr Nicolas ANTADZE
Dr Akaki RAMICHVILI
Mr Nicolas BEDELADZE
Mr Kita RIJAMADZE
" Chalva TAKAICHVILI
" Grégoire LOMADZE
Dr Mamia BERICHVILI
Mle Nina RAMICHVILI

Après la clôture du Congrès le nouveau comité s'est réuni en session pour élire:

Le Président du Conseil National Géorgien: Docteur Karlo INASARIDZE
Le Vice-Président et responsable des affaires intérieures: Monsieur Nicolas ANTADZE
Le responsable des affaires extérieures: Docteur Akaki RAMICHVILI
Le Secrétaire: Docteur Mamia BERICHVILI

Les Représentants officiels du Conseil National Géorgien sont:

Pour les ETATS-UNIS(Washington) et à l'ONU(NEW-YORK:

Le Professeur Georges NAKASHIDZE.
Monsieur Isidore GASHONIA.

La GRANDE-BRETAGNE(London),la CEE(Bruxelles)et le Parlement Européen (Strabourg):

Le Docteur Akaki RAMICHVILI.

La FRANCE et la Colonie Géorgienne de Paris:

Monsieur Grégoire LOMADZE.

La Colonie Géorgienne de Sochaux:(France)

Monsieur Grégoire KVARSTKAVA.

L'ALLEMAGNE Fédérale:

Le Docteur Karlo INASARIDZE.

Nous nous battons pour les droits des Peuples et la liberté de tous les Hommes contre toute Dictature ou Impérialisme.
Nous voulons faire partager ce but et travailler avec toutes les Nations pour que règne la Démocratie dans le Monde.

Le Directeur du journal:
"LA GEORGIE COMBATTANTE" Chalva TAKAICHVILI.

**Conseil National Géorgien**

**ქართული ეროვნული საბჭო**

CHATEAU DE LEUVILLE
91310-Leuville sur Orge
FRANCE

Tél:(331)-6084-6151

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზი-ლევილი, 1986 წლის 12 დეკემბერი

ქალბატონებო და ბატონებო!..

ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალური ორგანოს, ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო კოლეგია გაცნობებთ, რომ 1986 წლის 27 აპრილს, პარიზში, ქართული წმინდა ნინოს ეკლესიის დარბაზში ჩატარდა ქართული ეროვნული საბჭოს IV-ე ყრილობა, რომელმაც, სხვათა შორის, განიხილა დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა და განსაზღვრა ქართული ეროვნული საბჭოს პოლიტიკური მოქმედების ხაზი როგორც საშინაო, ისე საგარეო სფეროში. მეოთხე ყრილობის დელეგატებმა ერთხმად დაადასტურეს, რომ ქართული ეროვნული საბჭო მიყვება დამოუკიდებელი საქართველოს(1918-1921) მოსახლეობის მიერ არჩეული მთავრობის პოლიტიკურ კურსს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს"დამოუკიდებლობის აქტის", დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის დებულებებით, რომლებსაც ცხოვრებაში ატარებდა, გადმოხვეწილობაშიაც, ნოე ჟორდანიას მთავრობა.

ეროვნული საბჭოს IV-ე ყრილობამ აირჩია მმართველი ორგანოები.
ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულ იქნენ:

1.ბატონი ვალიკო ჩუბინიძე
2.ბატონი მამია ბერიშვილი
3.ბატონი ნიკოლოზ ანთაძე
4.ბატონი გრიშა ლომაძე
5.ბატონი ნიკო ბელელაძე
6.ბატონი კოტა რიყამაძე
7.ქალბატონი ნინა რამიშვილი
8.ბატონი შალიკო თაყაიშვილი
9.ბატონი აკაკი რამიშვილი
10.ბატონი კარლო ინასარიძე

ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი კარლო ინასარიძე.
ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და საშინაო საქმეების გამგედ არჩეულ იქნა ბატონი ნიკოლოზ ანთაძე.
ქართული ეროვნული საბჭოს მდივნად არჩეულ იქნა ბატონი მამია ბერიშვილი.
ქართული ეროვნული საბჭოს საგარეო საქმეების გამგებლობა დაეკისრა ბატონ აკაკი რამიშვილს.

ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალურ წარმომადგენლებად დანიშნულ იქნენ -
1.ამერიკის შეერთებულ შტატებში(ვაშინგტონი) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში(ნიუ-იორკი) პროფესორი გიორგი ნაკაშიძე და ბატონი ისიდორ გაყლნია.
2.დიდ ბრიტანეთში(ლონდონი), დასავლეთ ევროპის საერთო ბაზრის ორგანიზაციასა (ბრიუსელი) და ევროპის პარლამენტში(სტრასბურგი) ბატონი აკაკი რამიშვილი.
3.ხოშოს საზოგადოებაში(საფრანგეთი) - ბატონი გრიგოლ კვარცხავა.
4.გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში - ბატონი კარლო ინასარიძე.
5.საფრანგეთში(პარიზი) და ქართულ საზოგადოებაში საფრანგეთში ბატონი გრიშა ლომაძე.

ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალური ორგანოს "მებრძოლი საქართველოს" დირექტორად დანიშნულ იქნა ბატონი შალვა თაყაიშვილი.

ქართული ეროვნული საბჭო,იბრძვის რა ყოველი დაჩაგრული ერის განთავისუფლებისა და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისათვის,-მის მოკავშირეთ თვლის ყველა დაჩაგრული ერის დემოკრატიულ პარტიებსა და ორგანიზაციებს,და სურს,მათთან ერთად, საქმიანი კავშირები და თანამშრომლობა დაამყაროს მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების, პირველ ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

საქართველომ, ქართველმა ხალხმა, როგორც ბოლშევიკური იმპერიალიზმის პირველმა მსხვერპლმა, კარგად იცის, რომ ყოველი ჯურის დიქტატურის აღკვეთა-მიწისაგან პირისა და ერისა და პიროვნების თავისუფლების განხორციელება შესაძლებელია ყველა ერისა და ქვეყნის დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების ერთობლივი მოქმედებით, და ამგვარი ერთობა-თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს ყველა დაპყრობილი ერის დემოკრატიულ ძალებს.

ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალური ორგანოს
"მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო კოლეგია.
დირექტორი შალვა თაყაიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ო წ ო დ ე ბ ა

## ქართული ეროვნული საბჭოსა აგვისტოს აჯანყების 62 წლისთავზე

1924 წლის 28-29 აგვისტო,როცა ქართველი ერი,იარაღით ხელში, აღსდგა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ და,უთანასწორო ბრძოლაში,დამარცხდა,ერთი მხრივ, ეროვნული ღირსების დღეა,ვინაიდან მისი მიზანი იყო"26 მაისის იდეის"ისევ-განხორციელება,მაგრამ,მეორე მხრივ,ეროვნული ტრაგედიის დღეცაა,ვინაიდან ამ ჩვენი ერის დიდების საქმეს ათასობით ქართველი შეეწირა.

რა მოხდა? რამ აიძულა ქართველი ხალხი ხელი მოეკიდა იარაღისათვის? - ყოველ ადამიანს,ყოველ ერს გააჩნია პიროვნულ-ეროვნული ღირსება,რომელსაც პატივი უნდა სცეს ყოველმა სხვა პიროვნება-ერმა.მაგრამ თუ რომელიმე პიროვნება, ერი,უგულებელჰყოფს,კიდევ მეტი,ფეხით გათელავს სხვა პიროვნება-ერის ეროვნულ ღირსებას,მაშინ, ლოგიკურია, იწვევს დაჩაგრული პიროვნება-ერის რისხვას,რის სასოწარკვეთილი სახეა შეიარაღებული აჯანყება,რასაც ჰქონდა ადგილი საქართველოში 1924 წლის აგვისტოში.

რა კონკრეტულმა ფაქტებმა გამოიწვია 1924 წლის აგვისტოს აჯანყება? - 1918 წლის 26 მაისს,საქართველომ,ჩვენმა ერმა,თითქმის ხუთასი წლის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ, ისევ შესძლო ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენა და ამით საერთაშორისო არენაზე გამოსვლა.დამოუკიდებელი საქართველო,უმოკლეს ხანში, იცნო მსოფლიოს ოცზე მეტმა სახელმწიფომ,მათ შორის, ინგლისმა,საფრანგეთმა,გერმანიამ,იაპონიამ და თვით საბჭოთა რუსეთმაც,რომელმაც 1920 წლის 7 მაისს საზავო ხელშეკრულება დადო საქართველოსთან, რომლითაც დე ფაქტო და დე იურე იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ რა? - საბჭოთა რუსეთის მთავრობამ,ანალოგიურად მეფის რუსეთის მთავრობისა,რომელმაც 1801 წელს დაარღვია 1783 წლის რუსეთ-საქართველოს"მეგობრული ტრაქტატი"და დაიპყრო საქართველო, - დაარღვია 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება,თავს დაესხა საქართველოს და დაიპყრო იგი. ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებას საქართველოში კი მოჰყვა საქართველოს საერთაშორისო ასპარეზიდან გაქრობა,საქართველოში უცხო ელემენტების ჩამოსახლება თუ ქართული ენის შევიწროება, რაც ვერ აიტანა ქართველმა ხალხმა და მიმართა სასოწარკვეთილების უმაღლეს ფორმას- აჯანყებას,რაც სისხლში იქნა ჩახშობილი.

აღვნიშნავთ რა აგვისტოს აჯანყების 62 წლისთავს,რა შეიძლება ითქვას დღეს? - მართალია, ორი სისტემა - დემოკრატია და დიქტატურა - დღესაც ისე დაპირისპირებულია ერთმანეთის წინააღმდეგ,როგორც ეს იყო ამ 62 წლის წინათ,მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იმპერიების, ერთი ერის მიერ მეორე ერზე ბატონობის ხანა ისტორიას ჩაბარდა. დარჩა მხოლოდ ერთადერთი უზარმაზარი,შეგოჯიჯებული რუსეთის იმპერია,რომელიც,მიუხედავად ატომური შეიარაღებისა,ისტორიულად განწირულია,ვინაიდან იგი ცეცხლითა და მახვილით ხშობს თანამედროვე ცივილიზაციის უძვირფასეს მონაპოვარს - ერისა და პიროვნების თავისუფლებას.

მაგრამ ქართველი ხალხი,რომელსაც ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის დიდი ისტორიული გამოცდილება გააჩნია,არსებულ მდგომარეობას უფარდებს თავისი ბრძოლის მეთოდს,რაც,მაგალითად,1956 წლის მარტის დემონსტრაციების მშვიდობიან ხასიათში გამომჟღავნდა,თუმცა პარტხელმძღვანელობამ ეს მშვიდობიანი დემონსტრაცია,9 მარტს, სისხლში ჩაახშო,რასაც მოჰყვა ასობით მოკლული და დაჭრილი. 1978 წლის 14 აპრილს კი ჩვენი ახალგაზრდობა მასობრივად გამოვიდა თბილისის ქუჩებში ქართული ენის,როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, დაცვის მიზნით,რაც,საბედნიეროთ,წარმატებით დამთავრდა,რის შედეგად ქართული ენა ისევ შეტანილ იქნა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში როგორც სახელმწიფო ენა.აღნიშნული ფაქტები კიდევ ერთხელ ნათელს ხდის, რომ ჩვენს ერს ეროვნული ბრძოლის ტაქტიკის შერჩევის დიდი გამოცდილება გააჩნია. და, ვდგევართ რა ამ გზაზე, ქართული ეროვნული საბჭო მოუწოდებს ყველა ქართველს, სადაც არ უნდა იყოს იგი, ყოველი გზით იბრძოლოს 26 მაისის იდეების ისევ-განხორციელებისათვის საქართველოში. მართალია,ამ დიადი იდეების პრაქტიკულ განხორციელებისათვის არსებობს სხვადასხვა ტაქტიკური მოსაზრება,რაც ნორმალურია დემოკრატიის პირობებში, მაგრამ აზრთა და შეხედულებათა ამგვარმა სხვაობამ ხელი არ უნდა შეუშალოს 26 მაისის იდეებისათვის ე რ თ ო ბ ლ ი ვ ბრძოლას,ვინაიდან ძალა ერთობაშია. და სწორედ ამგვარი ერთობისაკენ მოგვიწოდებს ჩვენ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილეთა მაგალითი - აღსდგენ რა ე რ თ ო ბ ლ ი ვ ა დ უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ.

მაშ,გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!..დიდება ქართველ ერს!..მარადიული ხსოვნა იმ ადამიანებს,რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს, ქართველი ხალხის თავისუფლების საქმეს!..

ქართული ეროვნული საბჭო
პარიზი-ლევილი,1986 წლის 28-29 აგვისტო

---

ფურცელი ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო"მებრძოლ საქართველოსა".დირექტორი:შალვა თაყაიშვილი

Conseil National Géorgien
IO,rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge

ქ ა რ თ უ ლ ი
ეროვნული საბჭო

Conseil National Géorgien

Paris, le

CHATEAU DE LEUVILLE
10,rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
FRANCE - T. 60-84-61-51

"მებრძოლი საქართველო"

ქართული სათვისტომოს გამგეობას საფრანგეთში!

ქართული სათვისტომოს გამგეობას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში!

ქართულ სათვისტომოს გამგეობას ამერიკის შეერთებულ შტატებში!

ქართულ სათვისტომოს გამგეობას დიდ-ბრიტანეთში!

ქართულ სათვისტომოს გამგეობას არგენტინაში!

ქართულ სათვისტომოს გამგეობას სომში!

ქართულ სათვისტომოს ბელგიაში(ბრიუსელი)!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო თანამემამულენო!

ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალურ პერიოდულ ორგანოს განზრახული აქვს ყოველი წლის 26 მაისს, ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს, შეხვდეს სპეციალური ნომრით, რომელშიც, სხვათა შორის, გვსურს გავაშუქოთ ქართული სათვისტომოების მოღვაწეობა უცხოეთში. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ მოგვაწოდოთ, ასე ვთქვათ, "წლიური ქრონიკა" თქვენი ერთი წლის მოღვაწეობისა- დაწყებული 1986 წლის 26 მაისიდან დამთავრებული 1987 წლის 26 მაისამდე. გასაგებია, თქვენს მიერ გამოგზავნილ დეტალურ ცნობებს - სურვილისამებრ - გამოვაქვეყნებთ უცვლელად, ხოლო თუ თქვენ მოისურვებთ მხოლოდ "მასალების" მოწოდებას, მაშინ ჩვენ თვითონ შევეცდებით ამ მასალებისაგან შესაფერი "ქრონიკის"შედგენას,რომლის დროს, გასაგებია, ფაქტების სიზუსტე დაცული იქნება. თვით გამოგზავნილი მასალები კი შეინახება ჩვენი ჟურნალის "მებრძოლი საქართველოს" რედაქციის არქივში.

ვიმედოვნებთ, თანდათანობით მივიღებთ თქვენგან აღნიშნულ მასალებს, რომ ჟურნალის გამოცემა დანიშნული დროისათვის შესაძლებელი გახდეს. სასურველია აგრეთვე გადმოგზავნოთ თქვენი სათვისტომოს"მოკლე ისტორია", რაც ძვირფასი წვლილის შეტანა იქნება, საერთოდ, ემიგრაციის ისტორიაში.

ღრმა პატივისცემითა და ქართული სალამით,

CHARLES TAKAÏCHVILI [signature]

შალვა თაყაიშვილი, "მებრძოლი საქართველოს" დირექტორი

პარიზი,ლევილი, 1986 წლის 30 ივლისი

## კ ა ლ ე ნ დ ა რ ი

წლიური ღირსშესანიშნავი თარიღების საყურადღებოდ პოლიტიკურ ემიგრაციაში არსებულ ყველა სათვისტომო-ორგანიზაციისათვის:

1 იანვარი.................................ახალი წელი

2 იანვარი...........................ქართული თეატრის დღე

15 იანვარი...დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიას ხსენების დღე (დაიბადა 15.1.1868 - გარდაიცვალა 13.1.1953)

27 იანვარი..."ნ ი ნ ო ო ბ ა" -"წმინდისა დედისა ჩვენისა და ქალწულისა ნინო მოციქულთასწორისა, ქართველთ განმანათლებელისა"(335).

8 თებერვალი(ძვ.სტ.26 იანვარი)...ხსენება დავით მეოთხისა(აღმაშენებლისა).

- თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღე. (1918 წ.).

11 თებერვალი...დამოუკიდებელ საქართველოს,1921 წლის 11 თებერვალს,ომის გამოუცხადებლად,დაესხა თავს საბჭოთა რუსეთის არმია.

21 თებერვალი...დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის დღე(1921 წ.).

25 თებერვალი...დამოუკიდებელი საქართველოს"გასაბჭოების",ე.ი.დაპყრობის დღე.ამ დღეს რუსეთის საოკუპაციო ჯარები შემოვიდა თბილისში.

12 მარტი...სრულიად საქართველოს საპატრიარქოს ავტოკეფალიის აღდგენა(1917 წ).

21 მარტი...ქართული პრესის დღე(21.3.1819 წელში გამოვიდა პირველი ნომერი "საქართველოს გაზეთი-სა").

14 აპრილი...ქართული ენის დღე(14.4.1978 წელს თბილისში ჩატარდა დიდი დემონსტრაცია ქართული ენის დაცვის მიზნით).

1 მაისი(ძვ.სტილით)..."თამარობა" - მეფეთა-მეფე თამარის ხსენების დღე.

- მშრომელთა საერთაშორისო დღე.

26 მაისი...ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაული: 1918 წლის 26 მაისი არის საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის დღე.

7 მაისი...1920 წლის 7 მაისს დაიდვა საბჭოთა რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება,რომლითაც რუსეთმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

28 აგვისტო...28-29 აგვისტოს სახალხო აჯანყება საქართველოში საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ.

27 ოქტომბერი...1837 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა ჩვენი დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე."ი ლ ი ა ო ბ ა" - ილია ჭავჭავაძის ხსენების დღე.

25 დეკემბერი..."ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი".

..................ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი.

ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალური ორგანოს "მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო კოლეგია.

დირექტორი: შალვა თაყაიშვილი

ლევილი-პარიზი,1986 წლის დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და საქართველო

> ქართულმა ეროვნულმა საბჭომ უნდა შეძლოს "საქართველოს საკითხის" გაერთიანებული ერების წინაშე წამოჭრა, როგორი რთული არ უნდა იყოს ამ ამოცანის განხორციელება.

## I.

"გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და საქართველო" - ერთი შეხედვით, ამგვარი სათაური "შეუსაბამო" მოჩანს, ვინაიდან საქართველო, როგორც სახელმწიფო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი არ არის და, საერთოდ, საერთაშორისო არენაზე არსაც არ მოჩანს. მაგრამ - მეორე მხრივ - ისმება კითხვა: რატომ არ არის საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი?.. რატომ არსად არ მოჩანს საქართველო, როგორც სახელმწიფო, საერთაშორისო არენაზე?.. ვითომ საქართველოს, ქართველ ხალხს ამის უფლება არ უნდა გააჩნდეს?.. ვითომ საქართველოს ამგვარი უფლების პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალური ბაზა არ გააჩნია?.. ვითომ ჩვენ, ქართველები, ქართველი ხალხი, საქართველო - ამმხრივ - საკმარის ენერგიასა და უნარიანობას ვერ ვამჟღავნებთ, რომ საერთაშორისო არენაზე, ისე როგორც საშინაო საქმეებში - "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს?.." - კითხვები, კითხვები, რომლებზედაც, შეიძლება, ნაწილობრივი პასუხი თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიამ მოგვცეს, ვინაიდან, როგორც დავინახავთ, ამ ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობა ხშირედ საქართველოსავით პატარა კი არა, უფრო პატარა ქვეყნები, სახელმწიფოებია, რომელთა დიდი,დიდი უმრავლესობა ეს-ესაა გამოვიდნენ, საერთოდ, საერთაშორისო ასპარეზზე, რაც, თითქოს, "დაგვცინის" ჩვენ, ქართველებს, ქართველ ხალხს, საქართველოს, ვინაიდან ჩვენ ხომ სამი-ათას-წელზე უფრო მეტი სახელმწიფოებრივი ისტორია გაგვაჩნია?!.. და მით უმეტეს, რომ უკვე საერთოდ აღიარებულია, რომ "პატარა მშვენიერია?.."

> Schumacher,E.F.:Small is beautiful: economics as if people mattered,1981

## II.

"პატარა მშვენიერია: სასალხო მეურნეობა - როგორც ხალხმა შექმნა" - ასეთი სათაური აქვს ან უკვე მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის ე.ფ.შუმახერის წიგნს, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1981 წელს, და რომელშიც ავტორი ასაბუთებს, რომ "პატარა მშვენიერია",ე.ი. პატარა სახელმწიფო "თვალგადასავლები","მჭკრული" ერთეულია, რაც პოლიტიკური,ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა. ამგვარად, ყოველი რეგიონალური თუ საერთაშორისო კავშირების, ორგანიზაციების ბაზა უნდა იყოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოები,რომელთა დიდი უმრავლესობა ღლესაც ე.წ-ლი"პატარა სახელმწიფოებია".

## III.

და დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოთა ერთადერთი, ყველაზე უფრო დიდი საერთაშორისო ორგანიზაცია არის გაერთინებული ერების ორგანიზაცია, რომელიც არის "ერთა ლიგის" მემკვიდრე საერთაშორისო ორგანიზაცია. "ერთა ლიგის" საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორც ცნობილია, წარმოიშვა ("League of Nations" - "Société des Nations"). პირველი მსოფლიო ომის შემდეგად. ამგვარი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის წინადადება წამოაყენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა - ვ. ვილსონმა - 1916 წელს, და "ერთა ლიგის" ქარტია შემუშავებულ იქნა პარიზში, 1919 წელს, საზავო კონფერენციაზე და იმავე 1919 წლის 28 აპრილს მიღებულ და დამტკიცებულ იქნა, და შეტანილ იქნა 1919-1920 წლებში მიღებული საზავო ხელშეკრულებებში.

## IV.

"ერთა ლიგის" მთავარი მიზანდასახულობა იყო მსოლიო მშვიდობიანობის შენარჩუნება; მისი მთავარი სადგომი გახდა შვეიცარიის ქალაქი ჟენევა, საიდანაც ეს საერთაშორისო ორგანიზაცია - 1920 წლიდან დაწყებული . -,უშედეგოდ, ცდილობდა საერთაშორისო მშვიდობიანობის შენარჩუნებას.

აქვე შევნიშნავთ, რომ - როცა საქართველომ 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა დამოუკიდებლობა და საერთაშორისო არენაზე გამოვიდა როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი - "ერთა ლიგის" დღის წესრიგში იდგა საქართველოს მიღების საკითხი, მაგრამ როცა საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო, "ერთა ლიგაში" საქართველოს მიღების საკითხი გადადებულ იქნა განუსაზღვრელი დროით.

## V.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კი წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგად. ამ ორგანიზაციის დაარსების მოსამზადებელი კონფერენციები დაი-

წყო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, 1942 წელს და მასში მონაწილეობას ღე-
ბულობდენ ე.წ-ლი"მოკავშირეები", რომლებიც იბრძოდენ ნაცისტური გერმანიის
და იაპონიის წინააღმდეგ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას კი, 1945
წლის 26 ივნისს, სან ფრანცისკოში ხელმოწერილ იქნა გაერთიანებული ერების
ორგანიზაციის ე.წ-ლი"ქარტია", და იმავე წლის 24 ოქტომბრისათვის მასში
უკვე გაერთიანებული იყო მსოფლიოს 51 ე.წ-ლი"დამაარსებელი სახელმწიფო".
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი სადგომი-ქალაქი კი გახდა
ნიუ-იორკი.

VI.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღება ხდება
უშიშროების საბჭოს წინადადებით და გენერალური ასამბლეის დადასტურებით.
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ხუთი მუდმივი
წევრია - შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, საფრანგეთი და
ინგლისი, რომლებსაც გააჩნიათ ე.წ-ლი"ვეტოს უფლება", ე.ი.ყოველ მათგანს
შეუძლია გადასაჭრელი საკითხის უარყოფა, რის შემდეგად საკითხი გადაუჭრელი
რჩება.

VII.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზანია სახელმწიფოებს შორის უთან-
ხმოება მოგვარებულ იქნას მშვიდობიანი გზით ისე, რომ საერთაშორისო უშიშ-
როება და სამართლიანობა არ იქნას დარღვეული. ამგვარად მისი მიზანია -
მშვიდობიანობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო უშიშროება, ომის დაგმობა,
განიარაღება, ხალხებისა და ადამიანების უფლებების დაცვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებია - გენერალური ასამ-
ბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკისა და სოციალური საბჭო, საოპეკუნო
საბჭო, გენერალური სამდივნო, საერთაშორისო სასამართლო, და სხვა.

VIII.

ამ-ჯერად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოებია
159-ი(1986 წელი) დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. მაგრამ
მათ რიცხვშია აგრეთვე ორი ისეთი სახელმწიფო - უკრაინა და ბელორუსია -,
რომლებიც, ნათელია, დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოებად არ შეიძლე-
ბა ჩაითვალოს. უკრაინა და ბელორუსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში
მიღებულ იქნა სტალინ-რუზველტ-ჩერჩილის განსაკუთრებული შეთანხმების სა-
ფუძველზე. საქმე იმაში იყო, რომ სტალინმა შეეცადა გაერთიანებული ერების
ორგანიზაციაში შეეყვანა წევრებად საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რეს-
პუბლიკა, რასაც იგი იმით ასაბუთებდა, რომ საბჭოთა კავშირისა და მოკავ-
შირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით გარანტირებულია ამ სახელმწიფოთა
სუვერენობაო. სტალინს ამგვარი დიპლომატიური მანევრით, რა თქმა უნდა,
სურდა არა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული უფლებების დაცვა,არამედ
გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონის
გაზრდა, რაზედაც, გასაგებია, არც ჩერჩილი და არც რუზველტი არ დაეთანხმა.
მაგრამ უკრაინა და ბელორუსია დაუშვეს გაერთიანებული ერების ორგანიზა-
ციაში იმ დასაბუთებით, რომ მათ დიდი ზარალი განიცადეს მეორე მსოფლიო
ომში ნაცისტური ოკუპაციის შედეგად. ამგვარი დასაბუთება, რა თქმა უნდა,
ვერც ფაქტიურ და ვერც იურიდიულ განსჯას ვერ უძლებს, ვინაიდან თვით საბ-
ჭოთა რუსეთმაც, როგორც საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკამაც დიდი
ზარალი განიცადა ნაცისტური ოკუპაციის შედეგად, მაგრამ მის მიღებაზე გა-
ერთიანებული ერების ორგანიზაციაში საერთოდ არც კი ყოფილა ლაპარაკი; და
- მეორე - მართალია საბჭოთა საქართველო ჰიტლერის მიერ არ ყოფილა ოკუ-
პირებული, მაგრამ მან ცოტა ზარალი განიცადა, თუ გნებავთ, იმ შემაძრწუ-
ნებელი ფაქტით, რომ საქართველოს მაშინდელი სამ-ნახევარი-მილიონიან მო-
სახლეობიდან შვიდასი-ათასი კაცი იქნა გაყვანილი ფრონტზე,რომელთაგან ნა-
ხევარზე მეტი უკან აღარ დაბრუნებულა?!..

IX.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, სხვათა შორის, აღიარებს, მომყავს
სიტყვა-სიტყვით, -"თანასწორობას...დიდი და პატარა ხალხებისა", რაც
კიდევ ერთხელ დადასტურებულ იქნა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრო-
მლობის თათბირის დასკვნითი აქტით; რომელიც ხელმოწერილ იქნა ჰერსინკში,
1975 წელს, თვით საბჭოთა კავშირის მიერაც."...ყოველ ხალხს - ნათქვამია
ჰელსინკის დასკვნით აქტში - მუდამ აქვს უფლება სრული თავისუფლების პი-
რობებში განსაზღვროს...საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარედან
ჩაურევლად..."

X.

მიმდინარე საუკუნის დასაწყისში კი ცნობილმა ავსტრიელმა მეცნიერმა - ოტო ბაუერმა - ჩამოაყალიბა დებულება:

"ყოველმა ერმა უნდა შექმნას თავისი სახელმწიფო! ყოველი სახელმწიფო უნდა მოიცავდეს ერთ ერს!"(ოტო ბაუერი:"ეროვნებათა საკითხი და სოციალ-დემოკრატია",ვენა,1907 წელი, გერმანულ ენაზე). ესე-იგი, საქართველოსა და ქართველი ერის მაგალითი რომ მოვიყვანოთ, - ქართველ ერს, ქართველ ხალხს უნდა გააჩნდეს თავისი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, როგორც ეს გვქონდა ჩვენი ისტორიის სამიათას-წლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე, უკანასკნელად, 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს. და როცა ლენინის საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და საქართველო ისევ გაქრა საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, ამ აქტით, უცხო ძალამ, როგორც ნოე ჟორდანია წერს, "ისევ უკან დაგვაქანა". მაგრამ ახლა უკვე საერთაშორისო აღიარება აქვს მოპოვებული ე.ფ.მუმახერის თეორიას, რომ "პატარა მშვენიერია", ე.ი.პატარა სახელმწიფო, თუ ის ერთი მთავარი ერისა და ერთი ქვეყნის საფუძველზეა აღმოცენებული,- თვალგადასავლები, შეკრული ადმინისტრაციული ერთეულია, რომელიც - ერისა და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის პირობებში - პოლიტიკური,ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების მაქსიმალურ შესაძლებლობასა და პირობებს ქმნის. და სავალალოა, რომ საქართველო, დღესდღეობით,. არ ეკუთვნის ასეთ ერებისა და სახელმწიფოების მსოფლიო ოჯახს; მაგრამ ხვალ?..

XI.

აქვე ვაქვეყნებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოთა ს ი ა ს, თუმცა მასშია,მაგალითად, შვეიცარია, რომელსაც არ სურს იყოს აღნიშნული ორგანიზაციის წევრი, თუ სისკეი,რომელიც სამხრეთ აფრიკის ნაწილია და ამიტომ გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის წევრი არ არის. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ სიაშია გერმანიის ორი, კორეის ორი თუ იემენის ორი სახელმწიფოები, თუმცა ამ ერებს სურთ გააჩნდეს ერთი სახელმწიფო. ს ი ა შედგენილია ლათინური ანბანის რიგით:

## წ ე ვ რ - ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ ი

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, ნიუ - იორკი

### United Nations Organisation - UNO

| სახელმწიფო | მთავარი ერი | ტერიტორია | მოსახლეობა | დედაქალაქი |
|---|---|---|---|---|
| 1.ავღანეთი | პაშტუები 60 პროც. | 647.487 კვ.კმ. | 14.500.000 | ქაბული |
| 2.ეგვიპტე | არაბები(80) | 1.001.449 | 45.700.000 | კაირო |
| 3.ალბანეთი | ალბანელები (97 პრ.) | 28.748 | 2.918.000 | ტირანა |
| 4.ალჟირი | არაბები | 2.381.471 | 20.980.000 | ალჟირი |
| 5.ანდორა(სამთავრო) | ფრ.ესპ... | 453 | 40.000 | ანდორა |
| 6.ანგოლა | ბანტუს | 1.246.700 | 8.350.000 | ლუანდა |
| 7.ანტიგუა და ბარბუდა | ზანგები(90) | 442 | 79.000 | ს. ჯონს |
| 8.ეკვატორის გვინეა | ზანგები | 28.051 | 386.000 | მალაბო |
| 9.არგენტინა | იტ.ესპ... | 2.766.889 | 30.160.000 | ბუენოს აირეს |
| 10.ავსტრალია | ინგ... | 7.686.848 | 15.543.000 | კანბერა |
| 11.ბაჰამას | ზანგები | 13.935 | 226.000 | ნასაუ |
| 12.ბაჰრეინი | არაბები | .522 | 368.000 | მანამა |
| 13.ბანგლადეში | ბენგალები | 143.998 | 96.740.000 | დაკა |
| 14.ბარბადოს | ზანგები | 431 | 273.000 | ბრიჯტაუნი |
| 15.ბელაუ(მიკრონეზია) | მიკრონეზიელები | 487 | 15.000 | კორორ |
| 16.ბელგია | ფლამები... | 30.512 | 9.858.000 | ბრიუსელი |
| 17.ბელიზე(ლათ.ამ.) | ზანგები... | 22.965 | 175.000 | ბელმოპანი |
| 18.ბენინი(აფრიკა) | "შერეული" | 112.622 | 3.770.000 | პორტო ნოვო |
| 19.ბუტანი(აზია) | ტიბეტელები | 47.000 | 1.380.000 | თიმფუ |
| 20.ბირმა | ბირმელები | 676.552 | 36.077.000 | რანგუნი |
| 21.ბოლივია | ინდიანელები | 1.098.581 | 6.250.000 | სუკრე |
| 22.ბოთუფაცვანა | ზანგები | 40.450 | 1.320.000 | მბათო |
| 23.ბოცვანა | ზანგები | 600.372 | 955.000 | გაბორონი |
| 24.ბრაზილია | "შერეული" | 8.511.965 | 132.770.000 | ბრაზილია |
| 25.ბრუნეი(აზია) | მალაიელები | 5.765 | 265.000 | ბანდარ ს.ბ. |

| სახელმწიფო | მთავარი ერი | ტერიტორია | მოსახლეობა | დედაქალაქი |
|---|---|---|---|---|
| 26.ბულგარეთი | ბულგარელები | 110.912 | 9.150.000 | სოფია |
| 27.ბურკინა ფასო(აფრ.) | "შერეული" | 274.200 | 6.550.000 | უაგადუგუ |
| 28.ბურუნდი | ზანგები | 27.834 | 5.028.000 | ბუჟუმბურა |
| 29.ჩილე | "შერეული" | 756.945 | 11.879.000 | სანტიაგო |
| 30.ჩინეთი | ჩინელები(ჰან) | 9.560.980 | 1.040.000.000 | პეკინი |
| 31.სიკსეი(?)ს.აფრ. | ზანგები | 7.740 | 707.000 | ? |
| 32.კოსტა რიკა | ესპანელები | 50.700 | 3.390.000 | სან ხოსე |
| 33.დანია | დანიელები | 43.069 | 25.112.000 | კოპენჰაგენ |
| 34.გერმანიის ფ.რ. | გერმანელები | 248.687 | 61.181.000 | ბონი |
| 35.გერმანიის დ.რ. | გერმანელები | 108.333 | 16.660.000 | ბერლინი |
| 36.დომინიკა | ზანგები | 751 | 86.000 | როზო |
| 37.დომინიკის რესპ. | "შერეული" | 48.734 | 6.500.000 | სანტო დომინგო |
| 38.ჯიბუტი | ისა, აფარ | 22.000 | 347.000 | ჯიბუტი |
| 39.ეკვადორი | "შერეული" | 283.561 | 9.240.000 | კიტო |
| 40.სპილოს ძვლის ნაპირი | "შერეული" | 322.463 | 9.300.000 | იამუსუკრო |
| 41.ელ სალვადორი | "შერეული" | 21.041 | 5.300;000 | სან სალვადორ |
| 42.ფიჯი(წყ.ოკეანე) | "შერეული" | 18.274 | 688.000 | სუვა |
| 43.ფინეთი | ფინელები | 337.032 | 4.870.000 | ჰელსინკი |
| 44.საფრანგეთი | ფრანგები | 547.026 | 54.453.000 | პარიზი |
| 45. გაბუნი(გაბონი) | ბანტუ | 257.000 | 568.000 | ლიბრევილ |
| 46.გამბია | "შერეული" | 11.295 | 704.000 | ბანჯუ |
| 47.საბერძნეთი | ბერძნები | 131.944 | 9.947.000 | ათენი |
| 48.დიდი ბრიტანეთი | ინგლისელები | 244.046 | 55.782.000 | ლონდონი |
| 49.გვატემალა | "შერეული" | 108.889 | 7.938.000 | გვატემალა |
| 50.გვინეა | "შერეული" | 245.857 | 5.285.000 | კონაკრი |
| 51.გვინეა-ბისაუ | ზანგები | 36.125 | 822.000 | ბისაუ |
| 52.გაიანა | "შერეული" | 214.969 | 939.000 | ჯორჯთაუნ |
| 53.ჰაიტი | ზანგები | 27.750 | 5.289.000 | პორტ-ო-პრანს |
| 54.ჰონდურას | მესტიზოები | 112.088 | 4.093.000 | ტეგუსიგალპა |
| 55.ინდოეთი | "შერეული" | 3.287.590 | 730.000.000 | დელი |
| 56.ინდონეზია | "შერეული" | 2.027.087 | 158.000.000 | ჯაკარტა |
| 57.ერაყი | არაბები | 434.924 | 14.970.000 | ბაღდადი |
| 58.ირანი(სპარსეთი) | სპარსელები | 1.648.000 | 41.407.000 | თეირანი |
| 59.ირლანდია | ირლანდიელები | 70.285 | 3.583.000 | დუბლინი |
| 60.ისლანდია | ისლანდიელები | 103.000 | 238.400 | რეიკიავიკ |
| 61.ისრაელი | ებრაელები | 20.770 | 4.218.000 | იერუსალიმი |
| 62.იტალია | იტალიელები | 301.225 | 56.983.000 | რომი |
| 63.იამაიკა | ზანგები | 10.991 | 2.280.000 | კინგსტონ |
| 64.იაპონია | იაპონელები | 377.708 | 120.018.000 | ტოკიო |
| 65.იემენი(ჩრდილოეთი) | არაბები | 195.000 | 6.186.000 | სანა |
| 66.იემენი(სამხრეთი) | არაბები | 332.968 | 2.150.000 | ადენი |
| 67.იორდანია | არაბები | 97.740 | 3.621.000 | ამანი |
| 68.იუგოსლავია | სერბები | 255.804 | 22.800.000 | ბელგრადი |
| 69.კამერუნი | "შერეული" | 475.442 | 9.134.000 | იაუნდე |
| 70.კამპუჩია | კამბოჩანელები | 181.035 | 6.610.000 | პნომ პენი |
| 71.კანადა | "კანადიელები" | 9.976.139 | 25.256.000 | ოტავა |
| 72.კაპო ვერდე(აფრიკა) | მულატები | 4.033 | 341.000 | პრაია |
| 73.კატარი | არაბები | 11.437 | 261.000 | დოჰა |
| 74.კენია | ზანგები | 582.646 | 18.910.000 | ნაირობი |
| 75.კირიბატი(მიკრონეზია) | მიკრონეზიელები | 823 | 62.000 | ბაირიკი |
| 76.კოლუმბია | "შერეული" | 1.138.914 | 29.322.000 | ბოგოტა |
| 77.კომორეს(აფრიკა) | "შერეული" | 2.171 | 385.000 | მორონი |
| 78.კონგო | ზანგები | 342.000 | 1.661.000 | ბრაზავილი |
| 79.ჩრდილოეთი კორეა | კორეელები | 120.538 | 19.178.000 | პიონიანგი |
| 80.სამხრეთი კორეა | კორეელები | 98.484 | 41.260.000 | სეული |
| 81.კუბა | "კუბელები" | 114.524 | 9.899.000 | ჰავანა |
| 82.კუვაიტი | არაბები | 17.818 | 1.726.000 | კუვაიტი |
| 83.ლაოსი | ლაოსელები | 236.800 | 3.996.000 | ვიენტიანი |
| 84.ლესოტო(აფრიკა) | ზანგები | 30.355 | 1.443.000 | მაზერუ |
| 85.ლიბანონი | არაბები | 10.400 | 2.739.000 | ბეირუთი |

| სახელმწიფო | მთავარი ერი | ტერიტორია | მოსახლეობა | დედაქალაქი |
|---|---|---|---|---|
| 86.ლიბერია | ზანგები | 111.369 | 2.221.000 | მონროვია |
| 87.ლიბია | არაბები | 1.759.540 | 3.558.000 | ტრიპოლი |
| 88.ლიხტენშტაინი | "ალემანელები" | 157 | 26.650 | ვადუზი |
| 89.ლიუქსენბურგი | "ფრანკები" | 2.586 | 365.000 | ლიუქსენბურგი |
| 90.მადაგასკარი | მალეგასხელები | 587.041 | 9.510.000 | ანტანანარივე |
| 91.მალავი | ზანგები | 118.485 | 6.800.000 | ლილონგვე |
| 92.მალაიზია | მალაიზიელები | 329.749 | 15.164.000 | კუალა ლუმპურ |
| 93.მალდივენი(ს.აზია) | "შერეული" | 298 | 166.000 | მალე |
| 94.მალი(აფრიკა) | ზანგები | 1.240.000 | 7.724.000 | ბამაკო |
| 95.მალტა | მალტელები | 316 | 370.000 | ვალეტა |
| 96.მაროკო | ბერბერები | 446.550 | 22.317.000 | რაბატი |
| 97.მარშალის კუნძულები (ოკეანია) | "შერეული" | 181 | 34.000 | ჯალუიტი |
| 98.მავრიტანია | მავრიტანიელები | 1.030.700 | 1.780.000 | ნუაკსოტი |
| 99.მავრიციუსი | | | | |
| 100.მეხიკო(მექსიკა) | "შერეული" | 1.958.201 | 75.390.000 | მეხიკო |
| 101.მიკრონეზია | "შერეული" | 720 | 110.000 | პონაპე |
| 102.მონაკო | "შერეული" | 1,95 | 27.000 | მონაკო |
| 103.მონღოლეთი | მონღოლები | 1.565.000 | 1.823.000 | ულან ბატორი |
| 104.მოზამბიკი | ზანგები | 801.590 | 13.447.000 | მაპუტო |
| 105.ნამიბია | ზანგები | 824.292 | 1.062.000 | ვინჰოკი |
| 106.ნაურუ(ოკეანია) | პოლინეზიელები | 21,3 | 8.000 | იარენი |
| 107.ნეპალი | "შერეული" | 140.797 | 15.764.000 | კატმანდუ |
| 108.ახალი ზელანდია | "შერეული" | 268.676 | 3.245.000 | ველინგტონი |
| 109.ნიკარაგუა | "შერეული" | 130.000 | 3.014.000 | მანაგუა |
| 110.ჰოლანდია | ჰოლანდიელები | 41.548 | 14.400.000 | ამსტერდამი |
| 111.ნიგერი | "ზანგები" | 1.269.000 | 5.810.000 | ნიამეი |
| 112.ნიგერია | "შერეული" | 923.768 | 94.502.000 | ლაგოს |
| 113.ნორვეგია | ნორვეგიელები | 324.219 | 4.134.000 | ოსლო |
| 114.ომანი | არაბები | 212.457 | 977.000 | მასკატი |
| 115.ავსტრია | ავსტრიელები | 83.849 | 7.552.000 | ვენა |
| 116.პაკისტანი | პაკისტანელები | 803.943 | 89.730.000 | ისლამაბადი |
| 117.პანამა | "შერეული" | 77.092 | 2.086.000 | პანამა |
| 118.პაპუა-ახალი გვინეა | პაპუაელები | 461.691 | 3.180.000 | პორტ მორესბი |
| 119.პარაგვაი | "მესტიცები" | 406.752 | 3.190.000 | ასუნსიონი |
| 120.ფილიპინები | ფილიპინელები | 300.000 | 53.310.000 | მანილა |
| 121.პოლონეთი | პოლონელები | 312.677 | 36.937.000 | ვარშავა |
| 122.პორტუგალია | პორტუგალიელები | 92.082 | 10.190.000 | ლისაბონი |
| 123.რუანდა | ზანგები | 26.338 | 5.780.000 | კიგალი |
| 124.რუმინეთი | რუმინელები | 237.500 | 22.864.000 | ბუქარესტი |
| 125.საჰარა | მაურები | 266.000 | 146.000 | ლაიუნი |
| 126.ქრისტოფერ და ნევის (შუა-ამერიკა) | ზანგები | 267 | 60.000 | ბასტერი |
| 127.სანდა ლუჩია(შუა-ამ.) | ზანგები | 616 | 124.000 | კასტრის |
| 128.ვანსან და გრენადინები | ზანგები | 388 | 130.000 | კინგსთაუნი |
| 129.სალომონები | მელანეზიელები | 28.446 | 257.000 | ჰონიარა |
| 130.ზამბია | ზანგები | 752.614 | 6.348.000 | ლუსაკა |
| 131.სამოა(ოკეანია) | პოლინეზიელები | 2.842 | 163.000 | აპია |
| 132.სან მარინო | იტალიელები | 61 | 21.500 | სან მარინო |
| 133.ზაო ტომე და პრინჩიპე (დას. აფრიკა) | ზანგები | 964 | 87.000 | ზაო ტომე |
| 134.საუდის არაბეთი | არაბები | 2.149.690 | 10.120.000 | რიადი |
| 135.შვეცია | შვედები | 449.964 | 8.331.000 | სტოკჰოლმი |
| 136.შვეიცარია | "შერეული" | 41.288 | 6.423.000 | ბერნი |
| 137.სენეგალი | ზანგები | 196.192 | 6.129.000 | დაკარი |
| 138.სეიშელენ(აღ.აფრ.) | ზანგები | 280 | 65.000 | ვიქტორია |
| 139.სიერა ლეონე(დას.აფრ.) | "შერეული" | 71.740 | 3.767.000 | ფრითაუნი |
| 140.ზიმბაბვე | ზანგები | 390.580 | 7.789.000 | ჰარარე |
| 141.სინგაპური | ჩინელები | 618 | 2.529.000 | სინგაპური |
| 142.სომალია | სომალელები | 637.657 | 5.294.000 | მოგადიშუ |
| 143.საბჭოთა კავშირი | რუსები | 22.402.200 | 376.300.000 | მოსკოვი |
| 144.ესპანეთი | ესპანელები | 504.782 | 38.846.000 | მადრიდი |

| სახელმწიფო | მთავარი ერი | ტერიტორია | მოსახლეობა | დედაქალაქი |
|---|---|---|---|---|
| 145. შრი ლანკა | სინგალეზები | 65.610 | 15.560.000 | კოლომბო |
| 146. სამხრეთ აფრიკა | ზანგები | 1.178.679 | 27.600.000 | პრეტორია |
| 147. სუდანი | სუდანელები | 2.505.813 | 20.054.000 | ხართუმი |
| 148. სურინამი(ს.ამ.) | ზანგები | 163.265 | 388.000 | პარამარიბო |
| 149. სვაზილენდი | ზანგები | 17.373 | 606.000 | მბაბანე |
| 150. სირია | არაბები | 185.180 | 10.017.000 | დამასკო |
| 151. ტაივანი | ჩინელები | 35.981 | 18.900.000 | ტაიპე |
| 152. ტანზანია | ზანგები | 945.087 | 19.684.000 | დოდომა |
| 153. ტაილანდი | ტაილანდელები | 514.000 | 50.900.000 | ბანკოკი |
| 154. ტოგო | ზანგები | 56.785 | 2.824.000 | ლომე |
| 155. ტონგა(ოკეანია) | ზანგები | 699 | 104.000 | ნუკუალოფა |
| 156. ტრანსკაი(ს.აფრ.) | ზანგები | 38.541 | 2.810.000 | უმტატა |
| 157. ტრინიდადი და ტობაგო | ზანგები | 5.128 | 1.217.000 | პორტ ოფ სპეინ |
| 158. ჩადი | "შერეული" | 1.284.000 | 4.737.000 | ნჯამენა |
| 160. ჩეხოსლოვაკია | ჩეხები | 127.869 | 15.410.000 | პრაღა |
| 161. ტუნისი | არაბები | 163.610 | 6.867.000 | ტუნისი |
| 162. თურქეთი | თურქები | 780.576 | 48.461.000 | ანკარა |
| 163. ტუვალუ(ოკეანია) | პოლინეზიელები | 158 | 8.000 | ფონგაფალე |
| 164. უგანდა | ზანგები | 236.036 | 14.422.000 | კამპალა |
| 165. უნგრეთი | უნგრელები | 93.030 | 10.658.000 | ბუდაპეშტი |
| 166. ურუგვაი | ურუგვაელები | 176.215 | 2.965.000 | მონტევიდეო |
| 167. ვანუატუ(ოკეანია) | მენალეზიელები | 14.763 | 129.000 | პორტ ვილა |
| 168. ვატიკანი | "შერეული" | 0,44 | 100 | ვატიკანი |
| 169. ვენდა(ს.აფრ.) | ზანგები | 7.410 | 470.000 | |
| 170. შეერთებული არაბული ემირატები | არაბები | 83.600 | 1.175.000 | აბუ დაბი |
| 171. ამერიკის შეერთებული შტატები | ამერიკელები | 9.363.123 | 238.764.000 | ვაშინგტონი |
| 172. ვიეტნამი | ვიეტნამელები | 329.556 | 57.610.000 | ჰანოი |
| 173. ზაირე | ზანგები | 2.345.409 | 31.067.000 | კინშასა |
| 174. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა | ზანგები | 622.984 | 2.463.000 | ბანგუი |
| 175. კვიპროსი | ბერძნები | 9.251 | 654.000 | ნიკოზია |
| ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო | ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი | 69.700 | 5.105.000 | თბილისი |

## X.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო, მართალია, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის დებულებით, "სუვერენულ სახელმწიფოდ" არის წოდებული, მაგრამ იგი საერთაშორისო არენაზე არსად არ ჩანს. ეს უფლებები მითვისებული აქვს მოსკოვს, რითაც, გასაგებია, უგულებელყოფილია საქართველოს, ქართველი ხალხის გარდაუვალი ეროვნული უფლებები. მსოფლიოს აღნიშნულ 175 დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოებიდან კი სამოცდა-ორი სახელმწიფოს ტერიტორია -მიუხედავად საბჭოთა საქართველოს ტერიტორიის თითქმის ერთი-მეოთხედის "მეკვეცისა" ბოლშევიკების მიერ - უფრო დიდია, ხოლო აღნიშნულიდან ოთხმოცდა-შვიდი სახელმწიფოს მოსახლეობა უფრო მცირეა, ვიდრე საქართველოს მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ, ტერიტორიის დაკარგვასთან ერთად, მოსახლეობის დიდი ნაწილი დაკარგა ბოლშევიკური ოკუპაციის, გაუთავებელი "წმენდებისა" და მეორე მსოფლიო ომის შედეგად.

## XI.

ამგვარად, საქართველოს ყველა წინაპირობა - ძალაუფლება, მოსახლეობა, ტერიტორია - გააჩნდა მისი სამი-ათას-წლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის განმავლობაში, და, რა თქმა უნდა, 1918 წლის 26 მაისს, როცა საქართველო ისევ გახდა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო და გამოვიდა საერთაშორისო არენაზე, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, რაც, იარაღის ძალით, შეწყვიტა ბოლშევიკურმა რუსეთმა, ლენინის მთავრობამ და ამით უხეშად დაარღვია საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება, რომლითაც "ფაქტიურად" და "იურიდიულად" იცნო

საქართველოს დამოუკიდებლობა და ხელი აიღო საქართველოს შინაურ და საგარეო საქმეებში ჩარევისაგან.

XII.

ამდენად, საქართველო დღეს, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო არსებობს ი უ რ ი დ ი უ ლ ა დ, და იგი გახდება დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ა ც, როცა მოიხსნება უცხო, ბოლშევიკური ოკუპაცია. ამ აქტით კი საქართველოს სახელმწიფო ისევ გახდება დამოუკიდებელი და სუვერენული, ე.ი.საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, და შეუერთდება მსოფლიოს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოთა საერთო ოჯახს. და ამ დიადი მიზნის, "26 მაისის" იდეის განხორციელებისათვის იბრძვის ქართული ეროვნული საბჭო, როგორი განსაზღვრული არ უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი შესაძლებლობანი რთულ საშინაო და საერთაშორისო პირობებში.

XIII.

მართალია, საბჭოთა საქართველო, საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციების დებულებათა შესაბამისად,-"სუვერენული" სახელმწიფოა, და შეუძლია საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა, თუმცა ამ უფლების პროცედურა დაკანონებული არ არის. მაგრამ საბჭოთა საქართველოს რომ ამგვარი კონსტიტუციური უფლება აქვს, სულ ცოტა, თ ე ო რ ი უ ლ ა დ, ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ საბჭოთა საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, - საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციების შესაბამის მუხლებზე დაყრდნობით,- მ ო ი თ ხ ო ვ ო ს საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოს "სუვერენობის" იმდენად უზრუნველყოფა მაინც, როგორიც გააჩნია, ვთქვათ, კომუნისტურ ბულგარეთს თუ კომუნისტურ უნგრეთს, რაც საბჭოთა საქართველოს,როგორც სახელმწიფოს, უფლებას მისცემდა გამოვიდეს საერთაშორისო ასპარეზზე, გახდეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, და ამით,ვთქვათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი.

XIV.

მაგრამ, ისტორიული გამოცდილებით ვიცით, რომ თავის-უფლებას კი არ ი ძ ლ ე ვ ი ა ნ, არამედ მას მ ო პ ო ვ ე ბ ა, ბრძოლით მოპოვება უნდა,და ამისაკენ მოვიწოდებთ ქართული ეროვნული საბჭო. "ქარის მოტანილს, ქარი წაიღებს" - ამბობს ხალხური სიბრძნე, რაც იმას ნიშნავს, რომ "ნაჩუქარი" თავისუფლება თავის-უფლება არ არის და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან იგი ქართველი ხალხის შეუდრეკელ ნება-სურვილს კი არ ეყრდნობა, არამედ "სხვისს" ნება-სურვილს, რაზედაც შეუძლებელია ჯანსაღი ეროვნული სახელმწიფოებრივი ცხოვრების აგება-მოწესრიგება. საქართველოს დემოკრატიას, ქართველ ხალხს - სილიბისტრო ჯიბლაძის, ქართველი ერის, როგორც ამბობდენ ხოლმე, ამ "სინდისის" სიტყვები რომ გავიმეორო, - "...აქვს უნარი, არა მარტო თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლისა, არამედ ამ ძვირფასი განძის დაცვისა".

XV.

ამდენად, ქართულმა ეროვნულმა საბჭომ უნდა შესძლოს "საქართველოს საკითხის" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე წამოჭრას, როგორი ძნელი არ უნდა იყოს ამის განხორციელება. ჩვენ არა გვაქვს უფლება გულზე ხელდაკრეფილი ველოდოთ ჩვენი დამპყრობლების"მოწყალებას".

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1987 წლის თებერვალი
==========================

Conseil National
Géorgien
ქართული ეროვნული საბჭო

CHATEAU DE LEUVILLE
91310- Leuville sur Orge
FRANCE

Tél(331)-6084-6131

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "ც ო დ ნ ი ს  უ ფ ლ ე ბ ა"

**ქართულმა ეროვნულმა საბჭომ უნდა იცოდეს თუ რა სახის რადიოგადაცემები წარმოებს უცხოეთიდან საქართველოში -**

I.

ამ "დოკუმენტაციაში" ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალური ორგანოს "მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო კოლეგია აქვეყნებს ეროვნული საბჭოსა და მისი ორგანოების  ზ ო გ ი ე რ თ  მიწერ-მოწერის ტექსტს, რომელთა ავტორია თვით ეროვნული საბჭო ან მისი რომელიმე ორგანო.  პ ა ს უ ხ ე ბ ს  ჩვენს მიწერ-მოწერაზე გამოვაქვეყნებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ავტორის ან ავტორთა წერილობით თანხმობას მივიღებთ.

II.

ამ "დოკუმენტაციიდან", აგრეთვე, ნათელი ხდება, რომ ქართული ეროვნული საბჭოს საშინაო და საგარეო მოღვაწეობაში,- პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის გვერდით,- ყურადღების ცენტრშია უცხო სახელმწიფოების რადიოსადგურების გადაცემები ქართულ ენაზე. ჩვენის რწმენით, ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ  უ ნ დ ა   ი ც ო დ ე ს  რა სახის გადაცემებს აწარმოებენ ეს რადიოსადგურები ქართულ ენაზე. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ "ისრაელის ხმა" და "ამერიკის ხმა", რომლებიც ქართულენოვან გადაცემებს აწარმოებენ საქართველოში, ამ სახელმწიფოების, ე.ი. ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების  ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი  ინფორმაციის საშუალებებია, რაც ნიშნავს იმას, რომ გადაცემებზე  დემოკრატიული სახელმწიფო კონტროლი არსებობს, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველთვის არც ისრაელისა და არც შეერთებული შტატების დემოკრატიული მთავრობების საინფორმაციო პოლიტიკა არ ემთხვევა ქართველი ერის, საქართველოს გარდაუვალ ინტერესებს.

III.

რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქცია კი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის "პირმშო შვილია," თუმცა, უკანასკნელ წლებში, ამის უარმყოფელთა რიცხვი შემაშფოთებლად გაიზარდა. მართალია, რადიო "თავისუფლებაც" ფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისაგან ამ საქმისათვის ასიგნებული თანხებით, მაგრამ იგი (რადიო "თავისუფლება") "ამერიკის ხმის" რადიოსაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ამერიკის მთავრობის  ო ფ ი ც ი ა ლ უ რ  საინფორმაციო საშუალებას არ წარმოადგენს, რაც, გასაგებია, მეტად დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს რადიოს ხელმძღვანელობასა და ცალკეულ რედაქტორებს, რომლებიც, ხშირად, სრულიად დამოუკიდებლად ქმნიან გადაცემებს და მისი პოლიტიკური შეფასება, თუ საერთოდ ხდება, - ხდება მხოლოდ გადაცემის  შ ე მ დ ე გ; ესე-იგი, გადაცემის "გასწორება", გასაგებია, უკვე შეუძლებელია.

IV.

მართალია, როგორც ცნობილია, რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქცია გადასცემს, ხელმძღვანელობს შესაბამისად, მხოლოდ  ფ ა ქ ტ ე ბ ს; მაგრამ თვით ფაქტების  ა რ ჩ ე ვ აც ხომ უკვე პრობლემატურია - მათ ანალიზზე რომ საერთოდ არ ვილაპარაკოთ?..ეს უკვე კიდევ უფრო ნათელჰყოფს თუ რა სახის პრობლემასთან გვაქვს საქმე, და რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრია რედაქციის ყოველ თანამშრომელს.

V.

ქართული ეროვნული საბჭოს ამგვარ მიდგომას ამ საქმისადმი იწვევს ის ფაქტი, რომ აღნიშნული რადიოები  პ ი რ დ ა პ ი რ  ელაპარაკებიან თავიანთ მსმენელებს საქართველოში, და ამით, გასაგებია, არსებითად განსხვავდებიან, თუ გნებავთ, ჩვენი ქართული ჟურნალ-გაზეთებისაგან, რომლებიც ემიგრაციაში გამოდის მეტად მცირე ტირაჟით, და საქართველომდე საერთოდ აღწევს თუ არა. ღმერთმა იცის!.. ვფიქრობთ, ყოველ პოლიტიკურ ემიგრანტს კარგად ესმის თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ყველა იმ პირს, რომლებიც აწარმოებენ ქართულენოვან რადიოგადაცემებს საქართველოში, ვინაიდან ერთხელ დაშვებულ  შ ე ც დ ო მ ა ს, ე.ი. უპასუხისმგებლო გადაცემას, შეიძლება, საბედისწერო შედეგები მოყვეს ჩვენს სამშობლოში.

VI.

ამიტომაა, რომ ქართული ეროვნული საბჭო - პოლიტიკური ემიგრაციის საშინაო და საგარეო საქმიანობის სფეროში - დიდ ყურადღებას აქცევს ქართულენოვან რადიოგადაცემებს საქართველოში, განსაკუთრებით ქართული ეროვნული საბჭოს "პირმშო შვილის" - რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქციის მუშაობას. მაგრამ, სამწუხაროთ, დღემდე ჩვენ - დაწყებული 1984 წლის დეკემბრიდან -

ქართული გადაცემების რვეულებზაც,კი არ ვღებულობთ,და,გასაგებია, რადიო-
გადაცემების შესახებ არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ვიმედოვნებთ,
მალე ეს მდგომარეობა გამოსწორდება.

VII.

აქედან გამომდინარე, ქართულმა ეროვნულმა საბჭომ უნდა იცოდეს თუ რა სახის რადიოგადაცემები წარმოებს უცხოეთიდან საქართველოში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ - როგორც ძველი ხალხური სიბრძნე ამბობს(რომელსაც ახლა ლენინს აწერენ) - ნდობა კარგია, მაგრამ კონტროლი უკეთესია.

VIII.

და-ბოლოს შევნიშნავთ, რომ ქართული ეროვნული საბჭოსა და მისი ორგანოების ყველა დოკუმენტი ინახება ქართული ეროვნული საბჭოსა და ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" რედაქციის არქივში.

"მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო
კოლეგია.დირექტორი:მალვა თაყაიშვილი
ლევილი-პარიზი,1987 წლის თებერვალი
=================================

ქართული
ეროვნული საბჭო

Conseil National Géorgien

CHATEAU DE LEUVILLE
10,rue Julee Ferry
91310 Leuville sur Orge
FRANCE - T. 60-04-61-51

Paris, le

პარიზი-ლევილი,1986 წლის 30 ივლისი
==================================

რადიო"ისრაელის ხმა-ს" ქართულ რედაქციას!..

პატივცემულო მეგობრებო!
"ისრაელის ხმა", როგორც ცნობილია, აწარმოებს ქართულენოვან გადაცემას საქართველოში ქართველი ებრაელებისათვის; და, ჩვენი ცნობების თანახმად, რადიო"ისრაელის ხმას" ამ გადაცემებს, საერთოდ, ქართველებიც უსმენენ, რაც სრულიად ნორმალურია, მით უმეტეს, რომ ჩვენი ისტორიული მეგობრობა საკმაოდ ცნობილია საქართველოს საზღვრებს გარედაც.

ქართული ეროვნული საბჭო გთხოვთ გაგვაცნოთ თქვენი გადაცემების რაობა, რისთვისაც, ჩვენი აზრით, საკმარისი იქნება თუ თქვენ გამოგვიგზავნით თქვენი ქართულენოვანი გადაცემების,ვთქვათ, ე რ თ ი კვირის ტექსტს.

გთხოვთ, ეს თხოვნა დაგვიკმაყოფილოთ. ჩვენის მხრიდან კი გთავაზობთ ჩვენს ყოველმხრივ თანამშრომლობას თუ ჩვენ შეგვიძლია რაიმეში დაგეხმაროთ ამ თქვენს მეტად საჭირო მოღვაწეობაში.

ქართული სალამითა და ღრმა პატივისცემით,

ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარე..................
კარლო ინასარიძე

ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარის მოადგილე,
საშინაო საქმეთა გამგე..........................
თარხან ანთაძე

ქართული ეროვნული საბჭოს მდივანი..................
მამია შერიშვილი

"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც ღედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა;
თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა".
"მესამე დასი"(1893 წ.)
--------------------

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული
ეროვნული საბჭო

Conseil National Géorgien

CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
FRANCE - T. 60-84-61-51

Paris, le 30.7.1986

"VOICE OF AMERICA" - Georgian Service
330 Independemce Avenue
S.W. Washington D.C. 20547 - U.S.A.

რადიო "ამერიკის ხმა-ს" ქართულ რედაქციას!..

პატივცემულო თანამემამულენო!
ქართულ ეროვნულ საბჭოს სურს გაეცნოს თქვენს მეტად სასარგებლო მუშაობას თავისუფალი ინფორმაციის თავისუფალი მიწოდების საქმეში, რასაც უკვე 1952 წლიდან წარმატებით აწარმოებთ დასავლეთის დემოკრატიის ცენტრ - ვაშინგტონიდან.

ქართული ეროვნული საბჭო გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ტექსტი, ვთქვათ, ე რ თ ი კვირის გადაცემების სრული ტექსტი, რომ ჩვენ საშუალება მოგვეცეს გავეცნოთ თუ რა სახის გადაცემებს აწარმოებთ ჩვენს სამშობლოში. რა თქმა უნდა, ჩვენ კარგად ვიცით, რომ რადიო"ამერიკის ხმა" არის შეერთებული შტატების მთავრობის უწყება, და ეს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ჩვენთვის თქვენი პროგრამის რაობის გაცნობას.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენ ამ ჩვენს თხოვნას დააკმაყოფილებთ. ჩვენი მხრიდან კი ქართული ეროვნული საბჭო მზად არის ყოველმხრივი დახმარება გაგიწიოთ თქვენ ამ მეტად სასარგებლო მუშაობაში თუ ჩვენ ასეთი შესაძლებლობა გაგვაჩნია.

მეგობრული ქართული სალამითა და ღრმა პატივისცემით,

ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარე.............
კარლო ინასარიძე

ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარის მოადგილე და საშინაო საქმეთა გამგე.............................
თათრახან ანთაძე

ქართული ეროვნული საბჭოს მდივანი.............
შამია ბერიშვილი

პარიზი-ლევილი, 1986 წლის 30 ივლისი
====================================

ქართული
ეროვნული საბჭო

Conseil National Géorgien

CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
FRANCE - T. 60-84-61-51

Paris, le 30.7.1986

RFE/RL - Georgian Service
Oettingenstr. 67
8000 Munich 22, West-Germany

რადიო "თავისუფლების" ქართულ რედაქციას!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

რადიო"თავისუფლების" დაარსებასა და მისი პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში, "ამერიკული კომიტეტისა" და სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად, დიდი, რომ არ ვთქვათ, გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართულმა ეროვნულმა საბჭომ და მისმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრმა - ბატონმა ნოე ცინცაძემ. თვით ქართული ეროვნული საბჭო

კი სარგებლობდა ნ ო ე  ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს მთავრობის სრული მხარდაჭერით, რომლის დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ევგენი გეგეჭკორი, როგორც გამოცდილი და დამსახურებული დიპლომატი, ენერგიულად მოქმედებდა მეტად რთული მოლაპარაკებების წარმატებით დამთავრების მიზნით; ამას, როგორც ცნობილია, მოყვა რადიო"თავისუფლების" დაარსება, და მის სტერომში რადიო"თავისუფლების" ქართული რედაქციის ჩამოყალიბება, რომლის დამაარსებელი და    პოლიტიკური ხაზის განმსაზღვრელი, მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, გახლდათ საქართველოს იუსტიციის მინისტრი ბატონი რაჟდენ არსენიძე. და ამგვარი ორივემხარისათვის მეტად სასარგებლო და ნაყოფიერი თანამშრომლობა ქართულ ეროვნულ საბჭოსა  რადიო"თავისუფლების" ქართულ რედაქციასთან - კერძოთ - და რადიო"თავისუფლების" სხვა რედაქციებთან - საერთოდ - მიმდინარეობდა 1984 წლის დეკემბრამდე.

1984 წლის დეკემბრიდან კი რადიო"თავისუფლების" ქართულმა რედაქციამ რადიკალურად, ცალმხრივად დაარღვია ეს ორივემხარისათვის მეტად სასარგებლო და ნაყოფიერი თანამშრომლობა, რაც - პირველ რიგში - რადიოგადაცემების, ასე ვთქვათ, "საიდუმლო დოკუმენტებად" გამოცხადებით დაიწყო. ამ დღიდან, 1984 წლის დეკემბრიდან, ქართული ეროვნული საბჭო და მისი ოფიციალური ორგანოს; ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" რედაქცია, ისე, როგორც სხვა ქართული ჟურნალების - "ივერიას","გუშაგის" და "ჩვენი დროშა-ს" რედაქციები ქართული გადაცემების რვეულებს აღარ ღებულობენ. რა თქმა უნდა, ჩვენთვის სრულიად გაურკვეველია რადიო"თავისუფლების" ქართული რედაქციის ამგვარი მოქმედება, მით უმეტეს, რომ რადიო"თავისუფლება" მოქმედებდა და მოქმედებს - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მეცხრამეტე მუხლის, ე.ი. ინფორმაციის თავისუფალი მიღებისა და გავრცელების - შესაბამისად, და - მერე - ქართული ეროვნული საბჭო, როგორც აღვნიშნეთ,( განსხვავებით ქართული ემიგრაციის ერთი ჯგუფის - "პოლიტიკური ცენტრისაგან", რომელიც რადიკალური მოწინააღმდეგე იყო რადიო"თავისუფლებისა" მისი ჩასახვის დღიდანვე,)- ყოველთვის მხარს უჭერდა და უჭერს რადიო"თავისუფლების" მეტად სასარგებლო მუშაობას გადაცემების შექმნაში უშუალო მონაწილეობითაც კი.

ქართულ ეროვნულ საბჭოს სურს და გადაწყვეტილი აქვს ისევ განაახლოს ამგვარი ორივემხარისათვის მეტად  ნ ა ყ ო ფ ი ე რ ი  და სასარგებლო თანამშრომლობა. პირველ ნაბიჯად ამ მიმართულებით ჩვენ ვთვლით ქართული ეროვნული საბჭოსათვის რადიო"თავისუფლების" ქართული რედაქციის გადაცემების რვეულების მიღებას, როგორც ეს იყო რადიო"თავისუფლების" მთელი ისტორიის განმავლობაში დაწყებული 1953 წლიდან - როგორც აღვიშნეთ - 1984 წლის დეკემბრამდე. გთხოვთ, დააკმაყოფილოთ ეს ჩვენი თხოვნა და რეგულარულად გამოგვიგზავნოთ ფოსტით თქვენი ყოველდღიური გადაცემების სრული რვეულები.

კეთილი სურვილებითა და ქართული სალამით,

ქართული ეროვნულის საბჭოს თავმჯდომარე

ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საშინაო საქმეების გამგე

ქართული ეროვნული საბჭოს მდივანი

ქართული
ეროვნული საბჭო

Conseil National Géorgien

CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
FRANCE - T. 60-04-01-51

ჟურნალი:
"მებრძოლი საქართველო"
დირექტორი: შალვა თაყაიშვილი
========================

Paris, le 10 სექტემბერი, 1986 წელი

რადიო"თავისუფლების" ქართულ რედაქციას!..

პატივცემულო თანამემამულენო!

მისასალმებელია, რომ რადიო"თავისუფლების" ქართულმა რედაქციამ

განაახლა აწ უკვე თითქმის ერთ-მესამედი საუკუნის ტრადიცია და ქართული ჟურნალების რედაქციებს რეგულარულად უგზავნით თქვენს ყოველდღიური გადაცემების პროგრამებს, რაც საშუალებას იძლევა ურთიერთ კავშირებისა და თანამშრომლობისა. მაგრამ, სამწუხაროთ, ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალური ორგანოს"მებრძოლი საქართველოს" რედაქციას, ლევილში, ქართულ მამულში, ჯერჯერობით არ მიუღია თქვენი გადაცემების რვეულები.

გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი ყოველდღიური გადაცემების რვეულები, რაც არა მარტო "მებრძოლი საქართველოს" რედაქციას დაეხმარება სრული ინფორმაციის მიღებაში განსაკუთრებით საქართველოდან, არამედ,ამასთანავე, ლევილის ქართულ მამულში მცხოვრებ ქართველებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ თქვენს პროგრამებს და ამით უშუალო სულიერ კავშირში იყვნენ თქვენთან, ქართული რედაქციის თანამშრომლებთან.

იმ იმედით, რომ თქვენ ამ ჩვენს თხოვნას დააკმაყოფილებთ, ვრჩებით თქვენი კეთილისმსურველნი და გისურვებთ წარმატებებს თქვენს ასე სასარგებლო მუშაობაში.

ქართული სალამითა და პატივისცემით

პარიზი-ლევილი,1986 წლის 10 სექტემბერი

ქართული
ეროვნული საბჭო

Conseil National Géorgien

CHATEAU DE LEUVILLE
10,rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
FRANCE - T. 60-84-61-51

Paris, le 5.10.1986

რადიო"თავისუფლების" ქართულ რედაქციას!

პატივცემულო თანამემამულენო!

მივიღეთ თქვენი პასუხი(10.9.86) ჩვენს 1986 წლის 30 ივლისის წერილზე, რისთვისაც დიდათ გმადლობთ, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ,რომ ჩვენს წერილში ჩვენგან წამოჭრილ საკითხებზე უფრო სერიოზულ პასუხს მოველოდით.

მოგახსენებთ, რომ ქართული ეროვნული საბჭო, რომელსაც თითქმის ორი-მესამედი საუკუნის ისტორია აქვს და რომელიც 26 მაისის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის, მშობელი დედაა, — მოქმედებს მისი წესდების შესაბამისად, რომლის მეცხრამეტე მუხლის მე-5 ნაწილში (27.4.86) ნათქვამია, რომ საბჭო კავშირებს ამყარებს "...იმ სახელმწიფო და კერძო ორგანოებთან, რომლებიც აწარმოებენ ქართულ-ენოვან რადიოგადაცემებს საქართველოში. ქართულმა საზოგადოებრიობამ ემიგრაციაში უნდა იცოდეს თუ რა სახის მასალები გადაიცემა რადიოთი საქართველოში, და თუ რაიმე ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, შეეცადოს მის გამოსწორებას". ჩვენ გამოვდივართ იმ რწმენიდან,რომ დიდი უმრავლესობა ქართველი ხალხისა,რომლის შემადგენელი ნაწილია ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, ხელმძღვანელობს "26 მაისის"დიადი იდეებით,რომლის ალტერნატივა არ არსებობს, თუ ალტერნატივათ არ მივიჩნევთ უცხო ბატონობას ქართველ ხალხზე,რომელიც არსებობს დღეს საბჭოთა საქართველოში."26 მაისის"იდეებისათვის ბრძოლაში კი შეუძლებელია არსებითი მნიშვნელობა მიენიჭოს ჯგუფურ თუ პიროვნულ სიმპათია-ანტიპათიას. ამდენად,"26 მაისის" იდეა მოგიწოდებთ თქვენც ითანამშრომლოთ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყ ვ ე ლ ა დემოკრატიულ დაჯგუფებასთან,რაც,უდავოა,ხელს შეგიწყობთ თქვენ თქვენი ყოველდღიური მუშაობის პოლიტიკურ განსაზღვრაშიაც. თქვენს წერილში მოყვანილი ამონაწერი რადიოს სახელმძღვანელოდან, თქვენ სწორედ ამისკენ მოგიწოდებთ:"რადიო თავისუფლება და თავისუფალი ევროპა მხარს არ უჭერს ერთ სპეციფიურ პოლიტიკურ,ეკონომიკურ თუ რელიგიურ მრწამსს...თავისთავს არ აიგივებენ ოპოზიციურ ჯგუფს თუ ჯგუფებთან, პოლიტიკურ პარტიებსა თუ ორგანიზაციებთან..." რას ნიშნავს ეს? - ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ თქვენს მსმენელებს უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია, არა რომელიმე ე რ თ ი, არამედ ყ ვ ე ლ ა პოლიტიკური მიმართულების მოვლენების შესახებ,რაც ქართულ რადიორედაქციაში, 1953 წლიდან 1984 წლის დეკემბრამდე - შუქდებოდა გადაცემათა ციკლებში -"ქართველები უცხოეთში","ქართული პრესა უცხოეთში","ქართული ლიტერატურა და ხელოვნება უცხოეთში" თუ ცალკეული პირების საუბრებში თუ ინტერვიუებში.

1984 წლის დეკემბრიდან კი ქართულმა რადიორედაქციამ- ერთი მხრივ - დაიწყო "ქართული ფაშისტური დარაზმულობის" ცნობილი "ყიყინის" ხერხული გადაცემები, ხოლო - მეორე მხრივ - შეწყვიტა, თუ გნებავთ, "მუხამბე დახელთა" ისეთი გზისმაჩვენებელი ამონაწერის გადაცემა, როგორიცაა-"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა". ვიმედოვნებდით, რომ 1986 წლის მაისიდან, როცა გადაჯგუფებას ჰქონდა ადგილი ქართულ რადიორედაქციაში, ისევ აღსდგებოდა პლიურალიზმის, ე.ი. ინფორმაციის მიწოდების დემოკრატიული პრინციპები, მაგრამ როგორც თქვენი პასუხი და თქვენი გადაცემები ამჟღავნებენ, თქვენ ისევ განაგრძობთ "ქართული ფაშისტური დარაზმულობის" ცნობილი "ყიყინის" ხერხულ გადაცემას, რაც სწორედ რადიოს აღნიშნული სახელმძღვანელოს დარღვევაა, ვინაიდან თქვენ გამოდიხართ ე რ თ ი პოლიტიკური მიმართულების მქადაგებლის როლში.

ამიტომ, ქართული ეროვნული საბჭო თქვენ კიდევ ერთხელ გთავაზობს დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ს, რაც პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ თქვენ მიაწოდოთ რადიომსმენელებს რაც შეიძლება სრული და ობიექტური ინფორმაცია საქართველოს წარსულის, განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობისა და დღევანდელი ცხოვრების შესახებ. კონკრეტულად ეს ნიშნავს იმას, რომ -

1. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ლევილის ქართული წიგნთსაცავი-ბიბლიოთეკა. ჩვენ მზად ვართ ყოველი წიგნი თუ ჟურნალ-გაზეთი, თუ თქვენ მოისურვებთ, გამოგიგზავნოთ, რომელთა გამოყენება თქვენ შეგეძლებათ თქვენს გადაცემებში.
2. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ აგრეთვე ქართული არქივის ესა თუ ის დოკუმენტი, რომელთა პუბლიკაცია დაშვებულია.
3. თქვენ შეგიძლიათ ამასთანავე მიიღოთ ჩვენგან ამორჩეული სხვადასხვა მასალები თუ დოკუმენტები და სხვა, რომელთაც გამოყენება თქვენ შეგეძლებათ თქვენს გადაცემებში.
4. ჩვენ შევეცდებით აგრეთვე თქვენი გადაცემების დროგამოშვებით განხილვებს და წერილობით გაცნობებთ თქვენ, რაც, ვფიქრობთ, ხელს შეგიწყობთ თქვენ თქვენს მუშაობაში.
5. ჩვენ დაგეხმარებით ისეთი პირის თუ პირების თქვენს გადაცემებში ჩაბმაში, რომელთაც შეეძლებათ ისეთი მასალები მოგაწოდოთ, რომელთა შექმნა რედაქციაში, ხშირად დროისა და მასალების უქონლობის გამო, შეუძლებელია.
6. თქვენგან კი გვსურს მივიღოთ თქვენი ყოველდღიური გადაცემების რვეულები და აგრეთვე ქართული "თვითგამოცემის" დოკუმენტები, რომლებსაც, ვფიქრობთ, რედაქცია დროგამოშვებით ღებულობს საქართველოდან.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ამგვარი "თანა-მშრომლობის" წინააღმდეგი ოდესმე იყო რადიო "თავისუფლების" ხელმძღვანელობა. პირიქით, რადიოს ხელმძღვანელობა ჩვენ ყოველთვის ხელს გვიწყობდა რაც შეიძლება მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ყოფილიყო ჩვენი გადაცემები და ამისათვის ფულად სახსრებსაც არ ზოგავდნენ. ვიმეორებთ, ნუ აყვებით პირად სიმპათია-ანტიპათიის თუ სხვა ჩვენთვის გაუგებარ გრძნობებს და, რამდენადაც შესაძლებელია, ემსახურეთ "26 მაისის" დიადი იდეების ცხოვრებაში გატარების საქმეს.

კეთილი სურვილებითა და ქართული სალამით,

ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარე:

ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარის მოადგილე

და საშინაო საქმეების გამგე:

ქართული ეროვნული საბჭოს მდივანი:

პარიზი-ლევილი, 1986 წლის 5 ოქტომბერი

## საქართველოს ეროვნული საბჭოს 70-ე წლისთავი

==========================================

### I.

1917 წლის 19 ნოემბერს, - 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შედეგად, - შესაძლებელი გახდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა, რომელმაც 22 ნოემბერს აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო. ამგვარად, საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1987 წლის 22 ნოემბერს უსრულდება სამოცდამეათე წლისთავი, რაც საბაბს გვაძლევს გადავხედოთ საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიას:

### II.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა სულ 88 დელეგატი: საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიიდან 51 დელეგატი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან - 11 დელეგატი, საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიიდან - 10 დელეგატი, რადიკალ-დემოკრატებიდან - 1 დელეგატი, უპარტიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებიდან - 2 დელეგატი,"ალიონისტებიდან" 4 დელეგატი. საქართველოს ეროვნული საბჭო შევსებულ იქნა აგრეთვე საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა დელეგატებით. საქართველოს ეროვნული საბჭოს თავჯდომარედ კი არჩეულ იქნა ნოე ჟორდანია.

III.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის კულმინაციური წერტილია 1918 წლის 26 მაისი, როცა ეროვნული საბჭოს თავჯდომარემ - ნოე ჟორდანიამ - ქართველი ერის სახელით, თბილისში, მთავრობის სასახლეში გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა."საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში", სხვათა შორის, ნათქვამია:

"ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წელს, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:

1)ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა".

IV.

"საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" მე-7 მუხლში კი ნათქვამია: "დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე". და ეროვნული საბჭოს მოქმედება რომ ქართველი ხალხის დიდი, დიდი უმრავლესობის ნება-სურვილს ეყრდნობოდა, ეს დაადასტურა საქართველოს დამფუძნებელი კრების, ე.ი.პარლამენტის არჩევნებმა, რომელიც ჩატარდა 1919 წლის დეკემბერში, და რომლის შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პრეამბულაში,ე.ი. "შესავალში" ვკითხულობთ შემდეგს:

"საქართველოს დამფუძნებელი კრება, არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, - ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთს ტფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის...აქტს".

V.

ამგვარად, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევის შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაამთავრა თავისი მუშაობა და მთელი ძალაუფლება გადაიდა დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს მთავრობის ხელში, ხოლო სახელმწიფო ძალაუფლების მესამე ორგანო - მართლმსაჯულება - გამტკიცდა მოსამართლეთა ინსტიტუტით, რომელიც მხოლოდდამხოლოდ კანონს ემორჩილებოდა. მაგრამ საქართველოს ამგვარი დემოკრატიული, უფლებრივი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი დამალა უცხო ძალამ, ბოლშევიკურმა რუსეთმა, როცა 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს თავს დაესხა, წითელი არმიის მეშვეობით, დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო, და საქართველოს ეროვნული მთავრობა - ნოე ჟორდანიას - თავჯდომარეობით, საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით, უცხოეთში წამოვიდა, საფრანგეთს თავი შეაფარა და განაგრძობდა ბრძოლას უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ საქართველოში.

VI.

ამლენად, საქართველოს კანონიერი მთავრობის წინაშე ისევ წამოიჭრა საკითხი საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და დაჯგუფებების ერთიანი ფრონტის შექმნისა. ამ მიზნით, მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში დაიწყო, მაგრამ პირველად 1951 წლის 20-21 ოქტომბერს შესაძლებელი გახდა ქართული ეროვნული საბჭოს პირველი ყრილობის ჩატარება პარიზში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სოციალდემოკრატიულმა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიებმა, ე.წ-ლი"თეთრი გიორგის" ორგანიზაციამ და სხვა პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა.

ქართული ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობა ჩატარდა 1952 წლის 4-6 ოქტომბერს, პარიზში. ქართული ეროვნული საბჭოს მესამე ყრილობა ჩატარდა 1954 წლის გაზაფხულზე, პარიზის ახლოს-მდებარე ლაბა ლევილის ქართულ მამულში, ხოლო ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობა ჩატარდა პარიზში, 1986 წლის

27 აპრილს ქართული წმინდა ნინოს ეკლესიის დარბაზში, რომლის მოქმედების საფუძვლად ისევ აღიარებულ იქნა "26 მაისის" დიადი იდეა, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენა.

აი, ასეთი სახელოვანი მოღვაწეობის გზა განვლო ჩვენმა ეროვნულმა საბჭომ ამ გასული 70 წლის განმავლობაში, რაც მომასწავებელია იმისა, რომ იგი შესაბამის წვლილს შეიტანს "26 მაისის" დიადი იდეის განხორციელებაში.

კარლო ინასარიძე, პარიზი, 1987 წლის 22 ნოემბერი

## 27 იანვარი - საქართველოს ცნობის დღე

I.

1921 წლის 27 იანვარი გახდა დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო ფაქტიური და იურიდიული ცნობის დღე, ვინაიდან ამ დღეს მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დე იურე იცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

II.

1920-ი წლის 7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, საბჭოთა რუსეთმა დე ფაქტო და დე იურე, ე.ი. ფაქტიურად და იურიდიულად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, და ამით საქართველო, როგორც სახელმწიფო, მეფის რუსეთის 117-ი წლის ბატონობის შემდეგ, ისევ გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ე.ი. გამოვიდა საერთაშორისო არენაზე როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობის ბაზად უნდა ჩაითვალოს დასავლეთის მოკავშირე სახელმწიფოებისა და თვით საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. აი ამონაწერები ამ საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტებიდან:

III.

"საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, იაპონია და ბელგია, გაერთიანებულნი უმაღლეს საბჭოში, ცნობენ დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობას".

(ნოტა უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის - არისტიდ ბრიანისა, 27 იანვარი, 1921 წელი.)

"La France, la Grande-Bretagne, l'Italie, le Japon et la Belgique, réunis en Conseil Suprême, ont reconnu de jure l'indépendance de la Géorgie."

(note d'Aristide Briand, Président du Conseil Suprême, du 27 janvier 1921.)

IV.

"რუსეთი ურყევად ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს და ნებაყოფლობით უარს ამბობს ყველა სუვერენულ უფლებაზე, რომლებიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ტერიტორიის მიმართ."

(საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების I მუხლი.)

"Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность Грузинского государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав, кои принадлежали России в отношении к грузинскому народу и земле".

( Статья I.)

V.

გერმანია-რუსეთის(რსფსრ) 1918 წლის 27 აგვისტოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატების მე-13 მუხლში ითქმულია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

"რუსეთი აცხადებს თანხმობას, რომ გერმანიამ იცნოს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა."

Im deutsch-russischen(RSFSR) Ergaenzungsvertrag von Brest-Litowsk vom 27. August 1918, Art. 13 heisst es:

"Russland erklaert seine Zustimmung, dass Deutschland Georgien als Selbststaendiges Staatsgebilde anerkennt."

ამგვარად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, მოკლე დროის განმავლობაში, იცნო შემდეგმა სახელმწიფოებმა:

| სახელმწიფო: | დე ფაქტო: | დე იურე: |
|---|---|---|
| თურქეთი | 1919 წ. | 3 ივნისი 1918 წ. |
| არგენტინა | | 13 სექტ. 1919 წ. |
| საფრანგეთი | 11 იანვარი, 1920, | 27 იან. 1921 წ. |
| დიდი ბრიტანეთი | 11 იან. 1920 წ. | 27 იანვ. 1921 წ. |
| იტალია | 11 იანვ. 1920 წ. | 27 იანვ. 1921 წ. |
| იაპონია | | 27 იანვ. 1921 წ. |
| საბჭოთა რუსეთი | | 10 მაისი 1920 წ. |
| ბელგია | 27 აგვ. 1920 წ. | 27 იანვ. 1921 წ. |
| გერმანია | 10 ივნისი 1918 წ. | 24 სექტ. 1920 წ. |
| პოლონეთი | | 28 იანვ. 1921 წ. |
| რუმინეთი | | 18 თებ. 1921 წ. |
| ჩეხოსლოვაკია | 8 აპრ. 1920 წ. | ............. |
| ავსტრია | 18 ივნისი 1918 წ. | 17 თებ. 1921 წ. |
| ლუქსემბურგი | | 23 თებ. 1922 წ. |
| პაიცი | | 9 მარტი 1921 წ. |
| ლიბერია | | 28 მარტი 1921 წ. |
| მექსიკა | | 14 აპრ. 1921 წ. |
| პანამა | | 26 აგვისტო 1921 წ. |
| სიამი | | 20 ნოე. 1921 წ. |
| შვეიცარია | | 1920 წელი. |

VI.

და მსოფლიოს სხვა მრავალი სახელმწიფო, რომლებიც უკვე დიპლომატიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ დამოუკიდებელ საქართველოსთან და გადაწყვეტილი ჰქონდათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის დე ფაქტო და დე იურე ცნობა, შეაჩერა იმ ფაქტმა, რომ საბჭოთა რუსეთმა მოულოდნელად თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტში, დაიპყრო ჩვენი სამშობლო და ამით მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის პროცედურაც შეწყდა.

კარლო ინასარიძე
ულმი, 1987 წლის თებერვალი

"რა ხელ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?
ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?"

ნიკოლოზ ბარათაშვილი

# ლევილის ქართული მამული

ლევილის ქართული მამულის ისტორია 1922 წლიდან იწყება და დაკავშირებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციასთან. 1920 წლის 7 მაისს ბოლშევიკური რეჟიმის ხელისჩამდგმელის ლენინის ლოცვა-კურთხევით, სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, ვინ იფიქრებდა, რომ იგივე ლენინი განკარგულებას გასცემდა მისგან უკვე ცნობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასაპყრობად. ომის გამოუცხადებლად თავდასხმის შედეგად, საქართველოს შეიარაღებული ძალები, მთავარსარდლის ბრძანებით, იძულებული გახდა უკან დაეხია, და როცა ბოლშევიკებმა საქართველო დაიპყრეს, ეროვნული მთავრობა გაიხიზნა უცხოეთში და არა, როგორც ბოლშევიკების პროპაგანდისტები და მათი დამხმარე ზოგიერთი უპასუხისმგებლო ემიგრანტები ამბობენ, "გამოიქცა".

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გამოიხიზნა უცხოეთში რესპუბლიკის პარლამენტის დადგენილებით, რომ გაეგრძელებია ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, რაც დიამეტრალურად განსხვავდება ზოგიერთ იმათაგან, რომლებიც საქართველოში დარჩენ და ხელი მოაწერეს სამარცხვინო თვითლიკვიდაციას და ამით შეურიგდენ ჩვენს დამპყრობლებს.

დაბინავდა რა საფრანგეთში, პარიზში, საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, გადაწყვიტა ეყიდა პატარა მამული, რომელიც თავშესაფარი იქნებოდა ქართველი პოლიტიკური ლტოლვილებისათვის და საქართველოს განთავისუფლების შემდეგ დარჩებოდა საქართველოს საკუთრებად. ამ მიზნით, 1922 წლის 24 ივნისს, ნიკოლოზ ჯაყელისა და ბენია ჩხიკვიშვილის სახელზე იქნა შეძენილი ის პატარა მამული, რომელსაც დღეს ლევილის "ქართული კერა" ეწოდება. ჩქარა ცვლილება მოხდა, როცა ბენია ჩხიკვიშვილი სადღაც ბაქოსა და როსტოვს შორის დახვრიტეს. მთავრობა იძულებული გახდა მოენახა რაღაც ახალი სისტემა მამულის მმართველობისა, და ფიქტიური გაყიდვისა და ფიქტიური შესყიდვის შემდეგ, იქნა გაფორმებული ლევილის "ქართული კერის სოსიეტე" 7 წევრისაგან შემდგარი. სოსიეტეს დამფუძნებელი აქტის პირველ მუხლში აშკარად არის ნათქვამი, რომ "მამული ნაყიდია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფულით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებას წარმოადგენს". გარანტიად სოსიეტეს თითოეული წევრი იძლევა 25.000-ი ფრანკის ჩეკს, რომ მათ ფული ისესხეს მთავრობიდან და ჩეკის გამოსყიდვის გარეშე არავითარი პრეტენზია არ აქვთ მამულზე. უფრო შინაარსიანი უფლებამოსილი რომ ყოფილიყო გარანტია საქართველოს საკუთრებისა მამულზე, შვიდმა სოსიეტერმა ხელი მოაწერეს კოლექტიურ კვიტანციას, მთავრობიდან 150.000-ი ფრანკის სესხების შესახებ, მამულის სასყიდლად, სადაც ამბობენ, რომ წარმოდგენისთანავე ვალდებული ვართ გადავიხადოთ და სხვა. ამგვარად თითოეული სოსიეტერი დავალიანებულია 50.000-ი ფრანკით, მაშინდელი კურსით, როცა მთელი მამული იმ დროს ნაყიდია 84.000-ს ფრანკად. იყავით დარწმუნებული, რომ კვიტანციებისა და ჩეკების გამოყიდვის გარეშე, ისინი მეპატრონეები არ არიან, და მათდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ამმხრივ არავითარი პრეტენზიაც არ აქვთ.

მიუხედავათ ყოველგვარი გარანტიებისა, ვინ, ვისთვის ან რისთვის ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს, რომ მამული იყიდება, საქართველოს ქონება იკარგება, მამულს სოციალდემოკრატები სამოცდახუთი წელიწადია ხრავენ, მასში არავის არ უშვებენ, ოთახებს არ იძლევიან და სხვა ათასი ჭორები, რომლებიც ყოველგვარი საბუთების გარეშე იწვევს დაუმსახურებელ ეჭვებს და ემიგრანტებს შორის თესავს შუღლსა და უნდობლობას. თუთხმეტი ოთახით, რომელიც შატოში არის, ადმინისტრაციას არ გააჩნია ჯადოქრული ნიჭი, რომ მთელი სათვისტომო დააკმაყოფილოს. აქ გასანაწილებელი არაფერი არ არის, ოთახები თითქმის ყველა დაკავებულია. თავშესაფარში შემომსვლელმა უნდა იცოდეს, რომ ვინმე გარდაიცვალოს - ეს ასე იყო და ასე დარჩა - განთავისუფლებული ოთახი იმას ეძლევა, ვისაც განცხადება უფრო ადრე ჰქონდა შემოტანილი. განცხადებები, რომლებიც შემოდის, ტარდება რეგისტრაციაში და ინომრება რიგისდამიხედვით.

მეორე შესაძლებლობა და უფრო ადვილი ის არის, რომ თუ ვინმეს სურს იცხოვროს მამულში და აქვს საშუალება თავისი ხარჯით შეაკეთოს ძველი შენობა, რომელიც არის მთავარი შენობის ირგვლივ, მას არავითარ რიგში ჩადგომა არ ჭირდება, და გაფორმების შემდეგ შეუძლია შეუდგეს შეკეთებას და იცხოვროს დამოუკიდებლად, როგორც ზოგიერთნი ჩვენგანი. მაგრამ ეს მას არ ანთავისუფლებს გადაიხადოს ასოციაციის "პარტისიპაცია", რომელიც იხარჯება სახელმწიფო გადასახადის დასაფარავად და პატარა შესაკეთებელ ხარჯებისათვის წლიურად. 1,200-ი ფრანკიდან 2,000-ს ფრანკს არ აღემატება გადასახადი წლიურად.

მამულის იურიდიული საფუძველი არის "ქართული კერის სოსიეტე", რომელიც შესდგება ე.წ-ლი ფიქტიური მეპატრონეებისაგან. იმათგან მამულის გაყიდვის შიში

ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან არსებობს ოფიციალური დოკუმენტები, რომლითაც მამული დაგირავებული აქვთ მთავრობის ფულში. ცხადია, როცა რაიმეს ვალით ყიდულობ, ვალის გადახდამდი იგი შენი არ არის, და გარდა ამისა, ანდერძები და ურთიერთ დადებული ხელშეკრულებები არავის არ აძლევს უფლებას, რომ სხვისი ქონება დაისაკუთროს.

თავიდანვე მამულის საკითხი ქართულ სათვისტომოში და იქაც, ჩვენს სამშობლოში წარმოადგენდა რაღაც მითქმა-მოთქმის გაუთავებელ, ხშირად სამარცხვინო ჭორიკანობის ობიექტს. ერთ ნაწილს, საქმის ნამდვილ ვითარებაში ჩაუხედავათ, მამული თავისად მიაჩნდა, მეორე წილს ეძებდა, მესამე ფიქრობდა, რადგან საქართველოს ქონება არის, სათვისტომოს ხელში გადასვლაზედ ოცნებობდა, და ზოგიერთები კი მურიანობით,ყოველგვარ არგუმენტს მოკლებულად, გაიძახოდენ, რომ "დააჯდენ ამ საქართველოს ქონებას მენშევიკები და ხრავენ რამდენადაც შეუძლიათო".

ძნელი გასაგებია, რომ ეს საკმაოდ ეროვნული და შინაარსით წმინდა საქმე, პოლიტიკური ვაჭრობის საქმეთ გახადეს. ყველამ იცის, რომ როცა მამული იქნა ნაყიდი, სოციეტეში შეყვანილი იყო ყველა მიმდინარეობა, რომლებიც დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში იყო წარმოდგენილი, პროპორციულად. დროთა ვითარებამ ბევრი რამ შეცვალა, და ზოგიერთებს ურჩევნია, რომ დამუნჯდენ, რადგან მათ მიერ წოდებულ ეგრედ-წოდებულ"მენშევიკების ბუდეში" მხოლოდ ოთხი(4) სოციალდემოკრატი ცხოვრობს. მაგრამ არც ერთი სოციალდემოკრატისაგან საყვედური არ მოგვისმენია. გრამებითა და გირვანქებით წონის ამბავი ისტორიას ჩაბარდა, ქართველი ყველა ქართველია და ამ ქართულ მამულში დაარსების დღიდან ყველა მიმართულების ქართველები ცხოვრობდენ და აწიც იცხოვრებენ.

ოფიციალური ქაღალდებითა და ურთიერთდადებული შეთანხმებებით, მამული სათვისტომოს გამგებლობაში არ გადავა, და ეს იმდენად რთული საკითხია, რომ შეტად შორს წაგვიყვანს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმე სათვისტომოს წინააღმდეგი იყოს. პირიქით, მამულის გამგეობა - ის სოსიეტე იყო თუ ასოციაცია - თავიდან ცდილობდა, რომ ქართველი ახალგაზრდები საქმეში ჩაება და დაეინტერესებინათ ისინი, რომ იმ ნიადაგზე, რა ნიადაგზედაც მამული დღეს არსებობს, გაეგრძელებინათ მემკვიდრეობა და მამული შეენახათ ნამდვილი მისი პატრონის - საქართველოსათვის. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდებთან არც დიალოგი მოწყვა და არც საქმეში ჩაბმის ცდამ მოიტანა სასურველი შედეგი.

გავიდა ხანი და ერთ დღეს, მგონი 1968 წელში, ვღებულობთ განცხადებას საინიციატივო ჯგუფის მიერ ხელმოწერილს, რომ მათ სურთ მამულში გამართონ სპორტიული მოედანი, სადაც ჩვენი ახალგაზრდები, შაბათ-კვირას, თავს მოიყრიან, ერთმანეთს შეხვდებიან და გამართავენ სხვადასხვა სპორტიულ შეჯიბრებებს. დაყოვნება საჭირო არ იყო. ადმინისტრაციამ სასწრაფოდ გამოყო 6.000-ი კვადრატული მეტრი მიწა და თანხმობაც მიწერა საინიციატივო ჯგუფს. გარდა ამისა, ისიდორე ქარსალაძემ ახალგაზრდების სასიამოვნებლად ათასი კვადრატულ-მეტრ მიწაზე სიმინდიც დათესა, რომ ჩამოვლენ ჭყინტი სიმინდით გაუმასპინძლდებითო. ეს იყო და ეს. მის შემდეგ ჩვენ ამის შესახებ არაფერი არ გვსმენია, ყველაფერი გათავდა. მაგრამ უკან არ დავიხიეთ და ერთ დღეს იქნა მოწვეული სოციეტეს, ასოციაციის და მთავრობის წევრთა გაერთიანებული კრება, სადაც ერთხმად იქნა დადგენილი, ეცნობოს ჩვენს ახალგაზრდებს, რომ თუ მათ სურვილი აქვთ მამულში დასახლების, ადმინისტრაცია მზად არის მისცეს მათ "საზოსტნის" ნაკვეთიდან სამოსახლო მიწა, რომელიც, გარდა საყიდობის გაფორმებისა, თითქმის არაფერი არ დაუჯდებოდათ, რაც უპასუხოდ დარჩა და აქა-იქ შეურაცმყოფელი სიტყვებითაც კი დავრჩით"დაჯილდოებული".

მამულის მმართველობა და მისი ოფიციალური საარსებო საკითხები ხშირად "იწვევ" და სხვადასხვა შეხლა-შემოხლას ქართულ სათვისტომოში და მის"გასათვისტომოების" საკითხი არაერთხელ დასმულა. მაგრამ პასუხისმგებელი და საქმეში ჩახედული პირები, როგორიც იყო აწ განსვენებული ლევან ზურაბიშვილი, რომელიც მრავალმხრივ იყო დაინტერესებული ქართული მამულის ბედით, რომლის მამა ივანე ზურაბიშვილი ჩვენი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მთავარი იურიდიული მრჩეველი იყო. 1972 წლის ივლისის თვეში ლევან ზურაბიშვილმა, როცა ის სათვისტომოს თავჯდომარე იყო, გვთხოვა - ლევან ფაღავას და მე - რადგან სათვისტომოში დადის საეჭვო ხმები მამულის ბედის შესახებ, თუ შეგვეძლო შეგვეყვანა საქმის ვითარების კურსში. ჩვენ, რა თქმა უნდა, დოკუმენტებით და არგუმენტებით აუხსენით მამულის იურიდიული და მორალური მოვალეობის ყოველგვარი დეტალები, რის შემდეგ გვითხრა, რომ ის სრულიად კმაყოფილია ჩვენი ახსნა-განმარტებით და მოგვცა პატიოსანი სიტყვა, რომ ის არასდროს არ დაუშვებს სათვისტომოში იქნეს დარხეული რაიმე ხმები, რომელიც ზარალს მიაყენებს მამულის დანიშნულებას. ეს იყო და ეს. სანამდის იგი კოლონიის თავჯდომარე იყო, მამულის საკითხზე არაფერი გაგვიგონია, გარდა პიროვნული პატარ-პატარა სანდისხან უხინდისო მითქმა-მოთქმისა.

ეხლა ჩვენთვის გაუგებარია, როცა 1986 წლის სათვისტომოს გამგეობის არჩევნების კრების დროს, სათვისტომოს გამგეობის თავჯდომარე ტრიბუნიდან აცხადებს, რომ მამულის გენერალური ასამბლეას დროს უნახავს "მაღემორალიზებელი" ურთიერთობა და კატასტროფული, და მას უგრძნია, რომ თითქოს ჩაავდეს საზიზღარ წუმპეში, სადაც ყოველგვარი ბოროტება ითესება და ფესს იდგამს, სადაც მოხუცებულები ჯოხის კანონებით უსწორდებიან ერთმანეთს, საქმეში პოლიციაც ერევა და ოთახებსაც ლუქავენ, და ათავებს იმით, რომ ყველაფერი ეს ყოფილა კოშმარი. ვთქვათ, თამაზ ნასყიდაშვილს ყველაფერი ეს დაჭირდა ტრიბუნაზე სათქმელად, მაგრამ ესეც არ დაჭირდებოდა, რომ ქუჩაში გაგონილი გაეკონტროლებია, საბუთები შეემოწმებია, მოესმინა ბრალმდებელი და ბრალდებულიც, როგორც ეს გასულში ხდებოდა. ტრიბუნიდან თქმა, დაუშვათ, საპატიებელია, მაგრამ ყველაფერი ეს "მარგალიტები" დაიბეჭდა და დარიგდა. დაწერილის ამოშლა ძნელია და მით უმეტეს თავის მართლებაც უფრო ძნელი იქნება. ყოველგვარ აუცილებლობას მოკლებული ცალმხრივი გასამართლება, რომელ მხარეზე არ უნდა იყოს ის, არაფერი შვილია და განსაკუთრებით თამაზ ნასყიდაშვილისაგან, რომელსაც ყველა საშუალება ჰქონდა, რომ ყველაფერი ადგილზე შეემოწმებია. თუ დღეს მამულში მდგომარეობა რთულია, მას არ შეიძლება უწოდოთ "კატასტროფული" და ეს არც ადმინისტრაციის, არც იქ მცხოვრებ მოხუცთა ბრალია, არამედ ცეცხლის წამკიდებლები უფრო ახალგაზრდები არიან, რომლებსაც ხელს უწყობს სათვისტომოში გავრცელებული მითქმა-მოთქმა, ალსავსე ჭორიკანო ბით, კერძო ინტერესებით და პოლიტიკური სიძულვილით, რომლებმაც ძმათა სასაფლაოზეც მკვდრებიც კი გაჰყვეს "ჩემ" და "სხვის" მკვდრებად!.. ხედავთ როგორ დავდამბლდით!.. სათვისტომოში გავრცელებული მითქმა-მოთქმის, დაჯგუფებების, და ხშირად პოლიტიკურ ნიადაგზედაც უსამართლო ბრალდებები ადმინისტრაციის წინააღმდეგ - საქმესარ აადვილებს. "ადმინისტრაცია თურმე ოთახებს არ იძლევა", მაგრამ შატოში არსებული 15-ი ოთახი, რომელიც ყველა დაკავებულია, როგორ გავყოთ მთელ სათვისტომოსათვის? რა უყოთ ჩვენს 15-ტ თავშესაფარში მცხოვრებლებს! გავყაროთ გარეთ და ვისაც ბინა აქვს ის შევიყვანოთ? რატომ დავკარგ ეთ ლოლიკა? თამაზ ნასყიდაშვილი დაკვირვებული ადამიანია. მას ქუჩაში მოჭორილისათვის ყურის დაგდება არ ესაჭიროებოდა. თუ უნდოდა მისთვის ყველა კარები ღია იყო და დოკუმენტები ხელმისაწვდომი. მაშ რამ აიძულა ის, რომ ამ ზომამდე მივიდა? მის დაუსაბუთებელ ბრალდებებს შეიძლება "ჯოხის კანონი" ჯობდეს, რადგან ჯოხი გეტკინება და გათავდა. მაგრამ როდესაც ის პოლიციაში დასმენებს გვისაყვედურებს, რა უნდა ვთქვათ ჩვენ, როცა პოლიციაში, მერიაში, პრეფექტურაში და ბოლოს 35-გვერდიანი უმსგავსო ბრალდებებიც კი იქნა გაგზავნილი რესპუბლიკის პროკურორთან. რატომ არაფერი ითქვა ამის შესახებ სათვისტომოს არჩევნების დროს ტრიბუნიდან? ოთახის დალუქვაში ადმინისტრაცია არაფერ შუაშია. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანს გასაღები ჰქონდა ჩაბარებული იმ პირობით, რომ შიგ მის მეტი არავინ შეემვა და არც ვისმესათვის ეთხოვებია ის. გავიგეთ, რომ, ადმინისტრაციის გარეშე, გასტეხეს ოთახი, გასაღები გამოცვალეს და ისეთი უსინდისო სიტყვებით ვიყავით "დაჯილდოებული", რომლებსაც მხოლოდ კლოშარები ხმარობენ. არასდროს აქ არც პოლიციას და არც დალუქვას არ ჰქონია ადგილი მიუხედავათ ჭორებისა და განზრახ შეთხზული მითებისა. მამულში პოლიცია ორი ან სამი შემთხვევის გარდა არ მოსულა და ისიც მაშინ, როცა პოლიცია გაფრთხილებული იყო წინასწარ ადმინისტრაციისაგან, რომ არავითარი ზომები არ მიელო, არამედ მოსულიყვნენ და ესა თუ ის გამოუწსორებელი პირი ცოტა შეეშინებია, რომელზედაც არც ჩვენი რჩევა, არც მუდარა, არ ჭრიდა, რომ იძულებული არ ვყოფილიყავით თავშესაფარიდან გამოგვესახლებია მივრმართეთ ამ მოჩვენებით ძალას.

როგორც ხედავთ, ეგრედწოდებულმა მეპატრონეებმა თავისი სახელი ათხოვეს მთავრობას და გახდენ "მეპატრონეები" იმ ქონებისა, რომელიც მათ არ ეკუთვნის. მათი ხოციეტეც ამ მხრივ ფიქტიურია. მისი არსებობა განსაზღვრული იყო არა მეპატრონეობის წიადაგზე , არამედ ფრანგული ადმინისტრაციული სისტემის აუცილებლობით. როგორც ვთქვით, სოციეტეს თავისი კაპიტალი არ გააჩნია. მას ყავს ყერანი, რომელიც ყერანია სხვისი ქონების, მაგრამ მისი არსებობა საჭირო იქნა ცნობილი, როგორც თვალყურის მდევნებელი, რომ რომელიმე "მესაკუთრემ" ან მისმა ჩამომავალმა თავისი ფიქტიური უფლება ბოროტად არ გამოიყენოს. ამავე მიზნით მთავრობამ შექმნა "ქართული კერის ასოციაცია", როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია, ქართველ მოხუცთა თავშესაფარის საჭიროების მიზნით. მისი მიზანია მამული დაიცვას როგორც შიგნიდან, ისე გარედან მოსალოდნელ შეტევისაგან. ის მოვალეა შეინახოს მამული ფიზიკურად, გააკეთოს საჭირო შეკეთებები, გადაიხადოს სახელმწიფო გადასახადი და გადადგას ოფიციალური ნაბიჯები, რასაც მამული მოითხოვს. ასოციაცია არის აქტიური ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია ქართველების დიდი მეგობრის სენატორ მუტეს რჩევით და დარიგებით, რომელმაც შეადგინა მისი სტატუსი (წესდება) და მინაგანაწესი. ასოციაცია წარმოადგენს თავისებურ სპეციფიურ ორგანიზმს, რომელშიც ჯათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისწინებულია ზოგიერთი თავისებურებანი:

ა). ასოციაცია არ უნდა იქნეს ფართო საზოგადოებრივი და მისი წევრები სასურველია დაყვანილი იქნეს მინიმუმამდე.

ბ). ასოციაციის წევრებს უნდა შეეძლოს მსხვერპლის გაღება, რადგან ექნებათ ორმაგი პასუხისმგებლობა მოკლებული ყოველგვარ ამბიციებს. პირველი მათი მოვალეობა იქნება მიიღონ მონაწილეობა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ასოციაციის მუშაობაში და მეორე - დაიცვან მამული მისი საზოგადო დანიშნულების ფარგლებში.

ასოციაციის ბაზას წარმოადგენს ასოციაციის სტატუსი(წესდება) და ასოციაციის შინაგანაწესი, რომელიც სავალდებულოა მამულში მცხოვრებთათვის, რომლებსაც ეწოდება შესიზნულები. ასოციაციის სტატუსი(წესდება) სასტიკია და შეუბრალებელი, რადგან - ის სოციეტეს წევრია, ან ასოციაციის ადმინისტრაციის პასუხისმგებელი პირია თუ ეგრეწოდებული"მეპატრონეა" ან კიდევ შემოსვლის დროს თანხა დახარჯა ძველი ბინის შესაკეთებლად - საკმარისია, რომ შინაგანაწესს არ დაემორჩილო და ის დაარღვიო, რომ ყოველგვარ ანაზღაურების გარეშე მამულიდან გამოგაგდონ. მოვალეობა უბრალო და კანონიერია. ვინც არ დაემორჩილება ასოციაციის შინაგანაწესს, ის თავისთავს აყენებს ასოციაციის ბინაში ცხოვრების უფლების გარეთ. აქ არ არსებობს არც ჩამომავლობითი გადაცემა, არც დახარჯული ფულის ანაზღაურება, არც რაიმე პრივილეგია. ოთახი მას მიეცემა, ვინც განცხადება უფრო ადრე შემოიტანა და ამ ეროვნულ საქმისათვის, ყოველგვარი პოლიტიკური მრწამსის გარეშე, სასარგებლოა. ოთახის გაცემის უფლება, გარდა ასოციაციისა, არავის არ აქვს, და თუ ვინმე სხვაგვარად ფიქრობს აუცილებლად ცუდი სიურპრიზის წინაშე აღმოჩნდება. ასოციაციის ბინაში შესულს,თუ ის შინაგანაწესს ემორჩილება, არავითარი საფრთხე არ მოელის სიკვდილამდე. და სიკვდილის შემდეგაც მისი ბინა პოლიციისაგან ხელშეუხებელია და ეს ახლაც ასე იქნებოდა, რომ შინაურების გაუმართლებელ ჩარევას არ გამოეწვია"გრეფიეს"მიერ ოთახის დალუქვა, რაც მამულის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. სიკვდილის შემდეგ ოთახი ავტომატიურად გადადის ასოციაციის განკარგულებაში. მასზე პრეტენზიის უფლება არავის არ აქვს, და თუ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს შვილს უნდა იცხოვროს ჩემს გაკეთებულ ბინაში, მან უნდა შემოიტანოს განცხადება ისე როგორც სხვებმა. ერთადერთი ამ საკითხის გადამწყვეტი ასოციაციის ადმინისტრაცია არის და მეტი არავინ. ასოციაციის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, რომ მოუაროს მამულს, დაეხმაროს ჩვენს მოხუცებულებს, შეუქმნას მათ ცხოვრების"შინაური პირობები" და დაიცვას ნორმალური დისციპლინა გათვალისწინებული შინაგანაწესით, და თითოეულ შესიზნულს შემოსვლის დროს ხელი მოაწერინოს შინაგანაწესის უყოყმანოდ დაცვის ვალდებულებაზე. ხელმოწერილი მოვალეობის უარისყოფისაგან განთავისუფლება - ფსიქიატრის საქმეა. მიკვირს ზოგიერთები რატომ აწერენ ხელს ისეთ ვალდებულებებს, რომელთა შესრულება მათ არ მალუძთ?

ცხადია, ადმინისტრაციამ მისი ე.წ-ლი"შინაური მოქცევით" ეროვნული საქმისათვის ცუდი სამსახური გასწია,რადგან ზოგიერთებმა ეს ადმინისტრაციის სისუსტედ ჩათვალეს და თავზედ ხელი აიღეს, რის გამოც გაჩაღდა მუქარა,დაბეზღება,გინება, პრეფექტურაში დასმენა, მერიაში შინაური ამბების მიტანა, ცრუ მოწმეების ძებნა დამმარხველ ბიუროებშიც კი და ზოგიერთ ქართველებთან ტელეფონების ჩხრიალი ყალბი მოწმეების ძებნის მიზნით, საერთო ატმოსფეროს მოსამზადებლად - ყველაფერი ეს მათთვის დაგვიტოვნია, ვინც ასეთების მოხელეებია და ვინც ასეთებს ზურგს უმაგრებს. სამწუხაროა, რომ ამ არანორმალური აქტის თავიდან მოშორება ვერ მოვასერხეთ.

ზედმეტი არ იქნება, თუ ვინმეს აინტერესებს, მოვიყვანოთ ასოციაციის შინაგანაწესის ზოგიერთი მუხლებით:

1). ყველა მცხოვრები მამულში ითვლებიან შესიზნულებად და არა აქვთ მოითხოვონ უფლება მობინადრისა.

2). ოთახი და მასთან დამოკიდებული სამზარეულო, აბანო და სხვა,რომლებსაც ადმინისტრაცია აფორმებს შესიზნულზე არის მის სარგებლობისათვის და მისი გადაცემა სხვა პირზედ სასტიკად აკრძალულია.

3). შესიზნულები ასოციაციის ბინაში ვალდებული არიან გადაიხადონ წლიური "ხარჯების პარტისიპაცია" სახელმწიფო გადასახადისა და სხვა აუცილებელი პატარა შესაკეთებლის ხარჯების დასაფარავად.

6). შესიზნულები ვალდებული არიან გადაიხადონ წყლის და ელექტრონის ხარჯი,რომლებსაც ანაწილებს ადმინისტრაცია მათი კონტორების(აღმრიცხველების) მიხედვით, რისთვისაც შესიზნულები ვალდებული არიან გაუადვილონ მისვლა აღმრიცხველთან ციფრების ასაღებად. ისინი ვალდებული არიან აგრეთვე მათი ოთახის გასაღები ჩააბარონ მათ მიერ ამორჩეულ პირს, ხანძრის ან წყლის დენის თავიდან აცილების და აღმრიცხველთან მისვლის გასაადვილებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



9.შეხიზნულები,რომლებიც არ ცხოვრობენ მთავარ შენობაში ვალდებული არიან გა-
დაიხადონ თავისი კუთვნილი ეგრედწოდებული "ამპო ლოკო" თუ ისინი მამულში მუდ-
მივად არ ცხოვრობენ.
10).შეხიზნულები ვალდებული არიან დააზღვიონ თავისი ბინა და "პარტისიპაციის"
გადახდის დროს წარუდგინონ ასოციაციის მოლარეს დაზღვევის კვიტანციის ფოტოკოპიო.
19).შეხიზნული, რომელიც არ დაემორჩილება ასოციაციის შინაგანაწესს ადმინისტრა-
ციას აძლევს უფლებას ჩაიბაროს შეხიზნულიდან რაც ადმინისტრაციის განკარგულებაშია
და მიიღოს ზომები გაასახლონ მამულიდან წესრიგის დამრღვევი იმ ვადაში,რასაც ად-
მინისტრაცია საჭიროდ დაინახავს.

შეიძლება ზოგიერთებს ეჩვენოს, რომ ზოგიერთი მუხლი ზედმეტად გადაჭარბებული,
ექსტრემისტული, არალოიალურ,რაღაც დიქტატორულ სისტემაზე იყოს აგებული,როგორც
**ასოციაციის ასამბლეის** ჩატარების დროს **თამაზ** ნასყიდაშვილმა თქვა. როცა ჩვენ
აღარ ვიქნებით და ჩვენი მომავალი თაობა ჩვენ შეგვცვლის დაინახავენ, რომ სხვა-
დასხვა ასაკის, ხასიათის, მორალისა და განათლების ადამიანებთან სტატუსიც და
შინაგანაწესიც ესეა არსებულზე ბევრად უფრო მკაცრი უნდა იყოს და მათი გამტა-
რებლები ჩვენსავით გულჩვილი არ უნდა იქნენ. დასკვნა ის არის, რომ ლევილის მა-
მული არავითარ საფრთხეში არ არის. მისი ფიქტიური მეპატრონეები ზოგიერთ ჩვენ-
განზე უფრო მეტი პატრიოტები არიან. თუ მათ ჩამომავლობაში ვინმე ისეთ გზას
დაადგება, რაც არ არის სასურველი, იცოდეს, რომ ყველაფერი, საჭირო დოკუმენტე-
ბი, ხელშეკრულებები, ჩეკები, კვიტანციები, ანდერძები, ურთიერთ შეთანხმებები,
მამულის საზოგადო ბედის შესახებ, მიღებული გადაწყვეტილებებით და შესაბამისი
დადგენილებებით ინახება მთავრობის მიერ ამორჩეულ ნოტარიუსთან, რომლის ხარ-
ჯები ორი-ათას-ხუთ წლამდე გადახდილია რადიო"თავისუფლების" ქართული რედაქციის
წყალობით; რადიორედაქციას მე ვაწვდიდი გადაცემებისათვის მეტად საჭირო წიგნე-
ბსა და დოკუმენტებს, რომელთა პუბლიკაცია დაშვებულია, მთავრობის წიგნთსაცავი-
დან და არქივიდან, და ჩემი ამ **მასალების** საფუძველზე რადიორედაქცია - ჯერ ერთი
აწარმოებდა მეტად საჭირო რადიოგადაცემებს საქართველოს, განსაკუთრებით დამოუ-
კიდებლობის ხანისა და მისი შესანიშნავი თაობის შესახებ, ხოლო - მეორე მხრივ -
რადიორედაქცია ფულს მიხდიდა ამ ჩემი მუშაობისათვის და ამ ფულით, როგორც ავ-
ღნიშნე, 2005-თ წლამდე გადახდილია მამულის დოკუმენტების ნოტარიუსთან შენახ-
ვის თანხები. ვადის გაგრძელება თუ საჭირო გახდა, ფული იმდენი დარჩა, რომ
2020-ც წლამდე ვიდაც კიდევ გადაიხდის. იმის შემდეგ ნოტარიუსი მოიქცევა ისე,
რაც მას ანდერძით აკისრია.

ნურავის ნუ გაუკვირდება და ნუ ეწყინება თუ ადმინისტრაცია იძულებუ-
ლი გახდება სიმკაცრე გამოიჩინოს, რადგან ზოგიერთებისათვის,ჩანს,მოვალეობა
უცხო ხილია და როდესაც მოვალეობის შეგნება აღარ არის, მაშინ სიტყვა ეძლევა
კანონის ძალას.

მამია ბერიშვილი
ქართული მამულის ასოციაციის ადმინისტრა-
ციის თავჯდომარე. ლევილი, 1987 წელი.


# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

თებერვალი 1987 - Nr. 2(20) - FÉVRIER 1987

სარედაქციო კოლეგია.დირექტორი:შალვა თაყაიშვილი


"LA GÉORGIE COMBATTANTE" - Directeur: Chalva TAKAICHVILI
CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
F R A N C E

"Foyer Géorgien"
Chateau de Leuville
IO,rue Jules Ferry
9I Leuville sur Orge

"ლ ე ვ ი ლ ო ბ ა" - "Leuville-oba"

ლევილის ქართული მამულის, ეროვნული კერის 65 წლისთავი

I.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ, ქართველმა ხალხმა, თითქმის ხუთასი წლის დაქუცმაცებული ცხოვრების შემდეგ, - ისევ აღადგინა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - თავის, თითქმის, მთელს ისტორიულ ტერიტორიაზე, და საქართველო ისევ გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. მაგრამ საბჭოთა რუსეთმა - ჯერ - 1920 წლის 7 მაისს, რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ხელი აიღო მის შინაურ საქმეებში ჩარევაზე, მაგრამ - შემდეგ - 1921 წლის 11 თებერვალს მოულოდნელად დაესხა თავს საქართველოს და იარაღის ძალით დაიპყრო ჩვენი სამშობლო. ამის შედეგად, საქართველოს ეროვნული მთავრობა, საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით, წამოვიდა უცხოეთში, 1921 წლის 17 მარტს, და შეეხიზნა საფრანგეთს, პარიზს, საიდანაც განაგრძობდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ აღდგენისათვის.

II.

ნოე ჟორდანიას ეროვნულმა მთავრობამ დაუყოვნებლივ გადადგა ნაბიჯი, რომ შესაფერი ეროვნული კერა შეექმნა უცხო მიწაზე არა მარტო ეროვნულ მთავრობის, არამედ, საერთოდ, ყველა პოლიტიკურ ემიგრანტისათვის, რის შედეგად ეროვნულმა მთავრობამ 1922 წლის ო ც დ ა ო თ ხ ი ვ ნ ი ს ს(24 ივნისს) იყიდა ლევილში, პარიზიდან 30 კილომეტრის დაშორებით, ლევილის შატო, დაახლოებით, ხუთი ჰექტარი მიწით, სადაც თავი მოიყარა არა მარტო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთმა ნაწილმა, არამედ ამ ქართულ მამულში დაარსებულ იქნა ქართული სკოლა, წიგნთსაცავი, და, რაც მთავარია, ლევილის ქართული მამული გახდა უცხოეთში მყოფი ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა კერა, რაც თავის ეროვნულ ფუნქციას ასრულებს დღესაც, ქართული მამულის სამოცდა-მეხუთე წლისთავზე.

III.

ლევილის ქართული მამულის უფლებრივი სტატუსის განსაზღვრა ნათლადაა ჩამოყალიბებული - საქართველოს ეროვნული მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიას,
საქართველოს ელჩის საფრანგეთში აკაკი ჩხენკელის,
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის,
საქართველოს დამფუძნებელი კრების თავჯდომარის მოადგილის, პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილის,
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის,
საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერის სამსონ ფირცხალავასა და
საქართველოს ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის
ე რ თ ო ბ ლ ი ვ ა ნ დ ე რ ძ შ ი, რომელიც დაწერილია პარიზში, 1928 წელს, 30 აპრილს. აი, ამ ანდერძის სრული შინაარსი:

IV.

"ოც და ათი აპრილი ათას ცხრას ოცდა რვა წელი, ქალ. პარიზი. ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი: ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, სამსონ ფირცხალავა და კონსტანტინე კანდელაკი - ვაძლევთ ამ ხელწერილს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას იმაში, რომ:

1.მამული, მდებარე ს-ლ ლევილში(Leuville s/Orge), საფრანგეთში, სენის და უაზის დეპარტამენტში, და ცნობილი სახელწოდებით "Chateau de Leuville", რომელიც შეძენილია საჯარო ვაჭრობაზე 10 თებერვალს 1927 წ. საზოგადოების «Foyer Géorgien»-ის მიერ, რომლის წევრნი ვართ ჩვენ ზემოაღნიშნული პირნი, ნაყიდი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის

ფულით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენს; სახელდობრ,მიწა ზომით დაახლოებით ხუთი ჰექტარი, სადგომი სახლი, სამეურნეო შენობები, ავეჯი, ინვენტარი და სხვა ყოველივე, რაც აღნიშნულ მამულში იმყოფება, გარდა იმ საგნებისა, რაც იქ მდგურთა მიერ საკუთარის ხარჯით არის შეძენილი.

2.ყოველგვარი შემოსავალი აღნიშნულ მამულიდან და ყოველგვარი განკარგულება მამულის შესახებ ეკუთვნის სავსებით საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და ჩვენ ვალდებულნი ვართ დავემორჩილოთ ყოველივე მის განკარგულებას მამულის შესახებ, ე.ი. მამულის ან რაიმე იმის ნაწილის ექსპლოატაციის შესახებ, გაქირავების, დაგირავების, გაყიდვის, გადაცემის შესახებ და სხვა, და საზოგადოების "Foyer Géorgien "-ის დადგენილებებში აღნიშნულ მთავრობის დადგენილებების თანახმად ვიმოქმედოთ;

3.არც ჩვენ პირადათ და არც ჩვენს მემკვიდრეებს უფლება არა გვაქვს ვისარგებლოთ აღნიშნულ მამულით ან იმის შემოსავლით გარეშე საზოგადოების "Foyer Géorgien" -ის დადგენილებისა.

4.ჩვენ მოვალენი ვართ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოთხოვნილებისამებრ დავდოთ ყოველგვარი ხელშეკრულება გარეშე პირებთან თუ დაწესებულებებთან ამ მამულის შესახებ, დაცვით ამასთანავე " Foyer Géorgien" -ის წესდებისა, და დავემორჩილოთ მთავრობის მოთხოვნილებებს, როგორც ეს აღნიშნულია ზევით მუხლ 2-ში, გარნა ყოველ გვარი ხარჯი მამულზე გაწეული ჩვენ პირადათ არ უნდა გვეკისრებოდეს, არამედ ანაზღაურებული უნდა იქმნას თვით მამულის შემოსავლისა ან მთავრობის მიერ.

5.უზრუნველსაყოფად მთავრობის უფლებისა აღნიშნულ მამულის სრულ საკუთრებაზე ჩვენ ვიძლევით საზოგადოების "Foyer Géorgien" -ის სახელზე ვექსილს თითოეული ჩვენგანი ოცდა ხუთი ათასი ფრ.(Fr25,000); "Foyer Géorgien" -ი ამ ვექსილს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნილებით საჭიროების დროს გადასცემს მთავრობას ან მის მიერ ნაჩვენებ პირს; ხოლო თუ რომელიმე ჩვენგანი თავს გაანებებს "Foyer Géorgien" -ის წევრობას ან იმ შემთხვევაში თუ მამული სხვა პირზე გადავიდა ამის და მიხედვით საზოგადოებიდან გასული პირი ან ყველა ჩვენ განთავისუფლებულნი ვართ ვექსილიდან და ყოველგვარ მოვალეობიდან მთავრობის და"Foyer Géorgien"-ის წინაშე.

1.ნოე ჟორდანია
2.აკ. ჩხენკელი
3.ნ.რამიშვილი
4.ექვთიმე თაყაიშვილი
5.ევგენი გეგეჭკორი
6.ს.ფირცხალავა
7.კ.კანდელაკი."

## V.

აი, სრული ტექსტი, აღნიშნული შვიდი პირისაგან ხელმოწერილი ანდერძისა, რომელიც განსაზღვრავს ლევილის ქართული მამულის იურიდიულ სტატუსს, რაც ძალაში რჩება აღნიშნული პირების გარდაცვალების შემდეგაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს ლევილის ქართული მამულის, ეროვნული კერის ბატონპატრონია ორი ორგანო, რომელთა წესდება, ე.ი.უფლება-მოვალეობა განსაზღვრულია იურიდიულად და დადასტურებულია სათანადო ფრანგული ორგანოების მიერ. ეს ორი ორგანოა -

1."მესაკუთრეთა ასოციაცია", რომელშიც შედიან აღნიშნული შვიდი პირის მემკვიდრეები, და
2."Foyer Géorgien" -ის საზოგადოება, რომლის ადმინისტრაციული, ე.ი. მმართველი ორგანოა ქართული კერის ადმინისტრაცია, რომელშიც არჩეულია ათი კაცი.

## VI.

სრულდება რა ლევილის ქართული კერის 65-ე წელი,1987 წლის 24 ივნისს, ქართული კერის ადმინისტრაციის 1986 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე დადგენილ იქნა შემდეგი:

1.1987 წლის 24 ივნისს, აღნიშნულ იქნას ლევილის ქართული ეროვნული კერის სამოცდა-მეხუთე წლისთავი, სახელწოდებით "ლ ე ვ ი ლ ო ბ ა".
2. თუ 24 ივნისი კვირადღე არ არის, მაშინ "ლ ე ვ ი ლ ო ბ ა" ჩატარდება ყოველი წლის ივნისის უკანასკნელ კვირას.

3. Monastère de IVIRON(Grecè): Icône miraculeuse "Portaitissa".

ლევილის ქართული კერის მფარველი ხატია ქართული მონასტრის "ივერიონის" სასწაულმოქმედი ხატი, ე.წ.-ლი "მეჭიშკრე", რომელიც ასვენია აღნიშნულ ქართულ მონასტერში ათონის მთაზე(საბერძნეთი).
4."ლ ე ვ ი ლ ო ბ ი ს" საიუბილეო და ყოველწლიური აღნიშვნის ცერემონია და შინაარს შეიმუშავებს სპეციალური კომისია, ან თვით ლევილის ეროვნული კერის ადმინისტრაცია პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვარის, დეკანოზ ილია მელიას რჩევა-დარიგებით.
5.შემოღებულ იქნას ე.წ.-ლი "ოქროს წიგნი" იურიდიულ და ფიზიკურ პირთა შემოწირულებების ასანუსხავათ, რაც განსაზღვრული პატივისცემის დოკუმენტით გახდება შემომწირველებისა და ქართული კერისათვის სხვერთოდ.

ლევილის ქართული კერის საზოგადოების
ადმინისტრაცია.

ლევილი,1986 წლის 29 ნოემბერი

# ე ქ ს პ ე რ ტ ი ზ ა.

ქართული ეროვნული საზჭოს ოფიციალური ორგანოს "მებრძოლი საქართველოს"რეზისტანსი — რედაქტორი: მიშა თაყაიშვილი.

## საგანი: ეროვნული მთავრობის არქივისა და წიგნთსაცავის კომისია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივისა და წიგნსაცავის კომისიის დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის შრომის მინისტრი ბატონი გიორგი ერაძე დანიშნული იყო არქივისა და წიგნსაცავის ბატონპატრონად და წლების განმავლობაში წარმატებით ასრულებდა ამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას, დაწყებული 1921 წლის 17 მარტიდან, როცა საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ დატოვა საქართველოს ტერიტორია და თავი შეაფარა საფრანგეთს(პარიზს).

წლების განმავლობაში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მთავრობის არქივისა და წიგნსაცავის კომისიას აკლდებოდა და ემატებოდა ახალი წევრები, რომლებიც, ნორმალურია, გამხჭვალული იყვნენ თავიანთი მოვალეობის პირნათლად შესრულების სრული შეგნებით; და ამათ რიცხვში იყო ექიმი მამია ბერიშვილიც, რომელიც 1944 წელს, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს, ჩაება მთავრობის არქივისა და წიგნსაცავის კომისიის მუშაობაში.

1969 წლის 23 აპრილის არქივისა და წიგნსაცავის კომისიის სხდომის ოქმში კი, სხვათა შორის, ვკითხულობთ შემდეგს:

"არქივის და ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავის კომისიის კრებამ დაადგინა,რომ მე ჩავაბარო და დანიშნულმა კაცმა აიღოს თავის თავზე მოვლა-პატრონობა იმ უფლება მოვალეობით, რითაც მე ვსარგებლობდი. ეს პიროვნება იყო და არის მამია ბერიშვილი."

ამ ოქმის უკანასკნელ აბზაცში კი ვკითხულობთ:

"დადგენილ იქნა, რომ მ.ბერიშვილს, რომელიც დანიშნულია ჩემს ადგილზე ლევილის წიგნთსაცავ-ბიბლიოთეკა-არქივის გამგედ, ჩავაბარო რაც კი არქივში გვაქვს. მე ამ საქმიდან ვიქნები განთავისუფლებული.

არქივის მომვლელი კომისიის სახელით: გ.ერაძე".

აქვე მოგყავს ამონაწერი გიორგი ერაძის ხელნაწერიდან არქივისა და წიგნთსაცავის კომისიის დადგენილების შესახებ, რაც დათარიღებულია 1970 წლის 4 აპრილით:

"არქივის საქმეში ერთი კარგი მოხდა, რომ თქვენის დახმარებით ჩემს მაგივრად დანიშნულ იქნა არქივის გამგედ მამია ბერიშვილი.

ამ დადგენილების შემდეგ მე მას ვეხმარები, სანამ ყველაფერს წესრიგში მოყვანილს ჩაიბარებს, თუმცა ფაქტიურად ახლაც მას აბარია."

"4 აპრილი 1970 - გ.ერაძე"

ამგვარად, მთავრობის არქივისა და წიგნთსაცავის მოვლა-პატრონობა ჩაბარებული ჰქონდა და აქვს მამია ბერიშვილს საარქივო კომისიის მიერ,

როგორც ეს აღნიშნული(და სხვა) დოკუმენტებიდანაც დასტურდება. რაც შეეხება საარქივო კომისიის შემადგენლობას, რომელიც,დროთა განმავლობაში, იცვლებოდა და თვით იმ კომისიასაც, რომელიც შექმნილ იქნა მთავრობის არქივის ჰარვარდის უნივერსიტეტში(აშშ) შენახვისას,-რჩებიან თავთავიანთ-ფუნქციაში, მაგრამ არქივისა და წიგნთსაცავის სადგომი იყო და რჩება ლევილი, (ქართული ეროვნული კერას მატო), ხოლო მთავრობის არქივისა და წიგნთსაცავის ბატონ-პატრონი, პასუხისმგებელი პირი მამია ბერიშვილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავრობის არქივისა და წიგნთსაცავის კომისიის, ისევე ჰარვარდის უნივერსიტეტში თუ სხვა ადგილას შენახული მასალების კომისიის წევრები, ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ბატონ მამია ბერიშვილს მისი მეტად საპასუხისმგებლო მუშაობაში, რომ არქივისა და წიგნთსაცავის ყველა უფლებამოსილების ცენტრი - ლევილის ქართული მამული - განაგებდეს ყველა საქმეს, რომლებიც ეხება ქართული არქივისა და წიგნთსაცავის დღევანდელ მდგომარეობას, რომ საქართველოს, ქართველი ხალხის ეს ერთერთი დიდი საუნჯე შესაფერისი პასუხისმგებლობითა და ეროვნული შეგნებით იქნას მოვლილი, გამოყენებული და ამით საქართველოს, ქართველი ხალხისათვის შენარჩუნებული.

ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალური ორგანოს
ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" რედაქცია
დირექტორი: შალვა თაყაიშვილი

ლევილი, 1986 წლის 12 დეკემბერი

დანართი: 1.მთავრობის არქივისა და წიგნთსაცავის კომისიის 1969 წლის 23 აპრილის ოქმი(ფოტოასლი).
2.გიორგი ერაძის 1970 წლის 4 აპრილის განცხადება. (ფოტოასლი).

დანართი II.:

აქვე ვაქვეყნებთ ს ი ა ს მთავრობის არქივის კომისიისა, რომელიც განაგებს მთავრობის არქივის იმ ნაწილს, რომელიც, განსაზღვრული ხელშეკრულებით, ინახება ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში(აშშ).

N. K. TSINTSADZE
Chateau de Leuville
91310 - LEUVILLE S/ ORGE
France

Mr. D. BRYANT
Harvard University Library
Cambridge, Mass. 02138
U. S. A.

Leuville, the 6th of July 1978

Dear Mr. Bryant,

Enclosed we are sending you, somewhat late, the list of members of the Georgian government's archives committee. As you will notice, this list is divided in two groups according to where the committee members live.

Three members live in the United States. One of them is Mr. Zaldastani whom you know personally. He will be the liaison between all the other members of the committee.

Four members live permanently in Europe. Whenever required by you or by us, the contact between these two groups of persons could be easily arranged. This should not present any difficulty.

Below is the list with the names and addresses.

Sincerely Yours,

N. K. Tsintsadze

Members of the Georgian bovernment's archives committee :

1. Mr. Guivi Zaldastani , 201 Randolf Ave. Milton, Mass. (USA)

2. Dr. Guivi Gabliani , 25000 Paysan Road, Quincy, Illinois (USA)
3. Mr. Sidor Gashonia , 45-25 42nd str. Sammyside 11104, NYC (USA)
4. Mr. Victor Homériki , (current President of the Georgian Association Chateau de Leuville, 91310 Leuville s/ Orge (France)
5. Mr. Mamia Bérishvili, Chateau de Leuville, 91310 Leuville s/ Orge (France)
6. Dr. Karlo Inasaridzé, 1 Englishes Garten, 8 Munich 22 (Western Germany)
7. Prof. George Nakashidzé, (member and consultant of the committee) Gallo 1577, Buenos Aires, Argentina

N.B. The Georgian government's archives committee is headquartered in France at Chateau de Leuville
91310 - LEUVILLE S/ ORGE

## ს ა ე რ თ ო   კ რ ე ბ ა

### ქართული სათვისტომოსა საფრანგეთში

I.

1986 წლის 23 დეკემბერს, კვირას, პარიზში, მარტინ-ლუთერ-კინგის დარბაზში(მე-14 უბანი) ჩატარდა ქართველ ლტოლვილთა სათვისტომოს საერთო კრება, რომელსაც დაესწრო მრავალი სული, განსაკუთრებით საფრანგეთში დაბადებული და აღზრდილი - ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ე.წ-ლი "მეორე" თუ "მესამე" თაობის ახალგაზრდობა, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყველა გადასაჭრელი საკითხის გარჩევა-გადაჭრაში.

II.

უთუოთ, სამართლიანად დაიმსახურა ქართული სათვისტომოს დიდი უმრავლესობის პატივისცემა ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბატონმა თამაზ ნასყიდაშვილმა - თავისი დაუღალავი და ნაყოფიერი მუშაობის გამო, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაშიაც. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის მან ვერ შესძლო იმგვარი ნეიტრალური პოზიციის დაკავება, პოლიტიკურ პარტიათა და დაჯგუფებათა შეჯახება-შემოჯახების პროცესში, რაც, სამწუხაროთ, ყველაზე უფრო გამომჟღავნდა მისი მოღვაწეობის უკანასკნელ წელიწადში.

III.

ჩვენი სათვისტომო, რა თქმა უნდა, მტკიცედ დგას "26 მაისის" დიადი იდეების დამცველის გზა-პოზიციაზე, მაგრამ არ ერევა პოლიტიკური პარტიებისა და დაჯგუფებების შეხლა-შემოხლაში. ქართული სათვისტომოს ამგვარმა განსაკუთრებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა ის, რომ ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელობის არჩევა, მართალია, ხდებოდა ქართული სათვისტომოს საერთო კრებაზე, მაგრამ საერთო კრების მოსამზადებელ მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა ყველა პოლიტიკური დაჯგუფებისა და პარტიის წარმომადგენელი, რომ ქართული სათვისტომოს მმართველობას შესაძლებლობა ჰქონოდა გამოეხატა ყველა პარტიისა და პოლიტიკური დაჯგუფების საერთო ნება-სურვილი. ამის შედეგი იყო ის, რომ - მიუხედავათ დიდი შეხლა-შემოხლისა - ქართული სათვისტომო იყო  ს ა ე რ თ ო  ორგანო, რომელსაც ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყველა პარტია, პოლიტიკური დაჯგუფება და უპარტიოები "თავის" წარმომადგენლად თვლიდა.

IV.

ამგვარ "წინა-მოლაპარაკებას", ამ-ჯერად, არ ჰქონია ადგილი, რის შედეგად არჩევნები ჩატარდა ისე, როგორც ეს მოისურვეს ჩვენი ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა, უმთავრესად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის "ძველი თაობის" შვილებმა და მეგობრებმა. წესი და რიგი, "დაუწერელი" წესრიგი, თუ სათვისტომოს თავმჯდომარე "მემარჯვენეთა" წარმომადგენელი იქნებოდა, მაშინ თავმჯდომარის მოადგილე საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო - დარღვეულ იქნა, რაც, ვფიქრობთ ჩვენ, მეტად მეუშლის ხელს სათვისტომოს მუშაობას, ვინაიდან - როგორც საქართველოს ისტორიის ეს უკანასკნელი საუკუნოვანი ისტორია ნათელჰყოფს - იქ, სადაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი არ თანამშრომლობს, საქმის გაკეთება შეუძლებელი თუ არა, მეტად, მეტად ძნელი ხდება, რომლის დროს გამოთიშული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ყველგან ფეხი მოიკიდოს "ველურმა-ნაციონალიზმმა" თუ "ველურმა-ინტერნაციონალიზმმა". ეს აზრი ეყრდნობა ქართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის ნება-სურვილს,ვფიქრობთ და გვჯერა, დღესაც, ქართველი ხალხისა,რომელმაც თავისუფალ, დემოკრატიულ არჩევნებში დიდი, დიდი ნდობა გამოუცხადა საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას, როცა ამომრჩეველთა ოთხმოცდა-ხუთმა პროცენტმა ხმა მისცა სწორედ ჩვენს ამ პარტიას; და, გვჯერა, ქართველი ხალხი დღესაც ამ პოზიციაზე დგას, რომ მას გააჩნდეს თავისი ნება-სურვილის თავისუფლად გამოთქმის საშუალება.

V.

დარღვეულ იქნა რა აღნიშნული წესი და რიგი, სათვისტომოს თავჯდომარის კანდიდატად წამოყენებულ იქნა ბატონი ოთარ პატარიძე, სათვისტომოს გამგეობის წევრების კანდიდატებად ქალბატონი კატრინ გვეტაძე, ბატონი გია სარჯველაძე, ქალბატონი ლია გოგიტიძე, ქალბატონი ნელი გოგიტიძე, ბატონი ოთარ ზურაბიშვილი და ბატონი ტარიელ ლურდან-ფაღავა, რომლებიც - ვინაიდან სხვა კანდიდატები არავის არ წამოუყენებია - ე რ თ ხ მ ა დ იქნა არჩეული, თუმცა ორმა სიტყვაში გამოსულმა ამგვარი წესი და რიგი არ მოიწონა. არც ბატონ გიორგი წერეთლისა თუ არც ბატონ ლევან ფაღავას წინადადებები,ამგვარი ა ხ ა ლ ი წესრიგის ირგვლივ, არ იქნა მიღებული მხედველობაში. სარევიზიო კომისიაში კი არჩეულ იქნენ ბატონი გივი ბეგიაშვილი, ბატონი შალვა თაყაიშვილი და ბატონი გიორგი კერესელიძე.

VI.

ქართული სათვისტომოს ახალმა თავჯდომარემ - ბატონმა ოთარ პატარიძემ - საერთო კრებას გააცნო მისი და მისი გამგეობის მოქმედების გეგმა, რაც დიდ იმედებს იძლევა, თუმცა "თეორია" და "პრაქტიკა" ერთმანეთს ყოველთვის არ ეთანხმება. მაგრამ, მიუხედავათ აღნიშნული შენიშვნებისა, ვუსურვოთ წარმატება ქართული სათვისტომოს ახალ ხელმძღვანელობას საფრანგეთში, რაც იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი"გაფრთხილება"ძალაში არ რჩება!..

კარლო ინასარიძე
პარიზი,1986 წლის 23 ნოემბერი

ცნობა საქართველოდან:
ქართული ენის ბ ე დ ი

თანახმად დადგენილებისა, ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის და ყარაიის რაიონები ვალდებული არიან მიწერ-მოწერა აწარმოონ რუსულ ენაზე. გარდა ახალქალაქის რაიონისა, დანარჩენ ჩამოთვლილ რაიონებში, უმეტეს ნაწილად ცხოვრობენ თათრები, რომლებმაც ქართული ენა უკეთ იციან, ვიდრე რუსული. რუსული ენა გაიხადა სახელმწიფო ენად აგრეთვე [illegible] მთელმა რიგმა თბილისის დაწესებულებებმაც: ასეთებია საქართველოს პროფსაბჭოები, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია, საქართველოს სახელმწიფო მეურნეობის აღრიცხვის სამართველო, თბილისის მაუდის ფაბრიკა, 26 კომუნარის სახელობის ქარხანა, თამბაქოს ტრესტი და მისი ქარხნები, სარეწაო კოოპერაციის ყველა არტელები და სხვა. თბილისის ქალაქის დირექციამაც სამგზავრო ბილეთები რუსულ ენაზე გამოუშვა.

ამ დაწესებულებებში რუსული ენის შემოღებამ უკვე გამოიღო ნაყოფი: ქართველი მოსამსახურეების რიცხვი თანდათან კლებულობს;რუსების და სომხების კი იზრდება. ამ ბოლო დროს თავისუფალ ადგილზე მისაღებ პირს, თუ იგი ქართველია, დაწესებულების უფროსი აშკარად ეუბნება: მიგიღებ თუ რუსული ენა ზედმიწევნით კარგად იცით. ამნაირად, ქართველი თავის ქვეყანაში უადგილოდ რჩება მხოლოდ იმიტომ, რომ მან უცხო ენა თავისუფლად არ იცის.

საინტერესოა ვიცოდეთ: საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებით მოხდა ყველაფერი ეს, თუ ქართული ენა საქართველოს დაწესებულებებიდან ამ დაწესებულებების უფროსებმა გააძევეს თავისი საკუთარი ინიციატივით? ან,შეიძლება, ეს მოხდა უბრალო პრაქტიკული მოსაზრებით, გაუადვილებინათ სამსახურში მოწყობა უმუშევრად დარჩენილ ქართული ენის არმცოდნე პირებისათვის? ამნაირად, ქართული ენის სახელმწიფო ენად აღიარება ქაღალდზე დარჩა; ფაქტიურად იგი დევნილია ისე, როგორც თვით ქართველი ერი.

"X",1986 წ.

## თ ხ ო ვ ნ ა

### ჩვენი თანამემამულეებისადმი

1985 წლის 5 ოქტომბერს, შაბათს, როგორც ცნობილია, ლევილის ქართული მამულის შატოს მთავარ დარბაზში შედგა ქართული ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელზედაც არჩეულ იქნა – საზოგადოების წესდების განხილვისა და დამტკიცების შემდეგ – ქართული ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოების გამგეობა შემდეგი შემადგენლობით:

ბატონი პროფესორი გიორგი შარაშიძე(თავმჯდომარე),
ქალბატონი დომინიკ ელიგულაშვილი,
ბატონი გიორგი ნოზაძე(ხაზინადარი),
ბატონი შალვა თაყაიშვილი(მდივანი) და
ბატონი კარლო ინასარიძე.

გამგეობა დაუყოვნებლივ შეუდგა ქართული ეროვნული ბიბლიოთეკის საქმის მოწესრიგებას ლევილში, რასაც ხელს უწყობს ლევილის ქართული კერის ადმინისტრაცია, რომელმაც ქართული ეროვნული ბიბლიოთეკის გამგეობას ურჩია ბიბლიოთეკისათვის იმ დარბაზის შეკეთება-მოწყობა, რომელიც ამ მიზნისათვის გამოყოფილია უკვე დიდი ხანია. ამ მიმართულებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ვერ იქნა მიღებული, რაც, გასაგებია, საქმეს აჭიანურებს და ძვირფასი დრო იკარგება.

ამიტომ ქართული ეროვნული ბიბლიოთეკის გამგეობა თხოვს ყველა თანამემამულეს, სადაც არ უნდა იყოს იგი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში, რომლის დროს ყველაზე უფრო საჭიროთ მიგვაჩნია, ამ-ჯერად, წიგნების, ხელნაწერების, ფოტოსურათების თუ სხვა სახის მასალების გ ა დ ა რ ჩ ე ნ ა - შ ე გ რ ო ვ ე ბ ა, რომლებიც კერძო პირების ხელშია და მეპატრონეს, სხვადასხვა მიზეზების გამო, მათი მოვლა-პატრონობა აღარ შეუძლია.

უმორჩილესად გთხოვთ, ასეთი წიგნები, ხელნაწერები, ფოტოსურათები თუ სხვა სახის მასალები გამოგვიგზავნოთ ან გადმოგვეცეთ ჩვენ იმ მიზნით, რომ ეს მასალები არ დაიკარგოს, შენახულ იქნას და გადაეცეს ჩვენს მომავალ თაობას როგორც თავისებური დოკუმენტაცია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყოფა-ცხოვრებისა.

ქართული ეროვნული ბიბლიოთეკის გამგეობა კი იძლევა პირობას, რომ ყველა მიღებულ მასალას, შესაფერი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით, შეინახავს; და ახლო მომავალში ქართული ეროვნული ბიბლიოთეკის შემადგენელი ნაწილი გახდება – კატალოგის შედგენის შემდეგ.

ყველა მასალა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Chalva Takaichvili
CHATEAU DE LEUVILLE
91310 Leuville sur Orge
FRANCE

ქართული ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოების
გამგეობა
ლევილი, 1987 წლის თებერვალი

## კ ე თ ი ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი

### ილია თაყაიშვილის გარდაცვალების გამო(22.3.1901-26.9.1986)

კ ე თ ი ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი –, აი, მხოლოდ ამ ორი სიტყვით შეიძლება დახასიათებულ იქნას ან გარდაცვლილ ილია თაყაიშვილის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა, რაც, უთუოდ, განაპირობა, მისმა და მისი მეუღლის თამარ კახელაძის ოჯახებმა, სადაც სუფევდა ქართული ზნე-ჩვეულებები, რომლის საფუძველი იყო, გასაგებია, სამშობლოს უანგარო სიყვარული და საქართველოს თავისუფლებისათვის ხელშეწყობა, და ამ საქმეში თაყაიშვილ-კახელაძის ოჯახები თანამშრომლობდნენ "მესამე დასელებთან" და ამგვარი ერთგულება თითქოს "შთამომავლობით" გადავიდა შვილებზე, შვილიშვილებზე აქ, ლტოლვილობაშიაც.

ილია თაყაიშვილი დაიბადა 1901 წლის 22 მარტს ოზურგეთში, მამამისი ილარიონ თაყაიშვილი ადრე გარდაიცვალა და მამით დაობლებული ილია, დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, გადადის თბილისში, სადაც მან მიიღო ტექნიკური განათლება და თანაც მუშაობდა სტამბაში, როგორც ასოთამწყობი.

1923 წელს კი ილია, ბიძამისის – კოტე ჯაყელის – რჩევა-დარიგებით ჩამოვიდა პარიზში სასწავლებლად, მაგრამ სწავლის გაგრძელება, ფინანსიური სიძნელეების გამო, შეუძლებელი გახდა, რის შემდეგაც ილია მუშაობს პარიზში ჯერ

რკინიგზაზე მუშაო, ხოლო შემდეგ ტაქსის მძღოლად.

ილია თაყაიშვილის ცხოვრებაში გარდამტეხი მნიშვნელობის იყო 1929 წელი, როცა ის დაქორწინდა ქ. ლევილში, თამარ კახელაძის ასულზე. შეიქმნა ერთი ქართული ოჯახი თაყაიშვილ-კახელაძის ოჯახთა ტრადიციების, მას ზევით, ქართული ოჯახური ტრადიციების შესაბამისი, რაც სამი შვილის – შალვას, ნუცას და ეთერის დაბადებისა და აღზრდის პროცესში ქართველთა ერთერთ კერად გახდა, სადაც თავს იყრიდნენ ნათესავები, მეგობრები, სტუმრები და, სწორი იქნება თუ ვიტყვით, ტ კ ბ ე ბ ო დ ე ნ ჩვენი ილიას კეთილშობილებით, თავაზიანობით, ბრძნული აზრებით, ჰუმანური მიდგომით ყ ვ ე ლ ა ს მიმართ, მიუხედავათ პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსისა. ილიას აინტერესებდა ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური საკითხი, კითხულობდა ბევრს, მაგრამ არასოდეს არ ცდილობდა მისი აზრი ვინმესთვის თავზე მოეხვია. მასთან საუბარი იყო დიდი სიამოვნება, ვინაიდან მან იცოდა საუბარში ჩვენი ამა თუ იმ პოეტის, განსაკუთრებით პოეტ იოსებ გრიშაშვილის ლექსების ჩართვა, რაც, გასაგებია, საუბარს, აზრთა გაცვლა-გამოცვლას მაღალ დონეს ანიჭებდა.

პირად ცხოვრებაში კი ილია იყო თავდაბალი, კმაყოფილი, სტუმართ-მოყვარე, სხვისი აზრის პატივისმცემელი, რის შედეგად ის არაერთხელ გამოსულა როგორც შემარიგებელი სხვადასხვა დაჯგუფებათა და პირთა შორის, თუმცა იგი ამ დროსაც თითქოს "დარცხვენილი" მოქმედებდა, რაც, ალბათ, იყო სწორედ ის ძალა, რომლითაც შესაძლებელი ხდებოდა ადამიანების ერთმანეთთან დაახლოება, შერიგება, დამეგობრება.

ილია თაყაიშვილის ოჯახის ამგვარი სანატრი ცხოვრება შეირყა, როცა მისი უმცროსი ქალიშვილი ეთერი – დასნეულდა განუკურნებელი ავადმყოფობით და წლების განმავლობაში იტანჯებოდა მისი შვილი, შვილები, მთელი ოჯახი და, მათთან ერთად, ქართული საზოგადოება. მისი უმცროსი ქალიშვილის – ეთერის გარდაცვალებამ, მართალია, დიდი დაღი დაასვა ილიას ოჯახს, მაგრამ ოჯახის სული მაინც ვერ გატეხა, რაც, უთუოდ, იმას უნდა მიეწეროს, რომ მისი შვილები შალვა და ნუცა დაქორწინდნენ, ილია გახდა ოთხი შვილიშვილის ბაბუა, რითაც ის ასევე ტკბებოდა, როგორც მის ირგვლივ მყოფი ქართველობა. მაგრამ ილიას ცხოვრება, უდავოდ, არსებითად შეირყა, როცა მას, 1984 წელს, გარდაეცვალა მისი მეუღლე თამარ, რომლის დროს ის ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ – ჯერ – ახალგაზრდა ქალიშვილი, 1965 წელს, დაკარგა და ეთერის სიკვდილის შემდეგ, 1984 წელს, მასზე ახალგაზრდა, მეუღლეც. ამის შემდეგ ილიას, როგორც ვატყობდით, სიცოცხლე აღარ აინტერესებდა, თუმცა იგი – ხარობდა და ამაყობდა, როცა მისი შვილები და შვილიშვილები მასთან იყვნენ, მოვლა-პატრონობას არ აკლებდნენ, მაგრამ აწუხებდა, რომ იგი, ასე თუ ისე, მოსავლელი იყო. უთუოდ, ამანაც დააჩქარა ილიას ამ ქვეყნიდან წასვლა, მაგრამ ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ – თუ სიკვდილი შეიძლება საერთოდ "ბედნიერი" იყოს – ყოველი ადამიანი ისურვებდა ასეთ სიკვდილს: ილია წავიდა თავის ოთახში, მის შვილ შალვასთან ერთად, დაწვა ლოგინზე როგორც ყოველთვის და შვილის შეკითხვაზე ხომ არ უნდა რამე, უპასუხა "შვილო არც ისეთ საქმეო" და "მიიძინა".

ილია თაყაიშვილი , ამჟღავნებდა, როგორც მისი ოჯახის ახლონათესავმა
"არაჩვეულებრივ მორალურ სრულყოფილებას."
ქეთევანმა ნინა რამიშვილმა თქვა – une intégrité morale extraordinaire .

"მესამე დასელთა", საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის დამსახურებულმა და უხუცესმა მოღვაწემ ბატონმა ვალიკო ჩუბინიძემ კი თქვა, რომ ილია თაყაიშვილი, მართალია, პარტიის ოფიციალური წევრი არ იყო, მაგრამ თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ილიამ, როგორც "ჩვენი დროის" ასოთამწყობმა, არანაკლები წვლილი შეიტანა ქართული სოციალური დემოკრატიის განმტკიცების საქმეში, რომლის დროს ის, თავისი კეთილშობილებით, შემარიგებლად ზემოქმედებდა არა მარტო პარტიის შიგნით, არამედ მთელს ქართველობაზე საერთოდ. ალბათ, ილია თაყაიშვილის ამგვარმა სიკეთილშობილემ უბიძგა ჩვენს მიმდინარე წელს გარდაცვლილ პოეტს – გიორგი ყიფიანს – ლექსი "მეგობრული შარჟი" მიეძღვნა მისთვის, რომელშიც ვკითხულობთ: (ლევილი, 1979 წ.).

"შენ გამძლე ხარ ვით მუხნარი,
მოხუცი და ფეხზე მდგარი,
წყნარად დაგაქვს ამა ქვეყნის
სიყალბე და სამართალი.

ირგვლივ გივლის ხმების ჟღერა
სტრიქონების თანამგზავრი,
ანოებში დაფარფატობ
მანქანაზე გადამჯდარი.

ვინ გაიგებს შენს სიჩუმეს
თუ არ შენი თანატოლი,
ხან მანქანა გიღალატებს –
ხან ჟურნალის რედაქტორი.

ხან ყანაში სიმინდს თესავ,
ხან სიყვარულად კინძავ მარცვლებს,
ავტორებს თუ გადაურჩი –
სტამბა შენ ვერ დაგამარცხებს."

სხვათა შორის, ეს ლექსი გიორგი ყიფიანმა მიუძღვნა ილიასა და თამარ ს, მათი დაქორწინების 50-ე წლისთავზე, რაც, როგორც ცნობილია, დიდი ზეიმით აღინიშნა ლევილში; და მათ ლევილის მერი-ში სპეციალური მიღება, შამპანურით,

გაუმართა ლევილის მერმა. აი, ახლა "კეთილი ადამიანი" გვშორდება დღეს და ვაბარებთ ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოს მიწას. ვინაწილებთ რა ილია თაყაიშვილის დიდი ოჯახის ყველა წევრის მწუხარებას, ჩვენი ტრადიციის შესაბამისად ვამბობთ: "საუკუნო იყოს ხსენება მისი!"

ლევილი, 1986 წლის 2 ოქტომბერი

"ს ა უ კ უ ნ ო  ი ყ ო ს  ხ ს ე ნ ე ბ ა  მ ა თ ი"

**La liste des membres de notre Association décédés depuis notre dernière Assemblée Générale:**

| | |
|---|---|
| Thamara KAKHELADZE-TAKAICHVILI | |
| Grigol ABOULADZE | New-York |
| Chalva KALANDADZE | |
| Suzanne de LETTAY-VATCHNADZE | |
| Guiorgui NANADZE | |
| Micha GAPRINDACHVILI | Grenoble-St. Egrève |
| Chota KOURTSIKIDZE | Socheaux |
| Lioubov TCHAVTCHAVADZE | |
| Nestor (Indico) PAPOUACHVILI | |
| Héléné MGALOBLICHVILI | |
| Asmath (Atsia) JORDANIA-PAGAVA | |
| Georges (Bitchico) AKHVLEDIANI | |
| Guiorgui DJAKELI | New-York |
| Jason JORDANACHVILI | Belfort |
| Aléxis TCHENKELI | New-York |
| Aristotel GVELESSIANI | Avignon |
| Irène AMILAKHVARI-MAGALACHVILI | |
| Anton BAINDOURACHVILI | Salzbourg |
| Chalva IACHVILI | Brive |
| Basile (Vasso) CHAKARACHVILI | Canada |
| Mastridia DADIANI-KIPIANI | Belgique |
| Chalva TOUGHOUCHI | Lyon |
| Grigol (Gricha) TSERETELI | |
| Georges DADIANI | |
| Liouba ABDOUCHELI | |
| Ermaloz KHAVRELICHVILI | Bordeaux |
| Jean-Michel KRAVEICHVILI (fils d'Othar) | Montbéliard |
| Minadora KHOCHTARIA-BAGRATION | |
| Aghati GORDELADZE | Suède |
| Dimitri DJORDJADZE | Monaco |
| Serge DONDOUA, Vice-Pésident de notre Association | |
| Sandro BARATHELI, Ex-Président de l'Association Géorgienne aux U.S.A. | |
| Guiorgui BOUADZE | Argentine |
| Nikoloz MILORAVA | |
| Longuinoz BESSELIA | |
| Dévanoz ZEDGUINIDZE | Montbéliard |
| Nino MDIVANI | |
| Barbara KEKELIA | U.S.A. |
| Nina ROMANICHVILI | " |
| Wladimir BERGMAN-KHVEDELIDZE | " |
| Akaki GAMSAKHOURDIA | |
| Elizabeth GOUNIA | |
| Mania BOLKVADZE | |
| Gricha BARAMIDZE | |
| Constantin (Kako) ALCHIBAIA | |
| Méry CHERVACHIDZE-ERISTAVI | |
| Félix VARLAMICHVILI | |
| Sergo GABOUNIA | U.S.A. |
| Dimitri OKHROUGOUNACHVILI | Bordeaux |
| Maria TORENBERG-GOGRICHIANI | Hollande |
| Georges KIPIANI | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| Anastasie MIKELADZE-PREMIAKOV | |
| Veronica TCHKHEIDZE-GRASSMAN | |
| Tarassi CHANAVA | Buenos-Aires |
| Artchil GOTCHIACHVILI | " |
| Kalistrate SALIA | |
| Nathèla BEREKACHVILI | Bruxelles |
| Katia MATCHAVARIANI | |
| Irène KVITACHVILI | Washington |
| Ilia TAKAICHVILI | |
| Fanny TSOULADZE | |

Manana LAGUIDZE-DECOTTIGNIES, Membre du Bureau de notre Association.
Gerassime Bolkvadzé - 1987, Paris

... Qu'ils reposent en paix et que leur souvenir demeure.

რამზეი მაკდონალდი, ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი და ინგლისის პრემიერმინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმაც იმოგზაურა დამოუკიდებელ საქართველოში 1920 წელს, სხვათა შორის, წერდა:

"თუ ერთი თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე.

მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში". (გაზეთი "ნეიშენ", 16.10.1920 წ.).


# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

თებერვალი 1987 - Nr. 2(20) - FÉVRIER 1987

სარედაქციო კოლეგია. დირექტორი: შალვა თაყაიშვილი.

"LA GÉORGIE COMBATTANTE" - Directeur: Chalva TAKAICHVILI
CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
F R A N C E

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ-720